ბესიკ მაღლაკელიძე

პიესა
პაროდია
კინომოთხრობა
სტატიები

თბილისი
2004

სარჩევი

პიესა

3 მოსკოვი - ყიყლიყო გორაზე გავლით

/ჯ. ეროფეევის შემოქმედების მიხედვით/

პაროდია

71 აფერუმ-მეს მორიგი, ნაბიჯწარუდგმელი მოგზაურობა

კინომოთხრობა

87 რკინის ქალამანი („ლოლიტა“)

სტატიები

144 აზრები მოსული და გაზიარებული თბილისელებთან ბაღში

150 ვანკა-სტანკომ?

მასალა შეაგროვა

თინა მაღლაკელიძემ

მხატვარი

ლაშა ალავიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა

გიორგი ხარებავა

პიესა



მოსკოვი - ყიყლიყო გორზე გავლით

/ვ. ეროფეევის შემოქმედების მიხედვით/

დრამა 3 აქტად

პერსონაჟები:

ბენი

ᲛᲘᲢᲠᲘᲩᲘ ᲨᲔᲪᲠᲝᲡᲘ - ᲯᲔᲚᲘᲐᲜᲘ, ᲛᲝᲓᲔᲑᲘᲚᲝ ᲓᲐ ᲒᲐᲚᲝᲗᲔᲑᲣᲚᲘ — ᲗᲐᲕᲖᲔ ᲩᲐᲩᲘᲗ.

ᲥᲐᲚᲘ - ᲜᲐᲡᲕᲐᲛᲘ, ᲐᲚᲐᲚᲘ ᲡᲝᲤᲚᲔᲚᲘ ᲓᲔᲓᲐᲙᲐᲪᲘ — ᲜᲐᲥᲡᲝᲕᲘ ᲥᲣᲓᲘᲗ.

ᲡᲔᲛᲘᲝᲜᲘᲩᲘ - ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲗᲕᲠᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ — ᲤᲝᲠᲛᲘᲐᲜᲘ, ᲩᲐᲤᲡᲙᲕᲜᲘᲚᲘ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ — ᲗᲐᲕᲖᲔ ᲐᲓᲛᲘᲠᲐᲚ ᲜᲔᲚᲡᲝᲜᲘᲡ ᲥᲣᲓᲘᲗ.

ᲡᲢᲘᲜᲡᲝᲜᲘ - ᲛᲘᲗᲘᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘ.

ᲐᲩᲠᲓᲘᲚᲘ - ᲚᲔᲜᲘᲜᲘ. ᲔᲨᲛᲐᲙᲘ.

ᲕᲐᲡᲘᲚ ᲠᲝᲖᲐᲜᲝᲕᲘ — ᲠᲣᲡᲘ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲝᲡᲘ — ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲤᲝᲩᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲣᲓᲘᲗ.

ᲛᲘᲜᲘᲠᲘᲓᲐᲢᲔ — ᲞᲝᲜᲢᲝᲡ ᲛᲔᲣᲤᲔ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲡᲐᲢᲔᲕᲠᲘᲗ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲑᲣᲙᲚᲔᲡ ᲥᲣᲓᲘᲗ.

ᲨᲘᲚᲘ - ᲙᲣᲚᲣᲚᲔᲑᲘᲐᲜᲘ, ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲝᲡᲘᲗ, ᲠᲐᲕᲘᲜᲘ.

ᲑᲐᲚᲐᲜᲩᲘᲜᲘ - ᲡᲐᲪᲔᲙᲕᲐᲝ ᲢᲠᲘᲙᲝᲨᲘ — ᲙᲘᲜᲙᲠᲘᲮᲝᲖᲔ ᲤᲐᲤᲐᲜᲐᲙᲘᲗ.

ᲙᲘᲓᲔᲕᲗ: ᲞᲝᲠᲢᲘᲔ — ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲔᲠᲘᲡ ᲛᲣᲖᲐᲠᲐᲓᲘᲗ, 1 ᲓᲐ 2 ᲛᲝᲮᲣᲪᲘ ᲤᲔᲡᲙᲔᲑᲘᲗ, "ᲩᲐᲤᲮᲣᲢᲘᲐᲜᲘ" ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ, ᲪᲘᲚᲘᲜᲓᲠᲘᲐᲜᲘ ᲑᲘᲚᲔᲗᲘᲗ, ᲔᲕᲢᲘᲣᲨᲙᲘᲜᲘ ᲑᲝᲮᲝᲮᲘᲗ, ᲔᲠᲘᲜᲔᲑᲘ, ᲮᲘᲚᲐᲑᲐᲜᲓᲘᲐᲜᲘ ᲑᲐᲚᲔᲠᲝᲜᲔᲑᲘ, ᲧᲠᲣ ᲐᲮᲛᲐᲮᲘ, ᲛᲣᲮᲘᲜᲐᲡ ᲥᲐᲜᲓᲐᲙᲔᲑᲐ, ᲡᲮᲕᲔᲑᲘ.

*ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ, ᲑᲔᲜᲘᲙᲝᲡ 3 ᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ: 1. ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲔᲠᲡᲐᲮᲔ ᲓᲐ ᲩᲐᲪᲛᲣᲚᲝᲑᲐ. 2. ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲐ. 3. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲛᲝᲠᲘ. /ᲐᲠᲐᲧᲘᲗᲐᲠᲘ ᲪᲘᲜᲘᲖᲛᲘ, ᲣᲤᲠᲝ — ᲗᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲜᲢᲘ ᲘᲠᲝᲜᲘᲐ/.

*ᲢᲔᲥᲡᲢᲨᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲐ, ᲑᲐᲠᲑᲐᲠᲘᲖᲛᲔᲑᲘ, ᲙᲐᲚᲐᲛᲑᲣᲠᲔᲑᲘ, ᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲪᲘᲐ, ᲟᲐᲠᲒᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲣᲚ-ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲘᲚᲝ, ᲛᲘᲖᲜᲐᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘ.

I აქტი

სურათი 1

სცენა წარმოადგენს მოსკოვის ცენტრს: მოედნები, მაღლივი შენობები, ქუჩები. დიდი ქალაქის ხმაური... საბჭოთა პერიოდისათვის დამახასიათებელი რადიოფიცირება - ლოზუნგები, მუსიკა, განცხადებები: ვინ რამდენი მოკრიფა, მოწველა, ჩააბარა... სცენის სიღრმეში, ფართო ეკრანზე სლაიდები წარმოსახავენ მშენებლობებს, ბესებს, ქარხნებს... დეკორაციებს მაღლა, სადღაც ღრუბლებში ჰკიდია კრემლის და მისი კედლის სიმბოლო - მიცურავს, უჩინარდება, ნათდება ბნელდება, ქრება და ისევ იკვეთება. სცენის ცენტრში დგას - ქორო: ერთიანად თეთრსამოსიანი, ქალ-ვაჟთა გუნდი, თეთრი ნიღბებით, ყაბალახებით და ზურგზე ანგელოზის ფრთებით. გამოდიან ავანსცენაზე, მღერიან.

ქორო:

> აქა ამბავი კაცისა: ვანო, ბენედიქტ, ბენისა,
> ქვეყნისა და წარსულისა - მის თავზე გადამხდენისა
> ამეამად ცად აღზევებულ, მთლად უკოდველი სულისა
> და უსამართლო სამართლის, სოფლისგან არ მომთმენისა
>
> იყო კაცი და არ იყო - არაფრისაგან დაცული
> თავი ერჩივნა ეული, ვიდრე ბრბოდ გადაქცეული
> სტკიოდა, გვემდნენ, შიოდა - ბევრი უწამეს აქ გული
> დასარჩენს თავად იხილავთ, თქვენც ამისთვის ხართ მოსული

ქორო თანდათან დაიხევს სცენის სიღრმეში უკუსვლით გადაადგილდება და სიბნელეში უჩინარდება. რადიოს, ქუჩის, მანქანების ხმაურის, საბჭოთა ლოზუნგებისა და სიმღერა-მარშების ფონზე, ავანსცენაზე ბარბაცით გამოვარდება ბენიკო. ძლიერ დაბნეული, მაღალი და ხმელი, უცხოიერიანი - გემოვნებით, დახვეწილადაც ჩაცმული, თუმცა უწესრიგოდ, თმააჩეჩილი, სიმპატიური და ინტელიგენტური - გულზე მიხუტებული პატარა ჩემოდნით და არ იცის საით წავიდეს: ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ გადაადგავს ნაბიჯს— ბოლოს მაყურებელს მოუბრუნდება.

ბენიკო: - აი... იიი... ყველა გაიძახის: კრემლი, კრემლიო!... მე კი ბატონო - ამხანაგებო, ერთხელაც ვერ ვიხილე?... რამდენჯერ ნაქეიფარი, გნებავთ ზარხოშიანი მოვდგომივარ საძებნელად - ჩვენი სტალიცა გადამიჭრია ჩრდილოეთიდან-სამხრეთით, ანდა პირიქით... დასავლეთიდან-აღმოსავლეთით, ანდა პირიქით... დამისერია გმირი მოსკოვი: გარდი-გარდმოც გადამივლია და უგზო-უკვლოდაც მიბოდიალია... ვერა ძმო-მეგობრებო, ა-პა-პა-პაა... კრემლს ვერსად გადავეყარე! /წაიღიღინებს/: რაც უფრო შორს ხაარ, მით უფრო გეტრფი... მე შენში მიყვარს — ოცნება ჩემი!... გუშინაც არ მინახავს... არადა მთელი საღამო იმ უბანში ვბორგავდი, არც ნამეტანი მთვრალი გახლდით — საველიევსკიზე ერთი სირჩა "ზუბროვკა" გეახელით — რამეთუ დილის დეკოკტისათვის ლოთობრიობას მჯობნი რამ არ მოუგონია. შემდეგ კალიავსკიზე თლაშო, უებარი "კორიანდროვოი" დავაწიე. როგორც ძმაკაცი ფილოსოფოსობს: "კარიანდროვკა" თურმე ადამიანზე ფინთად მოქმედებს — ამყარებს რა სხეულს, სულს ასუსტებსო! ჩემზე კი ჯიგიტ-ბატონებო, უკუღმა არ ჰქნა? სხეული კი მომიმჩვარა, ზატო სული ფოლადად მიქცია — სტალ! /ჩემოდანს გულ-მკერდზე ირტყავს/: სტალ, მააშ — სტალლად მაქცია... მინდოდა მერე მეე ეგ? ჰოოდა, როგორც პარლამენტარი სთქვამდა — დასაბალანსებლად, რამოდენიმე ტოლჩა "ეიგულევსკი" გადავასხი იქვე ხელდახელ და სადღაც ნაშოვნი ბოთლი "ალბა-დესერტიც" მივაყლურწე თანაც ყელ-ყელად. მერე? მეერეო?... შემეკითხებით... და გავქუსლე ცენტრისაკენ — კრემლის საძებრად — რამეთუ მისკენ დაგეზილი, უსიკვდილოდ "კურსკის" სადგურზე აღმოვჩნდები ხოლმე. გზააბნეული და დაკარგული, შეიძლება უფრო დიადსა და უკეთესს გადაეყარო, ვიდრე ეძებდი... როგორც, ვთქვათ — კოლუმბი — ამერიკას. ახლა კი მეთანაღრება, რომ წუხელ იქაც ვერ ამოვყვინთე... გადავა-ძალიან-ჭარბე ბატონო-ძმებო და ხაია მომიყიდა — ვაგზალსაც ავცდი.

ზედმეტი ვხუხე… თუმცა არავინ უწყის — საზიანოდ ვსვამთ, თუ სასარგებლოდ? ამ ქვეყნად მრავალი გამოცანაა — რა, დღეს იცის განა ვინმემ — მეფე ბორისმა მოკლა უფლისწული დიმიტრი თუ პირიქით?… და მომიწია ღამის თენება — ძილი ანუ, სადარბაზოში. ალიონზეე — ოოო! ყველაზედ სამარცხვინო და უმწეო დროვ, ჩემი ერის ცხოვრებაში — ჯამო — გათენებიდან — მაღაზიების გაღებამდე! რამდენი ქერა, შავგვრემანი, წითური თუ მელოტი გააჭაღარავა ამ დრომ, უდროოდ. და როგორც წიგნში წერია: "მიუახლოვდა მიცვალებულს და თქვა — გალიფა კუმი! ანუ აღსდექ! და წადი!" თქვენ რა გგონიათ? მკვდარიც ადგა და დაითესა იქიდან… ზუსტად ასევე წამოვიღვიძე კიბეებზე და რიჟრაჟიანა გავაჭენე სადარბაზოდან მარჯვნივ, რამეთუ სწორი გზით, მარცხნივ მავალი ისევ დავაცილებდი კურსკის სადგურს. კრემლზე რომ აღარაფერი ვთქვა, თავის კედლიანად. პახმელიაზე მე არ მჭირდება არავითარი კედელ-მედელი, გინდ წითელი და გინდ ბერლინის. კახურ პერეგაროტკას კი როგორ ვიუარებდი ახლა? /კეფადან ქუდს იძრობს და ფიალასავით უჭირავს/: "წითელ ღობეი გაუმარჯოს!" მეტყოდნენ ისინი ჭაჭაშემართულნი და დაღლილი ზურგი რომ მივაფხანო — თქვა, ვუპასუხებდი. მარჯვნედ სიარულმა მართლაც მიმაყენა ვაგზალს, მგონი კურსკისას. /მოყოლისას ბენიკო ჟესტიკულირებს, მიდი-მოდის: ენერგიულად ასახიერებს, იღლება, ბოძს მიეხუტება, ფეხები ეკვეთება/: ვაიმე დედა! მიშველე ღმერთო! /მაღლა, ცაში იყურება/: ვკვდები ნაბახუსევზე ღმერთო!… ისე ბლომად ჩავისუნთქე — მგონი ჯიგარი მეღრძო…

ქორო გამოდის სცენის წიაღიდან და ბენიკოს გარს ერტყმის.

ქორო: — შე საცოდავო… თვალნი მილულე და ღრმად ისუნთქე შეგიმსუბუქებს ტანჯვა ვაებას და სელის გვემას…

ბენიკო: — ოოო-გიკანით, გიკანით! ეს ხომ თქვენა ხართ ჭეშმარიტად — ჩემი მფარველი ანგელოზები!… მიმძიმს მე…

ქორო:

ვიცით ბენიკო მძიმეა, შესსაირ კაცთა ხვედრი
გაიარ-გამოიარე... არ მიგატოვებს ღმერთი —
მალე ცხრაკლიტურს გაგიღებს, რომელიმედან ერთი:
საბაყლო თუ არა გწყალობს — რესტორანს შეაჩერდი!

და ქორო უკუსვლით, სცენის სიღრმეში უჩინარდება. ბენიკო შედარებით დამშვიდებული, ისევ მოსკოვის ქუჩებში იწყებს ბოდიალს.

ბენიკო: — ჩვენი ქალაქების ცენტრალურ ქუჩათა მარტო დასახელება რად ღირს? რევოლუციის მოედნები — მბორგავი ქვანდაკებებით, ლენინის უთვალავი ქუჩა ძენგლითურთ, 26 კომისართა სკვერნები, კამოს ქუჩათა ხროვა საკმაო... რწყევას რომ მოგგვრით პახმელიაზე — ეს სახელები თავის წარსულით და ასოციაციებიც გეღმანჭებიან, ფუი, ფუ-ფუი... იმათთან, გალმა: წმინდა ჟენევიევის შესახვევი და პიკადილი... შეყვარებულთა ოხვრის ხიდი, ვერლენის ნაფოფინარი მირაბოს ბონდი: "სუ ლე პონ მირაბო, კულო ლა სენო, ე ნოტრ ამუურ!" და შეუყვები მონმარტრისაკენ ტრფობის ალმართით... აქა? პროლეტართა პროსპექტი და ოცდარომელი ყრილობის მასივი?... ეეე-ეეეჰ! /გამოცოცხლდება, თვალებში ნათელი ენთება/: ჩვენ, მებახუსეთ — უბრალოდ მსმელებს, საკუთარი ქალაქი გვაქვენ, ტურფა, წარმტაცი არქიტექტურით: სტოლიჩნისა და იუბილეინის გამზირებს მივყავართ ჭაჭის მოედანზე, სადაც ჟიპიტაერის შადრევნებია! იქიდან იმბირნის, სტრელეკკისა და სტარორუსკაიას ქუჩები გადიან, გვერდით კი, ანდროპოვკას ჩიხია. ერთმანეთს მშვენიერი ქართული, მშრალი ბოსდებით უერთდებიან: წინანდალი, მუკუზანი, — სული გეხუთება: გურჯაანი, ცოლიკაური ჩემო ბატონო და ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე /ხელს ალმართავს/: ვარსკვლავები! ახლა მდინარე ზუბროვკაზე გადაზნექილი, პორტვეინთა კოხტა ხიდები? ხირსა გესაცვალეთ, ტარიბასა... თავბრუ მეხვევა: იქვე

სასაპირონზე წამომზეურებულან მშვენიერ კონიაკთა 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი ოტელები, ლუდითა და გაბოლილი თევზით სავსე აუზებით… დაგვერდ-მშვენებული არისტოკრატთა სასახლეებით — კამიუ და კურუაზიე, ოესი და ენისელი პატივცემულნო, წარჩინებულთა ჩუქურთმიანი პანსიონები — ბენედიქტინი და შარტრეზი… მათ წინ — წარმტაც, მარადმწვანე და მაღალგრადუსიან, არყის ხეებიან სკვერში, მკლავჩახვეული ანუ პოდრუჩკით დასეირნობენ — ვისკის ჩანჩქერის შხეფებში — ბახუსის მოტრფიალე ჩვენი დამები, თავიანთი ბარბაცა კავალრებით და თვალს უყენებენ ევროპის ხალხებს…

ასე ოცნებებში გართული და აღგზნებული ბენიკო მიადგა სცენის სილრმეში ეკრანს, რომელსაც ახლა КУРСКИЙ ВОКЗАЛ აწერია. ბენიკო რესტორნის კარს ეახლა — იქ უნიფორმაში გამოწყობილი — თავზე რომაელი ლეგიონერი მუზარადით პორტიე ათვალიერებს უტიფრად და უნდოდ, ამრეზით;

პორტიე: — ჰხმ! სპირტიანი არაფერი გვაქვს!

ბენიკო: — მე, მე იქნებ ბეფსტროგანოვი მინდოდა…

პორტიე: — შებრძანეთრიეთ! /და ბენიკოს რესტორანში შეუშვებს/.

სურათი 2

დილის რესტორანი: კანტი-კუნტი სტუმარი, ზანტი ოფიციანტები, მაგიდებზე ატრიალებული სკამები. ბენიკო გულზე ახუტებული ჩემოდნით შემოდის, მორიდებული ნაბიჯებით კვეთავს დარბაზს და გარიყულად ჯდება. მაგიდის თავზე დაკიდულ — პომპეზურ ჭაღს შეშფოთებული ასცქერის. ისმის მუსიკა — ვილაც ოფიციალურად ტკბილი ხმით მღერის. ფანჯრის მიღმა კურანტები და კრემლის სიმბოლოები მოსჩანს. უახლოვდება ფაშფაშა ოფიციანტი ქალი.

ოფიციანტი: — რას შეგვიკვეთავთ? ინებებთ ხელდახელ?

ბენიკო: — მუსიკის გარდა, გააქვთ რაიმე გამამხნევებელი?

/მრავალმნიშვნელოვნად უღიმის, თვალს ჭუტავს, ახვედრებს…/

ოფიციანტი /არხეინად/: — რეიზა არ მოგწონთ, აგი მუზიკა...

ბენიკო: — იმეიზა შემოგევლე რომ, ყველა ეს მომღერალი კონვეირულად ერთნაირ-ნაირია და ყალბად ჟღერს. თუმცა თითოეული, თავისებურად დაშაქრული და საძაგელი ხმით ყელყელაობს, კერძოდ... ეს ივან კოზლოვსკი გახლავთ, ხომ?

ოფიციანტი: — ალბათ. /ირონიულად გამობურწავს ტუჩებს — ჩანს ართობს ნაადრევ კლიენტთან ლაყბობა/: ოღონდ ინებეთ! ემსაათში ზიკინას ავუშვებ... გავუშვებ ქსელში.

ბენიკო: — როგორც ძმა კლეინმიხელი ამტკიცებს — ლიუდმილა ზიკინათი ტკბობისას, იმფერი პატრიოტიზმის ნაპერწკალი გიზგიზ-მენთება — რომ აბრიალებულ წინდებთან ერთთად იღლიებიც ვარვარდებიან წითლად და მოძრაობისას პარავოზივით ბოლი გამდისო... ხერესი მომიტანეთ, გეთაყვა.

ოფიციანტი: — არ გვაქვენ ხერესი.

ბენიკო: — აბა მარტო ვოკალი გაქვენ, იგინი გიკვეთოთ?

ოფიციანტი: — ბოკალი რამდენიც გნებავთ, შიგ ჩასასხმელი კი მარტო წვენებია... მისაყოლებლად კი ხმელა ზაკუსკა: პერაჟკი ხორცის, გვაქვენ კომბოსტოსიც, სტოლიჩნი...

ბენიკო /ყურდაცქვეტილი/: — რა?

ოფიციანტი: — სალიათი, სალიათი... კიდო ბეფსტროგანოვი მოესწრება, ცურიც...

ბენიკო /გულდაწყვეტილი/: — რა საინტერესოა — ჯიქნები გაქვთ, ხერესი კი არა! ფანტასტიკა, მისტიკა და ჩვენებური სტილისტიკა! /შემდგ განგებ უყრუებს ოფიციანტის ნათქვამს/: — მაშ ასე! ცხადია, თევზეულით დავიწყებთ: ცხელი თევზის დელიკატესებს — თეთრი მშრალი ღვინოები უხდებათ: აბრაუ-რისლინგი, გურჯაანი, წინანდალი, ალკადორი, ჩემო ქალბატონო! /ოფიციანტი ირონიული დაინტერესებით უსმენს/, ხოლო ფილეზე შემდგომ ან ესკალოპზე, თუ ანტრიკოტზე — ანუ სუკზე ქართულად, /ქალს ახედავს — ის დამორცხვებული იშმუშნება/: —

მოგვართვით კნეინაჯან, წითლები: თელიანი, საფერავი, მუკუზანი, კაბერნე, ხვანჭკარა — ესადაგებიან ძლიერ, კი.

ოფიციანტი /აყვა თამაშში/: — აი არტიშოკზე და ვთქვათ, ნანადირევზე? ან თუნდაც ტაბაკა წიწილებზე, კიდო დაბრაწულ ნუშზე, ვნებავთ წაბლზე რას იტყვით?

ბენიკო /წარბშეუხრელად/: — თამამად მიაკოკლოზინეთ ჩხავერი და გორული თავკვერი. ქინძმარაულიც მოუსა.

ოფიციანტი: — მაგი რაღაა? /თან კეკლუცად თავზე მაქმანებს ისწორებს/.

ბენიკო: — ქინძმარაული მადამ, /თითის აწევით/: — თითქმის ხვანჭკარაა, მისი დუბლია მაშ.

ოფიციანტი: — წითელი?

ბენიკო: — დიახ, წითელი...

ოფიციანტი /გაღიზიანებული/: — ახლავე მოგართვათ, თუ დაელოდებით პაწია...

ოფიციანტი ღირსების გრძნობით აღვსილი ტრიალდება და თავაწეული მიდის. ბენიკო თვალს გააყოლებს... რესტორანში ფუსფუსი მატულობს, კანტი-კუნტი სალხი ამოძრავდა, გაცოცხლდა თითქოს. ბენიკო ისევ ქალს გადახედავს.

ბენიკო: — მაგ პუტკუნა ფორმების შემხედვარეს ძვირფასო, შენი არამც თუ ატაც-გატაცება, ყურებაც კი მიმძიმს... როგორც ბრძანებს უკვე ნობელიანტი გენრიხ ბიოლი: "მხოლოდ ბახუსს ხელეწიფება, სხეულისა და სულის ჰარმონიაში შერწყმა"? რეიზა სვამთ? იმეე... /ოფიციანტს აჯავრებს/, აბა წარმოიდგინეთ, ამხანაგო გენაცვალეებო, ვლადეიმირ ილიჩი 17 აპრილს გალეშილი რომ გდებულიყო კანაოში, ყუსად, თავისთვის — ხომ ვეღარ აბობღდებოდა და ატანტალდებოდა იმ ავბედით ჯავშნოსანზე? წარმოიოცნებეთ?... ალკოგოლიური არ გვაქვეს! ყოველთვის შეიძლება რაღაცის ჩარტყმა — განაცხადა სახელგავარდნილმა ფრანგმა შანსობოზმა ედით პიაფმა — "ოლიმპიაში" რომ უჭაჭოდ კუნტულა აზნაური იჭაჭება — შალიკო! ემაგის დამკვალიანებელმა, ჩერი ბრენდიო!

კვერი დაუკრა ინდირა განდიმ და გავაგრძელოთ ქინძმარაულითო! გვირჩია თქვენმა აკაკი წერეთელმა! /სცენისკენ, მაყურებლისაკენ გადმოიხრება, საიდუმლოდ ეუბნება პუბლიკას, მერე თანდათან ეშხში შედის/: ანდა რა გიშავთ ვეყო, ქართველებს, არხეინად ხართ ისტორიულად უზრუნველყოფილი ალიბაბაითით: ხაში და ხარჩო, ბოზბაში და ჩიხირთმა, ბუღლამა, თათარიასლი — დასახვრეპია საშუაშომდე, თანაც უჭაჭოდ ხეიბარია — არ შეიძლება ადათის მოშლა! აი ალიბი მამაპაპური... ჩემო მეგობარო გენაცვალეებო. ჰოოდა ალიონზე მოხუც თბილისის ახალპირდაბანილი, კოხტა ქუჩები გიხმობთ, მათში ჩაწნული ჭრელი დუქნებით: სახაშე, სალავაშე, სალობიე, საკუპატე.. ღმერთო მიშველე ამ რესტორნისგან. /ხელს პერანგში იყოფს, გულს იზილავს/: სამწვადე, საჩიკიბიე, სახინკლე, ვაიმ... მომიკვდეს ზაპალიარიაში დაბადებული თავი — საჭაჭეო კი არ გამოუჭიმიათ: სა-ქა-ბა-ბეა მხოლოდ, კულინარია, გეყურება? იქ კი, /სულს ითქვამს, მოზღვავებული ენერგიით, ბედნიერი სახით/: სარდაფში ან გარეთ, ბაღნარში, ვნებავთ გამოკიდულ აივანზე, გარიჟრაჟიდან დახაშებული ქართველები, ტაატით შეექცევიან ნუგბარა კერძებს — ნეტარ დასალევებთან ერთად — ზანტად, დაგემოვნებით იკეცავენ უცნობ პირებში უცნობ მწვანილებს, ეგებებიან ჭიქით მზის აღსვლას — ადღეგრძელებენ ჩვეულ ლაზათით და საბჭოთა წყობაც იმ ბაც შარვლებიდან გამობანჯგვლულ ფეხებზე ჰკიდიათ! აფერუმ ნაღდად და ჭეშმარიტად — მაგ თქვენ ნაციას!

ბენიკოს მონოლოგის დროს ისმის მოგუდული, სტილიზებული, ცნობილი მელოდია: "რიონი რომ ღვინოდ იქცეს, ერთ კვირაში დავლევდი" მთელი სცენა წამით, თბილისად იქცევა — ეკრანზე ძველი უბნების სლაიდებია... ბენიკოს მაგიდაზე თავისი კახური ქუდი უდევს და ოცნებით მისჩერებია. კინტო ჩაიცეკვებს... ყველაფერი ქრება ოფიციანტის გამოჩენისთანავე — წინანდებური

ატმოსფერო: ცივი, უკარება და ოფიციალური რესტორანი. ბენიკოც ერკვევა და ოცნებებიდან გამოდის.

ოფიციანტი: — მოიფიქრეთ? შეუკვეთავთ რამეს! /ცივი ტონით და სახით/.

ბენიკო: — რამე ალკოგოლიური... /ვედრებით/: — წვნიანსაც ავიღებ.

ოფიციანტი: — არ გვაქ-თქვა! გეყურება შეენ!

ბენიკო: — ხერესი გეთაყვათ, 800 გრამი, მომიტანეთ.

ოფიციანტი /კარგავს მოთმინებას და ხელოვნურ, ოფიციალურ იერს/: — გითხრეს ყაზილარო რუსულად — გასაგებად: ალკოგოლიური არაფერია, არავითარი თეთრი-წითელი... თუ შეგუსანო დრუჟინიკებს!

ბენიკო: — მართალია მე რუსი ვარ და ვმეტყველებ კიდეც, მაგრამ აზრები ერთიანად უცხოური მაქვს... სულიერი მენიუც ხომ არსებობს? მოგუცდი — როცა გეკუნებათ...

ოფიციანტი: — ელოდე, ელოდე! /ნიშნისმოგებით/: ინ-ტელიტილი-გენტო! მიიღებ: დრუჟინიკ! დრუჟინიკ! რავარი ქუდიც ქნურავს — ქე იმნაირი ხარ მუჟიკ... გეკუნება ემ საათში თეთრი, არა წითელი ძინძერაული, თავის არტი-შოკებით! /და დოინჯშემოყრილი შორდება/.

ბენიკო /წაიმღერებს/: — ერთმანეთს ეუბნებოდნენ კეკელა და მარო: — რა მოიჰკრიფე ქალოო... მაინც რატომ ბორიოტდებიან ასე ამ ქვეყანაში. /ისევ ჭალს ათვალიერებს უკმაყოფილოდ/: — არა! ჩვენს დედა სამშობლოს დედობა უნდა ჩამოერთვას!

დარბაზში მოულოდნელად ხმაურია გაისმის:

— აქ ვინ თხოულობდა ხერესს?

ბენიკოს მაგიდისკენ სამი წითელი ახმახი მოემართება: ორი კაცი და ქალი. თითოეულს საბჭოთა დროშა აცვია — ჰონჩოსავით, სანერეტიდან თავი ამოუყვიათ შუაში. წინ ნამგალი და ურო ახატიათ ყვითლად და წითელარმიელთა ქუდები ახურავთ. ენერგიულად გადმოჭრეს დარბაზი და ბენიკოს მაგიდას გარშემოერტყნენ. ბენიკო შეცბუნებულია, ხმაც ღალატობს. ყურადღების ცენტრშია — ყველა მას ათვალიერებს...

ბენიკო: — მე მხოლოდ... ჯანდაბას თუ არ გაქვთ... ხერესი. დუბლი იყოს, დაველოდები.

მის ნათქვამზე კიდევ უფრო მკაცრ იერ-პოზას იღებენ და ერთხმად მღერიან.

დრუჟინიკები: — ეგ როგორ, დაელოდები!
აბა ჩვენ ვინა გგონივართ,
ახლა არ აილაგმები?
დაგაწევთ სიმონ ბოლივარს!

ლათინოამერიკულ, რევოლუციურ მელოდიაზე მღერიან.

ბენიკო: — მეგობრიკებო, მე ხომ საგარეუბნო მატარებელს ვუცდი თქვენთან, სადგურის რესტორანში... "მოსკოვი-ყიყლიყოს". სატრფოსთან ძღვენი, ჩვილთან კი მოსაკითხი, თუ პირიქით ერთისიტყვით, მიმაქვს. აი! /და მომხვდურებს ჩემოდანს აჩვენებს/.

დრუჟინიკები: — ნონ პასარან! კონტრაააა... ბენიამინ. ბენსერემუს! ნონ პასარან!

და შეშტებაღმართული სამეული ისევ ლათინოამერიკულად მღერის რაღაცას...

ბენიკო /შეშინებული/: — მე, მე ერთი ციმბირელი კაცი ვარ ეული... რომ არ ვარწყიო პასმელიაზე, ხერესი მჭირდებაააააააა! /საკუთარ თავზე ბრაზდება და ძალები უბრუნდება, დგება, ყვირის "ააააა" ისინი რომ გადაფაროს — სკამზე ადის და ლოზუნგივით ისვრის/: — მიჯობს მთელი კაცობრიობა ნებიერად მთვრალი ვიხილო, ვიდრე ერთი ადამიანი — იძულებით ფხიზელი! /გულზე მჯიღს ირტყავს/.

ბენიკოს ამ რეპლიკამ და ქმედებამ, სამეული აგრესიულობისაკენ განაწყო: მივარდნენ ბენიკოს — სკამიდან ჩამოაყირავეს და ისე რომ არ გაუსწორებიათ — ფიცარივით გადებული, ჰორიზონტალურ მდგომარეობაში მიაქვთ დარბაზიდან. ბენიკო, უკვე დაიღლიავებული და ატატებული, გულში ჩახუტებული ნაბდის ქუდით, ფილოსოფიური მორჩილებით მიმართავს მაყურებელს.

ბენიკო: — შერბინა ჩვენზე, რუსებზე აკი ამბობდა: "ევროპული
სიტყვების უკან აზიური ქმედებებს მალავთო!" /შემდეგ
ალმართული მუჭით შეუძახებს/: — **Гимн Неудачникам!**

ულერს საბჭოთა კავშირის ჰიმნი. ბენიკო საზეიმოდ, ოფიციალური სახეებით გააქვთ წითლებს — კარს იქით — კულისებში მოისვრიან და ზედ ჩემოდანსაც მიაყოლებენ.

ფ ა რ დ ა

II აქტი

სურათი 1

ფარდის ახდისთანავე ქორო ჩაბნელებულიდან ავანსცენაზე გამოდის და მღერის. თანდათან მოისმის, ძლიერდება მატარებლის ხმა: "დაგან-დაგან, დიგინ-დიგინ", სცენის სიღრმეში გაელვებული პროექტორები მოძრაობის — გზის ასოციაციას ქმნიან.

ქორო:

> და მიარწევს გარიყულს, ჩქარი მატარებელი
> ვერ ინილა ბენიკომ — კრემლი, მისი კედელით
> შეიძინა სასმელი: თეთრიც, მღვრიეც, წითელიც
> ახლა ზმანებებშია — გზაა, მისი მშველელი!

სცენა თანდათან ნათდება — მატარებლის ხმა რითმად იქცევა— იკვეთება საერთო ვაგონი: ბენიკო გულზე მიხუტებული ჩემოდნით, ნეტარად ირწევა ხის სკამზე. ფანჯრის მიღმა ეკრანზე, პროექტორი სწრაფად ცვლის პეიზაჟებს: სადგურების ბაქნები, ქარხნები, დასახლებები, შემხვედრი მატარებელი, აბოლილი მილები— ვაგონს ჭერი არა აქვს. მალლა ცა მოსჩანს და ღრუბლები დაცურავენ — მზეც ხანდახან იჭვრიტება და ასხივებს ბენიკოს. მუდმივად ისმის რითმული "დაგან-დაგან, დიგინ-დიგინ!"

ქორო:

მოსკოვზე ნულარ ინაღვლებ, ჩვენ მოგიშუშებთ იარებს
ყიყლიყოში ხომ გელიას — იქ არის შენი სიამე!
ჩემოდანი სად შეავსე? აქვე გულწრფელად გვიამბე:
რა და სად, როგორ იშოვე — გვითხარი, გაგვიზიარე!

ბენიკო: — ვიცი რომ გაინტერესებთ, ჩემო ღვთიერო მფარველნო. ამ გმირ წყეულ ქალაქში, თითოეულ გასტრონომს ზამბარიანი წიხლი აქვს — კარი პანჩურით. ეს თუ სისტემაა... ძალზედ ნერვიული ყოფილა! მეც ხომ რედკი წიაღისეული ვარ — უსარგებლო! სახელიც რომ უცხო მქვია? ბენიკო, ვენიკო, ვენიჩკა, ბენედიქტ... "ინიც" მიეყოლებინათ, დალოცვილებს.

ქორო: — რათ, საბჭოთა — მშობლიური წყობილება არ მოგწონს?

ბენიკო /მელანქოლიურად/: — რატომაც არა, ვალმერთ... უი, ფეტიშებ!

ქორო: — სახელდობრ, რისთვის?

ბენიკო: — თუნდაც იმისთვის, მიშვებული რომ ვყევარ გემოზე და აინუნშიაც არ მაგდებს...

ქორო: — დილეგში არ გაგდებს? /დაბნეულები/: ციხეში რომ არ გსვამს?...

ბენიკო: — მაგისათვისაც... რომ არ მსვამს! სამაგიეროდ მე ვსვამ და რატომ? რეგვენი რომ გახლავართ, იმიტომ.

ქორო: — ასე რად ამბობ... /ცდილობენ დააშშვიდონ — ის კი პირიქით: წამოხტება, ექსტაზშია.../

ბენიკო: — პირველად მაშინ დავრწმუნდი საკუთარ დოყლაპაობაში, როდესაც ორი, ურთიერთგამომრიცხავი თვისება შემნიშნეს: ქარაფშუტა და მოსაწყენი მიწოდეს, ერთდროულად.

ქორო: — მერე და რა ტრაგედიაა...

ბენიკო: — როგორ! მოსაწყენი ანუ სკუჩნი, ჩაფიქრებული, კაცი — ქარაფშუტობამდე როგორ დაეშვება — ტოჩნა?

ქორო: — ტოჩნა!

ბენიკო: — და ქარაფშუტა ანუ ვესიოლი, მხიარული, ნიჭიერი კაცი — მოსაწყენი რაფერ იქნება?

ქორო: — იმფერ... ვერაფერ, ვერაფრად ვერ იქნება!

ბენიკო /მოწყენილად თავჩაქინდრული, პიჯაკის ღილს იწვალებს/:
— მე კი, ბედოვლათი — ამეებს ვაერთიანებ...

ქორო /დაყვავებით/: — განა სხვანნი არ გახლავან მოსაწყენნი და ქარაფშუტები?

ბენიკო: — ერთდროულად?... მხოლოდ საბჭოთა კავშირი. რამეთუ — იმდენად სერიოზული წყობა-იდეოლოგია აქვს — არ შეიძლება ქარაფშუტა არ იყოს და მოსაწყენიც ტო�d აქ, ბოლო ათ წელიწადში თუ რამე მოხდა — ავღანეთში შეგლიჯინ-გამოკინწისკვრის გარდა — ეს ტარაზე ფასის აბაზამდე გაზრდაა... მაშ!

ქორო: — ჰო მართლა, გადავუხვიეთ... რა და სად, როგორ იშოვე, გვითხარი, გაგვიზიარე! /ბოლოში წამღერებით/.

ბენიკო: — პადაგრეკი? /ამაყად აღებს ჩემოდანს და ბოთლები სათითაოდ ამოაქვს/: — მაშ ასე: ორი ბოთლი კუბანური — თითო ორ მანათ სამოც კაპეიკიანი, მემრეე... წყვილი არაყი "რუსკაია" ციდა ბოთლებში, ჩეკუშკებში. — მეეთ სამაბაზიანები, ჰამაც ბოთლი წითელი — "ვარდისფერი მაგარი" ჰქვიან — მეეთ რვაშაურიანი... იტოგში, ცხრა და ოთხმოცი დაიჭირა, /კმაყოფილი კეტავს ჩემოდანს/ ჰო, ორი ბუტერბროტი ავიღე ბაქანზე — რომ არ ვარწყიო.

ქორო /დაყვავებით/: — გული რომ არ აგერიოს, გინდოდა გეთქვა.

ბენიკო: — არა ღვთიურებო, არა. ზოგ სასმელზე გული მერევა და არ ვარწყევ. სხვაზე — პირდაპირიქით. /ნატანჯი სახით ზეცაში იყურება/: ოჰ ღმერთო! განა ეს სწადია ჩემს ცოდვილ სულს?

ამასობაში, თითქოს პასუხად, რადიო ახმიანდება — ქალის გაყინული ხმით. მთელი განცხადების მანძილზე, ბენიკო ზეცას მისჩერებია, გაუნძრევლად.

რადიო: — მოქალაქე მგზავრებო! ჩქარი მატარებელი "მოსკოვი-ყიყლიყო" გაჩერდება შემდეგ სადგურებში: "ნამგალი და ურო", "გორი", "ჩუხლინკა", "რეუტოვი", "რკინიგზელთა", "შავები", "ნატანები", კიდოვ "ელსახშირი", "ორეხეევო-ზუევო",

"კრუტონი", და მიმართულების სხვა პუნქტებში, "ესინოს" გარდა!

ბენიკოს თითქოს არც ესმის დიქტორის ხმა — გახევებულია... ფიქრებშია ჩადარდიანებული და თავისთვის ჩურჩულებს.

ბენიკო: — აი, ჩემი სულის გვალვას რითი ვრწყავ — რა მაქვს საშველად — შეხე უფალო, რა? განა მჭირდება მე "ვარდისფერი მტკიცე" მეეთ ორ აბაზად...

საშინელი ელჭექი გაიელვებს ცაში — საითაც ბენიკო იყურება. ისმის ხმა.

ხმა: — წმინდა ტერეზას რაღად სჭირდება მაშ, სტიგმატები? განა სწადია მას ეს ვაება! მაგრამ იტანს, მოთმინებითა თვისით.

ბენიკო /აფორიაქებული/: — აი მეც... არას მარგია ეს ყველაფერი და... /იბნევა/: განა დალევა ჩემისებური და აქაური — ტანჯვა არ გახლავთ? რომელსაც ვიტან...

ბენიკო იმედით შეჩერებია ზეცას, ელის რაღაცას, თავისთვის ლოცულობს კიდეც... მაგრამ ხმა, ჭექა-ქუხილი და ელვა გამქრალან. სიწყნარე ისადგურებს — მოისმის და ძლიერდება მხოლოდ მატარებლის რითმული: "დაგან-დაგან, დიგინ-დიგინ". სინათლე ქრება, თანდათან. ბენიკო ჩემოდნიდან ბოთლს იღებს და გადის.

სურათი 2

მუშათა საერთო საცხოვრებელი თუ კანტორა, გაურკვეველია. შუაში მაგიდას, თავზე სვანური ქუდებით მუშები მისხდომიან და აზარტულად უბრახუნებენ დომინოს. ბენიკო კედელთან, ტახტზე წამოწოლილა. ერთი მუშა მას მიუბრუნდება.

ტოტოშკინი: — შენ ეი, ბრიგადირ, მოეშვი მაგეებს.

ბენიკო /გაოცებული/: — რას მოვეშვა?

ბლენდიაევი: — რას და... დღეს ლუდი ხეთქე?

ბენიკო: — გეახელით, დიახ.

ბლენდიაევი: — ბლომაა?

ბენიკო: — საკმაოდ, ჩემო ბატონო.

ტოტოშკინი: — მერე ადექ და გასწი, მოსაფისავად.

ბლენდიაევი /თან როგორც დანარჩენი მუშები, ბენიკოს გარდა — ბოთლიდან ყლურწავს პორტვეინს/: — გალიფა კუმი — თქვა, შე პივიანო — ინტელიგენტო.

ტოტოშკინი /პორტვეინს მოსვამს/: — ერთხელ თუ შეგიმჩნევიათ გასული, ამხანაგებო!

მუშები: — არაა!

ბენიკო: — მე, მე ასე არ შემიძლია — თქვენსავით ავდგე და საჯაროდ გამოვაცხადო: წავედი იმაზე! ხომ არსებობს მორიდება... ჯერ კიდევ ივანე ტურგენევი გვასწავლიდა... ისა, სირცხვილია...

მუშებმა თამაში შეწყვიტეს და ბენიკოსაკენ მობრუნებულები მტრულად, აბრეზით ათვალიერებენ. ისმის: "ტოეე მნე", "ტი სმატრი", "კუერვაა"... "ნაშოლსა გავსადავ"...

ტოტოშკინი: — ტურგენევს ლოთიანად, მოეშვი. თავადაც გაგვიჭლია.

ბლენდიაევი: — იცი შენ ამხანაგო, სახალხო გმირმა მარესიევმა რა თქო? დამოკლების შემდეგ... /ფეხების მოჭრას ასახიერებს/.

მუშები: — რაო სიმონ, რა მინდაო?... ვიტთომ...

ბლენდიაევი /გამარჯვებული/: — თითოეულს სულში ლიჩნი კომისარი უნდა ეჯდესო! გალიფა კუმი-თქვა! გეყურება შეენ?

ბენიკო ზანტად იწყებს წამოდგომას, თან თავისთვის ბუტბუტებს.

ბენიკო: — კოლხოზი ნებაყოფლობითი რამეა — გინდა არ გინდა — უნდა შეხვიდე! /და ლასლასით გადის/.

ტოტოშკინი: — აი ასე: აღსდექ და წადი! /შემდეგ ტყაპუჭიან ქალს მიუბრუნდება/: სვეტოჩკა, ეგ იმით ცნობილი ბენიკოა — ერთხელაც რომ არ გაუქარვებია უკნიდან, მაშ!

სვეტოჩკა: — მისდღემჩი? გადასარევია პირდაპირ! და ასეთ კაცს ბრიგადირად გვინიშნავენ...

ბენიკო საქმიანი ბრუნდება, ხელში ნახაზების ჩასადები მრგვალი საქაღალდე უჭირავს. ხსნის და იქიდან ვრაფიკებს აძრობს — მუშები ინტერესდებიან.

ბენიკო: — ჩემს ბრიგადირობამდე, თქვენ როგორ ირჯებოდით? დილიდან დომინო, შემდეგ საქმე — ბარაბანს ვააგორებდით და თხრილში კაბელს ჭიმავდით, ასეა?

მუშები: — ასეა! კი, მაშა, ჰო.

ბენიკო: — მორჩენილზე, თითოეული გემოვნების მიხედვით ილხენს: ვინ ვერმუტს წრუპავს, ვინ ოდეკოლონს და ვიღაც პიჟონობს კიდეც — შერემეტიევოს საერთაშორისო აეროპორტის ბუფეტში კოკტეილს აბუყბუყებს არა?

მუშები: — არაა, მა, რა, კი.

ბენიკო: — ვიტალიკა ნაფარმაცევტალი კი, /ხელს იშვერს მძინარე, ლოგინზე ჩახუტებული კაცისაკენ/: რასა ნთქავს, ვინ უწყის... ვიტალი ესკვაირო! ჰკითხე ერთი ტელეფონით, ნიდერლანდების დედოფალს, რომელი საათია?

გასაუთოებელი პერანგივით მიგდებული და რატომღაც ჭრელ სვანურ-ქუდიანი ვიტალიკა იშმუშება-იზმორება, ფეხიდან "ტაპოჩკას" იძრობს — ზედ ნომერს თვალდახუჭული კრიფავს — ყურთან მიაქვს, უსმენს რაღაცას და ძილბურანიდან იძახის.

ვიტალიკა: — დალევის დროა, ძმებო... /და ისევ მიმჩვარებული იძინებს/.

ბენიკო: — ასეე. შემდეგ დილიდან რას საქმიანობდით?

ტოტოშკინი: — ბარმატუნით გამოვდიოდით, ტოის, ვფხიზ-ლდებოდით.

ბენიკო: — და მერე თხრილიდან კაბელს ამოსწიკავდით — რადგან მიწადაუყრელი ის აღარ ვარგოდა უკვე და ხელახლა დომინო მაყუთზე, არა? დაძინებამდე.

მუშები: — ასეა. დასტურ! მაშა, კი. კანეჩნა!

ბენიკო /თავიდან შავ ნაბდის ქუდს იძრობს და წინ იშვერს/: — ჰოდა პროლეტარებო, ჩვენი ქვეყნისა! შემოგთავაზოთ მსურს, ცვლილებები. /გრაფიკებს იღებს და კედელზე აკრავს, მუშები ინტერესით ეცნობიან/: აი ამსანაგებო, თვითოეული ჩვენგანის სმა-მუშა-დღის ინდივიდუალური გრაფიკი: ალექსი ბლენდიაევის, ვიქტორ ტოტოშკინის, ჩემი გნებავთ... გაეცანით? ვინძლო თითოეულს საკუთარი ტემპერამენტი

და შრომა-ყლურწვის რითმი გაქვთ, მუშათა კლასის წინაშე თავს ვალდებულად ვთვლი, რაციონალიზატორული წინადადება წამოვჭრა: მთელი ძალა-უფლება გრაფიკებს!

მუშები: — ეეგ როგორ?

ბენიკო /აზარტით/: — ერთ დღეს დომინო, საღამო დილიხორის მიხედვით, მეორე დღეს პანმელიაზე გამოსვლა ვერმუტით, მესამე დღეს ისევ დომინო-დილიხორით, მეოთხეს — ჟერმუტით გამო'მუშება!

მუშები /პირდაღებული/: — და ბარაბანი კაბელით?

ბენიკო: — ეგდოს თავისთვის, ხელ-კუნთ-უსლებელი. აღარც გავაფუჭებთ და პრემიებსაც ჩავიჯიბავთ ეკონომიისათვის.

მუშები ახლა უფრო ყურადღებით ჩაჰკირკიტებენ სქემებს — ერთმანეთში ბჭობენ, კამათობენ — თან სვამენ, ყაყანით. გარედან ისმის მანქანის მუსრუჭების და კარების ჯახუნის ხმა. შემოდიან ბარბაკით, ნასვამი უფროსები, ძვირფას სვანურ ქუდებში. თუმცა თავი მკაცრად უჭირავთ — არ იტყობენ... უფროსი, ხელაძე, ბენიკოს მიმართავს.

ხელაძე: — თქვენ ბენედიქტ, ყოველგვარი დისციპლინის მიღმა ყურყუტებთ...

ამასობაში ბლენდიაევი ხალხს გამოეყო და უფროსობას მწყობრი ნაბიჯით, თუმცა წაყირავებით ეახლა და ჩესტიც აუღო. ომახიანად, მხედრულად უპატაკებს.

ბლენდიაევი: — ალექსეი ბლენდიაევი, წარჩინებული მუშა-მთხრელი, სკკპ წევრი 1937 წლიდან, ამხანაგებო! მშობლიური 217 MOC. CMY-ს ხაზეის, ამხანაგო ხელაძევ! აი ჩვენი მუშა-სმა-თხრის დღეების ინდ-გრაფიკები და შესრულების გეგმა. /კედლიდან ჩამოხსნის, მოხვეტავს ბენიკოს სქემებს და საზეიმო ნაბიჯებით უფროსობასთან მიაქვს. ისინიც ინტერესდებიან — ხელაძე გულდასხმით უკირკიტებს ბენიკოს გრაფიკს/.

ხელაძე: — ამდენი სმის შედეგად ბენედიქტ, ყელის კიბო განაღდებული გაქვთ! /და მის წინ გავგიმულ ბლენდიაევს მიუბრუნდება/: ამიერიდან თქვენ ჩაიბარებთ ბრიგადას!

/გახარებული ბლენდიაევი ჩესტს უღებს. ხელაძე ღირსებით ტრიალდება და ამალასთან ერთად ბარბაცით გადის. გარედან კარის ჯახუნი და მანქანის ხმა ისმის/.

ბენიკო: — ოლონდაც! ყელის კიბო რომ მომსხიპავს, თავადაც ვიცი—

გაყოყოჩებული ბლენდიაევი უეცრად აყვირდება, ძლიერ მოკიდებია და აქამდე ძლივს იჭერდა სხეულს.

ბლენდიაევი: — ცუდად დაამთავრებ ბენიკოდიქტ! გადალოთდები — როგორც კალანტაი სტოკჰოლმში! ღობის ძირას ჩაძაღლდები — როგორც კლიმ ვორიშილოვი! /და თავად გალეშილი გაიშოტება იატაკზე/.

ბენიკო /ავანსცენაზე გამოდის, წყნარია, ფილოსოფიური/: — როგორც ერთი ჩეში ძმაკაცი ამბობს: ცხოვრება ბავშვის ნიფხავივითაა — მოკლე და ჩასვრილი— და ჭეშმარიტად: მთავარი არაა ვინ ხარ შენ, მთავარია რა ხარ, /დაფიქრდება/: — ან პირიქით!

ბენიკოს უხმოდ უახლოვდებიან ბრიგადის წევრები და შუბლზე ბარათებს აკრავენ— ის მორჩილად იტანს ყველაფერს. გაეცლებიან. თანდათან მარტო დარჩენილი ბენიკო იძრობს შუბლიდან ქაღალდებს და ხმამაღლა კითხულობს.

ბენიკო: — "ინდივიდუალური სმა-მუშაო-ბასიაკობის მანკიერი გრაფიკების დანერგვის უზნეო და ანტისაბჭოთა პრაქტიკისათვის — განთავისუფლდეს ბრიგადირობიდან!" /ბენიკო ზიზღით მოისვრის მათ/: — და აი მე, ბენიკო, ღმერთისა და ხალხის წინაშე საზეიმოდ ვაცხადებ: აღარასოდეს მოვიწადინებ — ავბობღდე საზოგადოებრივ კიბეზე. ჩამოვჯდები სულ ქვეითა საფეხურზე და აქედან ვაწიტავ მაგ აღმავალ კიბეს. თითო ფურთხი — თითო საფეხურს. რამეთუ ზედ ამფორთხავი — უცილობლად ნაძირალა და უტიფარი როჟა უნდა იყო!

თანდათან ჩაბნელებული სცენა ისევ ნათდება — ზემოდან წამოსული სხივი ავანსცენაზე გამოსულ ქოროს გამოკვეთავს. ქორო:

> და მიარწევს მარტოსულს, ისევ მატარებელი
> ყიყლიყოში ელიან! იქ არა აქვთ კედელი—
> ახლა ოცნებებშია — გზაა მისი მშველელი
> მანამდე კი ბენიკოს, დრო აქვს სატარებელი!

ისევ ძლიერდება მატარებლის რითმული ხმა: "დაგან-დაგან, დიგინ-დიგინ", ვაგონი — ღია ცით, ფანჯრის მიღმა ეკრანზე ცვალებადი პეიზაჟებით— სკამზე მოკალათებული ბენიკო პიჯაკის გარეთა, გულის ჯიბიდან ვერცხლის ციცქნა სირჩას იღებს, ისხავს და სვამს.

ქორო: — ზედმეტი ხომ არ მოგდის ბენიკო?

ბენიკო: — მთელს დუნიაზე, /მელანქოლიურია/: — მოსკოვიდან-ყიყლიყოს ჩათვლით, ჩემთვის ზედმეტი არაფერია.

ქორო: — ჩვენ გვეშინია ბენიკო, რომ ისევ ვერ ჩააღწევ ყიყლიყომდე და ჩვილი სასუსნავის გარეშე დაგირჩება— საწყალი ბავშვი!

ბენიკო /შეშფოთებული/: — რატომ "საწყალი ბავშვი?" წინაობაზე ხომ დედიკომისმა დამიმალა— ახლა, ახლა მაინც შემპირდით ანგელოზებო — რომ ყიყლიყომდე დამემგზავრებით — მყავდით ქომაგად!

ქორო: — გზაში ვერაფრით. გასაფრენი ვართ, სხვაგან, საქმეზე.

ბენიკო: — და იქ, ყიყლიყოს ბაქანზე?—

ქორო: — შეგეგებებით. /უჩინარდებიან/.

ბენიკოს ჩემოდნის მაგივრად ახლა, სათუთად ატატებული ჩვილი უჭირავს — არწევს, ეფერება, მიმართავს. ჩვილს პაწია კახური ქუდი ახურავს.

ბენიკო: — მითხრეს ავად ხარ — არაფერს ჭამსო. არ მოკვდე შვილო— თავად განსაჯე: ასეთი კუკნა გარდაიცვალო — სიცოცხლეში "აღუუს" თქმა მოასწრო მხოლოდ — რა სიბრიყვეა გესმის? და სისულელე—

ჩვილი: — მესმის მამიკო, მამა.
ბენიკო: — და თუ გიყვარვარ?
ჩვილი: — ძალიან, ძალიან.

ისმის ქართული იავნანა. ბენიკო ბავშვს არწევს... თან ჩასჩურჩულებს.

ბენიკო: — აბა ის რა ბავშვია — არასდროს რომ არ შია...
სად გინახავთ ტანკისტი — კეკლუცობდეს სარკის წინ
სად გინახავთ ვირი — სეირნობდეს სტვირით!
— უშენოდ მთლად მარტო ვარ შვილო... ვითარც ფიჭვი
ეული: აყლაყუდა და მწვანედ გაჩხინკული...

ჩვილი: — გაციკულიი...
ბენიკო: — ანდა როგორც ბაბუაწვერა...
ჩვილი: — ბუა-ბუა ველაა?
ბენიკო: — ისიც ხომ ჩემსავით დაფარფატებს სიოზე. განა არ არის ჩემი უგზო-უკვლო ხეტიალი ამაზრზენი?
ჩვილი: — აზზა-ზზენიი...
ბენიკო: — დაიძინე ჩემო ტურფავ, თვალის სინათლეო... /სიმღერით მიაძინებს ჩვილს და ახლა სინათლეში, ავანსცენაზე მობრუნებული, აღზნებული ჰყვება/.
ბენიკო: — და პირველ რიგში, ღვთაება დედამისზე — ამ ბრწყინვალე, წითურ ალქაჯზე უნდა გიამბოთ. "ბენიკო გეენცვა" — მეკითხება ერთი-ორი ჯეელი — "სად ამოთხარე ეს ჭია-კოკონ-ქაია?" სად და ყიყლიყოში, მხოლოდ იქ. ის ჩემი რიჟა გარიჟრაჟია! მოსკოვში ასეთი ფერიები აღარ ხარობენ — გადაშენდნენ ან გადაბოზდნენ. /და ბენიკო ცნობილ მელოდიაზე — "წაღვერი და თბილისი" მღერის/:—

მე რომ ბედი მქონებოდა,
ღმერთს ერთ რამეს მოვთხოვდი
ახ! ნეტავი ერთად იყოს —
ყიყლიყო და მოსკოვიი!

ბენიკო /გამოჯავრებით/: — "ეს ქალიშვილი, სრულიადაც არ გახლავთ ქალიშვილი"... ოლონდაც! მაცდური ქალი კი

არა და, ბალადა — ლა ბემოლ მაჟორია! "ტანო-ტატანო"
ლღვება ბესიკი და სულსა ღაფავს — თქვენი ბესიკოც..

იწყება რუსული "ბლატნოი" სიმღერა. სცენის შუაში ნათდება მაგიდა, გარშემო მთვრალი კომპანიით. ერთი წითური ქალი ბენიკოს ემუსაიფება სუფრაზე — დანარჩენები ბურუსში რჩებიან: მხოლოდ ქალის და ბენიკოს სახე ვამოიკვეთება რიგრიგობით, ლაპარაკისას.

წით. ქალი: — მაშ ეს თქვენა ხართ, ბენიკო-მწერალი?

ბენიკო: — გახლავართ.

წით. ქალი: — ერთი რაღაც წავიკითხე თქვენი — ნაღდად არ მეგონა, რომ ორმოცოდე გვერდზე ამდენი დომხალის, აბდაუბდის მოჩურჩუტება თუ შეიძლებოდა! ეს მამ-ლაყინწას შესაძლებლობებსაც აღემატება... დაჟე ტუტ-პეტუშკებში!

ბენიკო /ამაყად/: — უარესის ჩმახვა-მიქარვაც ძალმიძს! აიმაგ შემოქმედებას ხომ იუროდივის დაუძახებენ — კირკიტოსები!

წით. ქალი /დაბნეული/: — იუროდ-ირიდ-ییი-როდიოსოვი ვინ რაღაა?

ბენიკო: — მუდამ ეგა ვართ სხვებისთვის, მადამ! /გადაჭკრავს და წამოიძახებს/: — შმაგი არის ჩემი პროზა, სალოსი ვარ მე, ღვთის გლახობით თავს გავიტანთ — ისიცაა და მეც.

წით. ქალი: — ნუთუ მართლა ყვინჩილობთ თავად ყიყლიყოშიც?

ბენიკო: — იუროდივირი ვარ და ვყვირივარ! აფსკვნიან ჩაკირკიტებულნი.

/ღიღინით/: — მე ევდოშვილის ქუჩაზე ვცხოვროობ და
ყოველ დილით — ვხვდები ირიდიინს!

წით. ქალი: — მაშ ყურუმსაღი ბრძანებულხართ...

ბენიკო: — კი. ვცდილ-ცოდვილობ.

მუსიკა ძლიერდება — ქალი დგება, ბენიკოს ნარნარად უახლოვდება — ზურგიდან ეხვევა, უცბად შორდება: ცეკვა-ცეკვით იხდის სამოსს, ბენიკო წაეტანება — სამი თითის კომბინაციას იღებს პასუხად, არ ეპუება — ხელში ატაცებული ქალი სცენის სიღრმეში გაყავს, ტახტისკენ: იქ ბუნდოვანი სექსია... ბენიკო ისევ ავანსცენაზე გამოდის, ტახტზე კი ბღლაძუნი გრძელდება...

ბენიკო: — და ასპიტივით, კანიც გაიხადა… /ჩურჩულზე გადადის/: — ამ ქალით ტკბობისას, ხმა კი არა — ნივთიერებათა ცვლაც მეკმინტება… /მაღლა იყურება/: — ოოო, ღვთიერო ანგელოზებო, ნუთუ გამკიცხავთ?

ქორო /მხოლოდ ხმა ისმის ზემოდან/: — სად ამოქექე ეს წითური ალქაჯი, ბენიკო?

ბენიკო /მეოცნებე თვალებით/: — ჩავიკარგები მისი სხეულის ნეტარ ლაბირინთებში… მაგ ღრუბლებიდან ვით შეაფასებთ — წითური თმების შადრევანს — ამოხეთქილს დუნდულებიდან კეფამდე და შარავანდედად დადგმულს… მოიხიბლებით განა? მისი საძოვრებითა და ბალჩა-ბაღებით, გასათოხნებით… /მღერის/:

მე რომ ბედი მქონებოდა
ღმერთს ერთ რამე მოვთხოვდი:
ახ! ნეტავი ერთად იყოს —
ყიყლიყო და მოსკოვი!
"Прости-ка, тут всем простии..."

ქორო: — ნუთუ ვერ ხვდები, რომ მრავლისაა ის და გაფრთხილდი! ნახვამდის… მასტერავოის მივყვებით.

ბენიკო: — პაკა, ბაქნამდე! მრავლისაა… რა მიამიტი ბრძანდებით სიტყვებში… ბოზანზარაა რალა თქმა უნდა და აზანზარებს ზეჯას… მიყვარს კი, მეტად! გაუშვი ქალმა მე მიღალატოს, ვიდრე სამშობლოს! /ბოლო ფრაზას ლოზუნგივით, ironიულად ისვრის/.

ბენიკო სცენაზე ბოლთას სცემს, სვამს და ხმამაღლა მსჯელობს, აღგზნებულია.

ბენიკო: — მართალია, ჭკუას ვკარგავ იმ მიბზეკ-მობზეკ-გაბზეკილობებზე, რაიც კაცებს ხელგვემწიფება და მიშვებულზე ვიტკბარუნებთ… მაგრამ ვეჟო! მაგათ არ გამოფატრეს, არაკორუმპირებული მარატი? ბებუთითა… /სვამს, ყოყმანობს, მსჯელობს/: — და მაგენმა, კართაგენმა მზაკვარმა — თავად ილიჩს, არაარისტოკრატ ვლადეიმირას, ნაგანი დაახალეს, კაცო! კარგი საყვარელო

— ჩაცუკქული პატარასაქმიანობ უმწეოდა და ჰქენი ჩემო ფისოო-ფისუნია- -მიაუ! მიაუ! ოღონდ ციკ! პროლეტარიატის ბელადს ცხვირწინ იარაღს რაღად უტრიალებ, ტკბილო? ასეე ჩემო ბატონებო... ადამი მთხლე თიხისაგან ამოიძერწა, ხოლო ევა მკვრივი ნეკნისაგან გამოიტკვირა, მაამ! /კისერს ისრესავს, გულმკერდსაკ/: — ისე ჩამოცხა, ვითარც მანიას ილლიებში... ჰაიდა ვაგონში!

სინათლე ქრება.

სურათი 4

ისევ ჭერახდილი ვაგონი, მგზავრებით. რითმული "დაგან-დაგან-დიგინ-დიგინ" და ფანჯარაში ცვალებადი პეიზაჟები. შემოდის ბესიკო — თავის ადგილს უბრუნდება და ცარიელ ბოთლს იქ დატოვებულ ჩემოდანში დებს... მისი შემადგენლობა რალაც ეჭვს აღუძრავს — მიმოიხედავს — მგზავრებს ათვალიერებს. გვერდით ორი კაცი პურმარილობს — თავზე ფერადი, ანტენიანი ბერეტებით. ერთი ბრიყვული გამომეტყველების ახმახია, მეორე გაწრიპული, სქელშუშა-სათვალიანი ინტელიგენტი. ახმახი ჩაის ჭიქაში ისხავს და ნეტარებით ყლურწავს.

ახმახი: — აუჰ, კარგად წავიდა ოსერი — დედის ძუძუსავით შემერგო! /სიამოვნებისაგან იხმორება, თან ყურის აპარატს არეგულირებს/.

ინტელიგენტი ორი თითით წევს სირჩას, ყნოსავს და მოსვამს.

დეკაბრისტი: — ტრანს-ცენ-დენ-ტალურია! /თეატრალური აღფრთოვანებით, საზეიმოდ/.

ახმახი /საჭმელს ხარბად იტენის, ილეჭება/: — ნუ იტყვი! დღეს ზაკუსკამ დახურა... დღეს ჩასაფენი გვაქვს იმფერი რომ... ბერი ნე ხოჩუ! მაშ, იმდენი თოხლია! /სასმენი აპარატის მეორე ბოლოს, მიკროფონივით უშვერს სათვალიან მეგობარს/.

დეკაბრისტი /პირში შოკოლადის ფილას იტენავს და თავს უქნევს/: — აბა-ბაა! ტრანს-ცენ-დენ-ტალური!

ბენიკო ახლა ვაგონის სხვა კუთხეში მიმჯდარ-მიყუჟულ, პაპა-შვილიშვილს გადახედავს, ეჭვის თვალით. მოდებილო ჯელელი, ჩაჩის ფოჩებით წამდაუწუმ ცხვირს იწმინდავს, გამოხუნებულ და ვარსკვლავ-ბერეტიანი მოხუცი კი მაჯით — ლოთობით აცრემლებულ თვალებს. ბენიკო მათ ხელით იხმობს — ისინიც ფიცხელ მორბიან და წინ უსკუპდებიან. ბენიკო ისევ ჩემოდანს ჩაჰკირკიტებს.

ბენიკო: — რა გქვიან ბერიკაცო და საით გაგიწევია?

მიტრიჩი: — მიტრიჩს მეძახიან. აგი ჩემი შვილიშვილია — მიტრიჩაა ეგეც. ორეხოვოში მივბანდალობთ, ლუნა პარკში — კარუსლით უნდა ვიპროწიალოთ.

ჯელელი /გახარებული, დასტურად თავს აქიცინებს/: — ییی-ی-ی!

ბენიკო: — მაშ ბრძანებთ კარუსლითო. იქნებ კარუსელზე?

მიტრიჩი /გადამწყვეტი კილოთი და სახით/: — კარუსლით.

ჯელელი /ცხვირს იწვალებს/: — ااا-ا-ا!

ბენიკო: — კეთილი. ერთი მიბრძანეთ მიტრიჩ-ბატონო, სასამ მე, ტაბბურში ნეტარ და არც თუ სანეტარო ზმანებებში დავფრიალებდი, აქ რასა ვქმდი და ცოდვილობდი? გამიზიარეთ ერთი, გეთაყვა...

მიტრიჩი /შეშფოთებული/: — მე არაფერი... მე, მე მხოლოდ კომპოტი გეახელით — ქიშმიშიანი სლოიკით, /შვილიშვილს გადახედავს — ის კმაყოფილი ამოიასლოკინებს/.

ბენიკო: — მაშ კომპოტიო, თანაც ფუნთუშით...

მიტრიჩი: — კი, კი, კომპოტი-სლოიკით.

ბენიკო: — ასეე. მშვენიერია! მაშინ როდესაც ციურ ჭიდილში მე სულსა ვლაფავ და ვიოფლები, თქვენ აქ — ჩემს საჯდომ ადგილზე, ჩემს ჩემოდანში კომპოტს რა უნდა? დაეძებთ მუხასათურად და ვერ პოულობთ... ხარკად კი იმასა ყლურწავთ — რასაც აწყდებით — არაყს! მირზავჩიკ ბოთლში.

ბრალდებას პირველმა ბერიკაცმა ვერ გაუძლო და ატირდა, მაშინვე შვილიშვილიც მიყვა: სახეზე ხელებაფარებული ქვითინებენ და ბენიკოს სიტყვებს მხრების რწევით — ტაქტში აყვნენ.

ბენიკო /მოლბა, მჭერმეტყველებს და ჟესტიკულირებს/: — განა არ მესმის მეკარუსელნო, მე! თქვენი!... დაა-და! /იმათ წამით თავები წამოწიეს და ისევ ჩამალეს ხელებში/: ადრე ადამიანებს საყრდენი გააჩნდათ: ჰუსარს — ხმალი, ლიუთერს — ღმერთი, ესპანელ ბანოვანს — აივანი, საბჭოელებს კი — მარქსიზმ-ლენინიზმი! ახლა რაღა ჯანდაბას უნდა დაეყრდნოს მუჟიკი-მეთქი? ვოდკას და სელიოდკა ხომ წაართვეს უკვე ფასითა, მაშ!

მიტრიჩები /ერთად/: — ახხ, მაშ, ნამდვილად შევცდით! ییییი-ი, გვაპატიჟეეე...

ბენიკო: — კმარა ცრემლები! თუ მოვინდომე — ყველას გავუგებ. /თავზე ხელს იტყაპუნებს/: — თავი კი არა ბორდელია — იმფერებს იტევს. გამხიარულდი ბუსარო: ღირღიტავ ბანი უთხარო — ბენიკო გპატიჟობთ ისევ და ისევ...

ამ დროს, განმარტოებით მჯდარი წვერულვაშიანი კაცი დგება და მათ უახლოვდება. ჩონჩხის ემბლემიანი ბერეტი ახურავს. შინ ნაქსოვი სქელი სვიტერი აცვია და ხელში დაუტენავი ჩიბუხი უჭირავს.

წვერიანი: — მეცა მსურს ძმაო, თქვენთან დალევა! /მხოლოდ ბენიკოს მიმართავს/.

სუყველა მას ათვალიერებს. ბენიკო ჟესტით იპატიჟებს.

ჯელი: — ییییی, როგორი ბიძიაა, /სრუტუნით/: — როგორი ეშმაკი ბიძაა, یییییی

ბენიკო: — იგი გახლავთ ნაზავი არყისა — ნებისმიერ წითელ ღვინოსთან. უფრო გაჭირვებულზე გეცოდინებათ. სხვა კოკტეილებიც არსებობენ: "ჟენევის სიო", "ხანაანის ბალზამი", "კომსომოლკას ცრემლები", "ძუკნას ჯიგარი", და...

მიტრიჩი /საქმიანად ამატებს/: — და კიდენა სპირტისა: პოლიტურიდან დაწყებული კიდენა — ოფლის საწინააღმდეგო ხსნარით დამთავრებული!

ყველამ საკუთარი ჭურჭელი გააძრო: ბენიკომ ვერცხლი ამოაცურა წინაჯიბიდან, წვერიანმა დასაკეცი ჭიქა ჩამოფერთხა ოსტატურად, მოხუცმა მინერალური წყლების საყლურწი სურა, ჯელმა ჩამჩა. ამ დროს რადიო ახმიანდა — ქალის გამყინავი განცხადებით.

რადიო: — მოქალაქე მგზავრებო! "ზვიოზდნიში" მატარებელი არ ჩერდება. ჩვენს "კომკავშირულ-ჩქარში" მოწევა, დალევა და სემიჩკის კვნეტა აკრძალულია! ჯარიმა: თუმანი-ჩამოსმით!

ბენიკო: — "ფარსკელავევთს" — კოსმონავტთა დამიზნებისა და ტყორცნის ცენტრს, ჩვენ ხაიას ვუკეთებთ! მირბის მიმაფრენს ჩემი მერანი... ანდა მიმარწევს მთვრალი ხომალდი! /წამღერებით/: — კაციი იყავ კაცური და — სადაც გინდა იქ ილოთეე!...

ბენიკო სვამს. სვამენ სხვებიც — ვინ პიანისტივით თავაწეული, ბენიკო დაჭყანული, ვინ ვირტუოზულად, მოხდენით. ჯელი კისერზე ჩამოკიდებულ საწოვარას აყოლებს.

წვერიანი /დალეულზე, ბენიკოს/: — ეგ ადამიჩია, ბარათაშვილი, ბუბაა და არტურია ლოთი, რემბო. ივანე ბუნინი კი წერს, რომ თურმე წითურები დალეულზე უფრო ალდებიან.

ბენიკო: — ნუთუ?

წვერიანი: — ხოლო ჩეხოვის უკანასკნელი სიტყვები გახლდათ: "ის შტერბე" — ვკვდებიო ზნაჩიტ, გემახსოვრებათ, მერე კი დააყოლა: "შამპანური დამისხით ერთი" და მიიცვალა, ცხონებული. აბა!

ბენიკო: — მართლა? მერე და რა... და რა?

მიტრიჩები: — უკურე შენ! ვა

ბავშვებს, ლოთებს /ნიკაპით მიტრიჩებზე მიათითებს/: — და იანკებს.

წვერიანი: — იანკებზე რა მოგახსენოთ და ლოთებს — ნამდვილად. აი ვთქვათ, ვდია ტლაპოში მუსორსკი. ჩაუბარბაცა რიმსკი-კორსაკოვმა, ნიკოლოზმა — ტროსტით შეუღიტინა ტალახიან ილლიებში და უთხრა: "ადექ და გასწი! გალიფა კუში აქედან — მოაღრჩე ბოლო-ბოლო, ის შენი ოპერა — ბორია გაგუდე, დავაი! წამოიფხიკა მოდესტა და გაემართა წურწურით, საწერად. შებრუნდა დაარხეინებული რიმსკი-ჩემისა დუქანში — გამოდის ნაგულავები, რას ხედავს: მუსორ-სკი ისევ ლაფში არ ყვინთაობს? ასე წვალებით დააწერინა ამ ოხერმა იმ ოხერს... დანარჩენი "ზოვანშინაც" აბაა! ახლა კიდევ სოციალ-დემოკრატები აიღეთ...

მიტრიჩი: — ნაკითხია, ბიბლიოთეკარივით, მამაცხონებული...

ბესიკი: — რა, სოციალისტებიც, გეთაყვა?...

წვერიანი: — ყველა ხელოვანი და პატიოსანი რუსი სვამდა! /წამოდგა, ბერეტი მოიძრო და ჩიბუხი ყურზე ჩამოიკიდა — ძლიერ მთვრალია/: — თუმცა ვერ გაიგებ — ვინ რატომ: მდიდრები ღარიბთა საკოდაობით აღრჩობდნენ სევდას ღვინოში თუ პირიქით — ღარიბები იგლიჯებოდნენ მდიდართა ბოღმით! ახლაც ვინ არ სვამს? თუ ცხონებული, ველარ დალევს? ბურკოვი თუ ოლეგ დალი, ესგიბარიანი თუ გიორგობიანი, ვისოცკი ან გაიდაი — ერთნაირად რიუმკუ — დაი! იყვნენ სულმნათები. ხოლო შუკშინი ისე თვრებოდა — მაჯის საათიც კი უკუღმა დაუდიოდა!

იმ ორიდან — ადრე რომ ნადიმობდნენ — ერთმა, კნაჭამ გამოიღვიძა — ამათ მოადგა ბერეტაფხორილი და ფეხარეული.სათვალე აყირავებია, ცალ ხელისგულს წინ იშვერს. მისი ახმახი მეგობარი — გამორთული სასმენი აპარატით გულის ჯიბეში — ნეტარ ძილშია, ბერეტჩამოფხატული.

დეკაბრისტი: — შესდექ ზემლიაკ! ნუთუ არ შეიძლება სიფხიზლე? გოეთე მაგალითად, ტრეზვესიკი გახლდათ!

წვერიანი /გაოცებისაგან თავზე ბერეტს იცვავს/: — როგორ? არ სვამდა საერთოდ... შეუძლებელია!

დეკაბრისტი /ბარბაცით და ნიშნისმოგებით/: — დიახაც, რომ. ტრანსცენდენტალურია! შესაძლო ხომ ადამიანმა, საკუთარ თავზე გამარჯვება — ვრამი არ მიულია!

წვერიანი /ცალთვალმოჭუტული/: — თქვენ რომელ გოეთეზე უბნობთ?

დეკაბრისტი /დინჯით ცდილობს ბარბაცის შეკავებას/: — საიდუმლო მრჩეველ: იოჰან ფონ გოეთეზე, სუდარ!

წვერიანი /იბნევა ისევ/: — გასაშტერებელი ამბავია... და ფრიდრიხ შილერს რომ შეეთავაზებინა ფრანგული შამპანი, მაშინაც?

დეკაბრისტი: — აა-ჰა-ჰა-ჰა! /გადამწყვეტად ეესტიკულირებს/: არც კი დაყნოსავდა!

წვერიანმა ძლიერ მოიწყინა — მთელი მისი სისტემა ქარს მიქონდა... დაჯდა, კუთხეში მიიბუზა — ბერეტი ლამის ნიკაპამდე ჩამოიფხატა. ბენიკო, რომელიც აქამდე აცდიდა მოპაექრეებს, მხოლოდ ახლა ჩაერთო.

ბენიკო: — თქვენ კეთილშობილო ბრძანებთ, რომ გოეთე ალკოჰოლს უარყოფდა?

დეკაბრისტი /ამაყად/: — მეტადრე მოკვდებოდა, /ხელებს ყელში წაიჭერს/: — ვიდრე...

ბენიკო: — და თუ იცით, რატომ?

აზარტში შესული დეკაბრისტი უსახიერებს — თავს ჩამოიხრჩობდა, ვიდრე ბოთლს გაეკარებოდა ან უარესი — დალევდაო.

ბენიკო: — იმიტომ ხომ არა — რომ მისი გმირები უკლებლივ, გამოუსწორებელი ლოთები გახლდნენ! /თანდათან წამოიმართება — ქუდს ისდის/.

ხალხი: — აა, ეეე, მართლა? /თითოეული თავისებურად/: — ტი სმატრი...

ბენიკო: — სხვებს ათრობდა და ამით ლოთობდა — მსცოვანი რეგვენი. გსებავთ "ფაუსტი" აიღეთ — იქ ვინ არა სვამს? ფაუსტი ყლურწავს და ბიჭუშკდება, ზიბელი რეკავს და

ფაუსტზე ბობღდება, მეფისტოფელი ხომ ურტყაკს და ურტყავს გამუდმებით — ხოლო თვრება: იდუმალი მრჩეველი ფონ გოეთე! ბებერი კომბლე ყმაწვილობაში თვითმკვლელობა გადაწყვიტა და— ვერთერს გააწირინა ქოჩორა თავი და თავად ცას გამოეკერა, ფლიდი დეზერტირი. როგორც ახალგაზრდობაში მოიკლა თავი სხვის ხარჯზე, ასევე სვამდა იმათი პირით, ძველი ქოფაკი, მთელი სიცოცხლე— /სცენას გაითამაშებს/: — შილერი ალალად სთავაზობს ბოკალს, ეს ლენჩი უარობს, მიწადასაყრელი. გაიხსენეთ ერთი, შეყვარე ულებს ყველაზე მეტად ვინ ებლანდებათ წამდაუწუმ, კოცნა-ალერსს ვინ უმწარებს სოფელ-ქალაქ-პარკ-ბუნებაში? ისევ მისსაირი ქვეშაფსია ბებრუცუნები!

ხალხი: — ნაღდია! /აღფრთოვანებულები, ტაშსაც შემოკრავს ვილაც/: — მალადეკ! აბა-აბა! სწორეა, შენ გენაცვალე, შენ!

ბენიკო /კეისრის ეესტით აჩერებს მათ/: — ესეც თქვენი ჩუმი მრჩეველი!

და ბენიკო მოხდენილად, არტისტულად გადააქცევს ალმართულ ქუდიან ხელს რევერანსად, თავს უკრავს დეკაბრისტს.

ბენიკო: — საიდუმლო და მხდალი ალკაშ-ფონი! ღვინო-კონიაკის ბიღლიწო და გოეთ-ვერანა ეგა! /ჯდება — ისხავს, სვამს და გატრუნულ პუბლიკას უსკვნის წყნარად/: — ალკოგოლიური სუტენიორი გახლდათ, ეგ თქვენი ყუჩი მრჩეველი და ხელებიც იმიტომ უკანკალებდა მუდამ— /თან საკუთარ ხელებს ითვალიერებს/.

გამოცოცხლებული ხალხი ყაყანს აგრძელებს, სვამენ — ზოგს აკლდება... დეკაბრისტი ხელებს შლის, მაგრამ ხათრი და დიდსულოვნება სძლევს — დაყვება ნებას, მიდის ღრმად მძინარე ახმახ მეგობართან — ჯიბიდან გაუხსნელ არაყს ულებს და კომპანიის შეძახილებით გამხნევებული, ბრუნდება. ხსნის და ყველას უსხავს. სვამენ — თითოეული თავისებურად ირგებს.

წვერიანი /ბედნიერია/: — გაუმარჯოს საიდუმლოდ, იოჰან-ალკაშ-ფონ-ვერან-გოეთეს და რადნოი — ივანე ტურგენევს,

ორლოველ თავადს! /დალეულზე, პირში ბუტერბროტით, ბენიკოს მიმართავს/: — რატომ გაქვთ ასე ნაღვლიანი თვალები? განა ეს სამართლიანია? ასეთ განსწავლულ კაცს ამდაგვარი კაეშანი გლრნიდეთ? ნუთუ დილიდან უპატრონოდ, ტოეს, ფხიზელი მომდინარეობთ?

ბენიკო: — როგორ თუ ფხიზელი, ყეყო — ძლივს გარჩევთ... გარეედან ვინძლო არც კი მეტყობა — ეს მოლოდინი სიხარულისა, ჩვილისა, ქალისა და სოფლისა: ია-ვარდ-მოფენილსა... /სიმთვრალე შეეტყო/...

დეკაბრისტი: — დააკონკრეტეთ, გეთაყვა!

ბენიკო: — ტრფობის ბუკეტი ხელით კი არა ტანით დამაქვს. ბოროტების ბოდლერა ყვავილები ჯიგრიდან ამომდის: ცისტიტი თირკმელში, ცეროზი ღვიძლში, რიუმკა-ტიზმები ძყლებში, მიოკარდები გულში, კიბო-კრული ყელში, ამოვამღერებ მე ამ თაიგულს: — ლექსი ამოგთქომ ოხერო!

მიტრიჩი /ქვითინებს/: — კარგად მეტყველებს ოხერი, პოეტურადა — ჯიგარი დაწვა... დადულრა!

ბენიკო /უადგილოდ წამოიძახებს/: — და საერთოდ! მთელ რუსეთში, მარტო მე მეშინია!... /უცბად ისხაკს და სვამს. სხვები ელიან.../

დეკაბრისტი /სულწასულად/: — რისი ბრძანეთ, გეშინიათ?...

ბენიკო: — ლიტინის. ერთი მე ვხვიხვინებ და ვბეირდები მთელ რუსეთში, როცა მიხიცინებენ.

წვერიანი /სერიოზულად, თუმცა უზომოდ მთვრალია, თავს იჭერს/: — მე კი მგონია, დედაკაცის გამო დარდობთ...

ჯეელი: — ეეე, ییی, დედაკაცი ქალია არა ბაბუ?

მიტრიჩი: — ბაბუ კი არა, პაპა. ჰო, ბაბაა რუსულად მართალი ხარ და ამათებურად /პუბლიკაზე ათითებს/: რავი, აბა.

ბენიკო: — რა შუაშია აქ ბაბა... ეე ქალი?

დეკაბრისტი /ირონიით/: — მგონი თავშია.

წვერიანი /დაყვავებით/: — არ შეიძლება სატრფოსთან ფხიზელი გაეშურო. ზნაჩიტ კაბრიზნია, იყოს თუნდაც! ფინთი... გეპოზე

უნდა დათვრე — რაც უფრო სტერვაა — მით უფრო. აი წამალი-მამალის! პეტუშკებში მიმავალის— ვცდები განა?

დეკაბრისტი: — ჭეშმარიტებას ღაღადებთ! სიყვარული ბრმაა — ორმოების თხრაა! სადაც თავადვე ვცვივდებით.

წვერიანი: — ეგ რუსულად ასე ჟღერს: "სიყვარული ბეცია — კაზიოლს მიგიციაა"—

"კაზიოლის" ხსენებაზე ჯეელმა ყურები დაცქვიტა და შეშფოთებული აქეთ-იქით ისედება. ბენიკო მათ დაბნეული უყურებს. ამ დროს ბერიკაცი გამოიჩიტა — აღელვებული.

მიტრიჩი: — მეც მინდა ხალხო, გიამბოთ სიყვარულზე!

ბენიკო /გამოერკვა/: — მიდი ოესო /პირჯვარს გადასახავს/ ანუ ძალიან ძველო, თქეო!

/სხვებიც ამხნევებენ — მხარზე ხელს უთათუნებენ, ჭიქას აწვდიან, ასმევენ/.

მიტრიჩი /ხელებით მუხლისთავებს ებღაუჭება და წინ-უკან ქანაობით იწყებს/: — თავჯდომარე გვყავდა სოფელში — ბებერი და სტროგი — ლოენგრინი ერქვა. სახე ძირმაგარებით ჰქონდა მორთული. ყოველ საღამოს მოტორიანი ნავით წაისეირნებდა — მიცურავს მდინარის აღმა-დაღმა, ყლურწავს მარტოდმარტო და თითებით ძირმგარებს იჩიჩქნის, /ბერიკაცს თანდათან ცრემლი მოერია/: მორჩება გულაობას, ჩაიკეტება თავისთან კანტორაში — დაწვება იატაკზე და ვერავინ ეკარება — ისეა. და თუ ვინმე რასმე შეჰბედავს — მიიყუჩება ფეხზეადგომილა კუთხეში, ზლუქუნებს ყმაწვილივით და იატაკზე აფსამს.

/ბერიკაცი უცბად ჩაქრა — თავისთვის აქვითინდა, ქალივით — თავზეხელებშემოხვეულს, მხრები უცახცახებს/.

წვერიანი: — სულ ეგაა, მიტრიჩ?

მიტრიჩი /ხელებში ჩამალული თავიდან, გაგუდულად/: — ეგაა. მორჩა!

მთელი ვაგონი ახარხარდა — თითოეული თავისებურად: ჯეელი ადგილზე სტუნვით.

წვერიანი: — და სად არის აქ ქალი, ტრფობა, ან მონაყოლი ტურგენევისეული? აქ მხოლოდ ძირმაგარებია და გვირგვინად: "იატაკზე შარდავს"—

დეკაბრისტი: — მაგან ახლა, მგონი კინოსურათი მოგვირაკრაკა, ისაა — ჰო: "თავჯდომარე" ჰქვიან!

წვერიანი: — კინოსურათი არა ბუს კვერცხები, სულ გამოკარუსელებულა საწყალი.

ბენიკო: — მიბოძე ჭიქა, მამილო — ჩამოგისხა ერთიც! სიბრალული და სიყვარული ღვიძლი დებია. "მაგრამ სულ სხვაა სიყვარული უკანასკნელი"— მაცხოვარმა ჯვარცმისას სხვათა შეწყალება გვიანდერძა — არა ქილიკი. პირველი სიყვარული და უკანასკნელი სიბრალული რამ ვანასხვავა!— შენ დაიმსახურე ვრადუსი ბერიკაცო — სიყვარულზე მშვენივრად გვიამბე. იცოცხლე და გაუმარჯოს ორლოველ თავადს — ივან ტურგენევს!

სუყველა სვამს — თითოეული საკუთარი სტილით. უცბად რადიო ახმიანდება, ქალის გამყინავი ხმით.

რადიო: — გამოფხიზლდით ლოთებო! გორში ვართ!

სცენის სილრმეში, ეკრანზე, დიდი ასოებით გამოიხატება:

ბ ო რ ი

იქვე კიდია სტალინის სურათი. სცენის კუთხე ნათდება — იქ პატარა, 8-10 წლის, მოკლეშარვლიანი ბიჭი დგას — თავზე წითელზოლიანი ფაფახით — უზარმაზარი, ვროტესკული ულვაშებით, ცალი ხელი ზურგზე უდევს, მარჯვენა კი სტალინივით კიტელის ღილებშუა შეუყვია. ხმამაღლა, გამოთქმით კითხულობს. /ან შესაძლებელია — ბავშვური, წკრიალა ხმით მღერის. /ქართული ხალხური მელოდიის ფონზე. სულიკო ან არწივი ვნახე დაჭრილი/.

სოსელო: —

ვარდს ვაეფურჩქნა კოკორი — გადახვეოდა იასა,
ბულბულსაც გაღვიძებოდა და თავს უხრიდა ნიავსა

ტორიოლა მაღლა ღრუბლებში, წკრიალ-წკრიალით
გალობდა,
ბულბულიც გახარებული, ნაზი ხმით ამას ამბობდა:
— აყვავდი ტურფა ქვეყანავ, ილხინე ივერთ მხარეო
და შენც ქართველო! სწავლითა — სამშობლო გაახარეო!

კომპანია პირდაფჩენილი მისჩერებია, მთელი ლექსის მანძილზე, გაშეშებული უყურებენ ბიჭს...

ბენიკო: — იოსებ ბესარიონოვიჩ, ეს... თქვეენ? ისევ თქვენ და ისევ
თქვეენ?...

დანარჩენებიც თანდათან ახმიანდებიან, თვალების სრესით, ბიბილოებზე ჩქმეტითა და ლოყებზე ხელის ტყაპუნით: "თავად ის!", "საკუთრივ — ლინჩა!" "თვით... სტალინი?" ისმის მატარებლის დაძვრის ხმა — კომპანია ბიჭს შორდება: ყმაწვილი იმავე პოზაში დგას გაუნძრევლად, /ალბად უხილავ ურიკაზე — რომელსაც კულისებისაკენ თოკით ეწევიან და იქმნება ილუზია, რომ მატარებელი შორდება მას/, ეკრანზე წარწერას "ВОРИ" ცვლის პეიზაჟები — ისევ ქარხნები, მდელოები, ბაქნები, შემხვედრი მატარებელი... რითმული "დაგან-დაგან, დიგინ-დიგინ"... ხალხი ნელ-ნელა აზრზე მოდის — ერთმანეთს ამხნევებენ: უსხავენ, სვამენ — მხრებზე ხელების ტყაპუნით და ჩანს, ყველაფერს კოლექტიურ ჰალუცინაციას აბრალებენ.

წვერიანი: — "ოხ, ეს თქვენი "ტოტა კლავას პროშნა" ბენიკო,
ხედავთ რას სჩადის?" /იძახის გამხიარულებული/

დეკაბრისტი ნერვიულ ხარხარს იწყებს, მოხუცი გულაჩუყების ცრემლებს იწმინდავს, თან თავისთვის მღერის.

მიტრიჩი: — ბოოჟე ცარია ხრანიი — იოსიფა ნაშეგო!
/ელდანაკრავივით წამოხტება ბერეტჩახუტებული
გაიძახის/: — ეტა ნაშ პასლედნი, ვისარიონოვიჩ, კლინუს,
ირეშიტელნი ზაპოიი — ე ნოტრ ინტერნაციონალიო —
იდიოტ პრიამო დამოიჰ!

ჯეელი ადგილზე — ცქმეტავს და ციკანივით კიკინებს... მარტო ბენიკოა შეცბუნებული — თუმცა კომპანიას ისიც აყვება

მხიარულებაში. მათ ნასვამი, თავზე — ლრუბელივით დადებული — უზარმაზარი, ნაქსოვი ქუდიანი ქალი უახლოვდებათ.

ქალი: — მმ-ეკ მინდა ტურგენევის დალევა!

დეკაბრისტი /ქილიკით/: — აპეტიტიანი ჭამა-სმაში მოდის...

მიტრიჩი: — რას ხორხოცობთ, შეხედეთ — რა ფუნთუშასავით ქალია, ბაბა-პურივით...

ჯეელი: — ბაბუა? პაპა?

მიტრიჩი: — ბაბუა მე ვარ დურაკ, მაგი ბაბაა, ბაბა.

ჯეელი: — აა. აკი პაპაი ვარო?

წვერიანი: — ასეთ ფაფუკ ქალებს კავკასიაში უნდა ვაგზავნიდეთ — ხმელა ტახტზე წამოგორებული ჯიგიტებისათვის, ბალიშად.

ბენიკო: — რატომ ასე? რატომ, შემოგვიერთდეს. მობრძანდით ლედი, დაგვეწვიეთ... ოღონდ დათქმულია ტურგენევისეულად მადამ, რაიმე უნდა გკიამბოთ!

გულმოკვემული და ბედნიერი ჯეელი, ქალზე მიციცინებული ამღერდა.

ჯეელი: — კაცი ვაარ და ქუდი მხურაავს — /თან ჩაჩს თავზე ისწორებს/:, — ქედს არ ვუხრი .არავის! არც არავის ვემონები, არც ვბატონობ არავის! /და გაჯიკავებული — მანდილოსანს ადგილს უთაყვისუფლებს/.

მიტრიჩი /ცრემლორეული/: — ჩემო რობერტა... შენ დაგენაცვლოს პაპაი! ჩემო სოფლელო ბიჭო! /იწყებს სიმღერას და სხვებიც ჰყვებიან/: — რაც კარგები ვაართ — სკოტლანდიელები ვართ! განსაკუთრებით კი — ქართველებიი!

ჩაიწიეს, დააჯინეს ქალი, დაუსხეს — სულმოუთქმელად მიირთვა. შემდეგ ბერეტი აიწია და შუბლზე ნაიარევს აჩვენებს.

ქალი: — ამას ხედავთ? /მრავალმნიშვნელოვნად დაახანა და ბენიკოს მიუბრუნდა/: — ჩამოასხი კიდევ კრასავჩიკ, თვარა წამივიდა გული!

ბენიკო უსხავს — ქალი მიირთმევს და პირდაღებული, ახლა კბილებს ათვალიერებინებს.

ქალი: — ხედავთ? ოთხი კბილი მაკლია. პუშკინის გულობიზა დავკარგე! აბაა!

ბენიკოს გარდა ყველა ერთობა — რიგ-რიგობით უსინჯავენ პირს — ერთიმეორეზე მთვრალები არიან: "აბაა, აბა სად", "დაითვალე?", "აგერ, ვერა ხედავ?", "სადა, სად არის?"

ქალი: — რა ვიცი გენაცვა, ახლა სად არიან... მაი კბილები. განათლებული ქალი ვარ — პეტეუმორჩენილი და უკბილოდ კი დავიარებიი... სახეზედაც ჭრილობაა მაქვს, ნაიაარევიი... პუშკინია ყინავატი! აგერ მესმის თქვენი მაღალკულტურული მასლაათი და ქე ვიფიქრე — მოუყვები-თქვა: რაფრა გამიტენეს პუშკინის გულიზა თავი და გეიყოლა ჩაილურმა — წინა ოთხი კბილი — მისივე კუბო რომ დავდგი, გულობიზა. აბაა! პუშკინით დაიწყო ყველაფერი: კოლხოზში მოგვივლინეს ახალი კომსორგი, ევტიუშკინი. პარეს კაკ პარენ! წამდაუწუმ იჩქმიტებოდა და ლექსებს არაკრაკებდა... ლექსს აპუშკინებს და მჩქმიტავს თან. ერთხელაც მომხვია ტორი და მეკუპლეტება: "ჩემი მზერა გელამუნება?" "მელამუნება-თქვა", დაბნეული ვპასუხობ, უფრო მლოღნის: "სულში ჩემი გამოძახილი გიყღერს?" ვოხრავ და ვპასუხობ: "მიყღერს"... იქავ დამიიღლიავა და სადღაც გამაქანა. უკან რომ მომაქანა, უშნოდ ამეკვიატა: "პუშკინ-ევტიუშკინ, გიყღერს-გელამუნება", დაბნეული დავბანცალებ, ყურებში კი "მიყღერს-მელამუნება, პუშკინ-ევტიუშკინ"...

წვერიანი /აწყვეტინებს/: — მთავარს ნუ აცდებით გეთაყვა! ბლიეე კბილებთან... თვარა უკვე ჰა — ჩამოიარა მასტერავოიმ!

ქალი: — ემ საათში გენაცვალე, ახლავე კბილებიც იქნება... ყოფშემ, ნახევარი წელი მასთან თივებში, ღმერთსა ვცოდავდი. საამურად მირაკრაკებდა წუთისოფელი და აგი პუშკინი, მეხი დაემხო თავზე— არ გამოძვრა? მე კიდო — ვითარც ჟანა ფრანგი დ"არკი რომეა, არ ავტყდი? ცხონებულს, იმის მაგივრად /პირჯვარს ისახავს/: — ოჯახისათვის მიეხედა, კაიდედმამიშვილს — ძროხები ემწყემსა, ყველი

ამოეწველა არა! მოახტა ცხენს და გაქუსლა ძველ ორლეანში — ნორჩ პოპკაზე ფათერაკების საძებრად! — და საკოცონელად!!!

წვერიანი /გაღიზიანებული/: — მერე კბილები? ბლიქე-თქვა-ბლიქე-

ქალი /წვერიანს ყურადღებას აღარ აქცევს/: — მეც არ გავაჭენე და გავრეკე? დავლევ პაწიას, შევეჩხდები ჩემს რაინდს: "ბალღებს შენ საცვლად ვინ დააპურებს, პუშკინი?" ისიც მელრინება: "აბა ბალღები? შვილები ხომ არა გვყავს. თან რა შუაშია აქ პუშკინი?" "ბალღები რომ წამოვლენ აღარ მოგეპუშკინება" — თქვა, ვპასუხობ. და ასე პასტაიანად: გადავყლურწავ ბრაგას — მივადგები სატრფოს: "რაო, შენს მაგივრად, პუშკინი გაგვიზრდის ბალღებს?" ის კიდო დულდება და გადმოსდის დუეი: "შემეშვი დარიკო!" იჭაჭება: "მოეშვი ადამიანის გულის ჯიჯგნას!" მძულდა ხოლმე მაშვინ. მერე ისევ ვყვარობდი — ერთხელაც რომ ვეკი: "რა, პუშკინი — ბალღებს?" — თქვა, ცოფიანივით წამოვარდა და ბღავის: "პუშკინს მოეშვი, პატარებს მოეშვი, სვი რამდენიც გინდა, ჩემი სისხლიც — მაგათ კი მოეშვი!" მე კიდო ნაავადმყოფარზე ეტყობა, ეშმაკიც შემიჩნდა — დავუბაკუნე ვალინკები: "წადი, მომწყდი თავიდან! თვე ვიგულავებ გემოზე, მერე მატარებელს ჩავუვარდები და მონაზვნად წავალ კიდო, შენს ჯინაზე! ჩემი სულის თუ გესმის, ყეყეჩო!" ის კიდო აკანკალებული, თვალებგადმოკარკლული ბღავის: "გულით კი დარიკო, მაგრამ სულით არა!" დეგენერატივით ასარსარდა, მეცა — თავით გამიხეთქა თავი და გააჭრა ტრაქტორით, კლიაზმის ვლადიმირში. ყრუ-მუნჯი ბებიაჩემი კი, ფეჩის ზემოდან გადმომძახის: "დახე დარიკო, რა შორს შესტოპე იუნგივით, საკუთარი მე-ს ძებნაში?" /ქალმა სული მოითქვა — შეთავაზებული გადაკრა და თხრობა განაგრძო/: — თვესახევარში მობრუნდა. ზარხოშიანი დავხვდი — ბოლი ამდიოდა. დანახვისთანავე მაგიდაზე დავეკი და ფეხები დავუბაკუნე: "აპაა, დამეთესე ხომ,

კლიაზმაში! ზნაჩიტ შენს მაგივრად ბალღებს-პუშკინი?“ აპრუწული მომიახლოვდა — კბილებშუა პაპიროსით — მთხლიშა ოთხკბილიანი და გაქუსლა ახლა დონის როსტოვში, კომკავშირული საგზურით. /ხალხი სიცილს ველარ იკავებს/.

წვერიანი: — ახლა სად ბრძანდება, ეგ შენი ევტიუშკინი?

ქალი /გულგრილად/: — ნიტო შუა აზიაშია, ნიტო ციმბირში. /წამღერებით/: — დაარიკო ვარ ბლეხის ქალიი,
მგოონი აღარა მყავ ქმარიი...

დეკაბრისტი /ძლივს ახელს თვალებს/: — ციმბირი ცუდია: არც დასალევი — არც ზაკუსკა იქ მარტო ნეგრები ცხოვრობენ — ჟიტომირიდან წელიწადში ერთხელ პირსახოცებს უგზავნიან და ისინიც თავს იხრჩობენ მათზე!

ბენიკო: — ნეგრები მანდ კი არა, შტატებშიც აღარ ზანგაობენ...

დეკაბრისტი /უადგილოდ ისვრის, ძლიერ მთვრალია/: — ფადეევმა კი თავი იმიტომ მოიკლა, რომ 1956 წელს ცნობილი გახდა — ოლეგ კოშევოი პედერასტი ყოფილა! /და ისევ მოწყვეტით იძინებს/.

წვერიანი /ბენიკოს მიუბრუნდება/: — ეტყობა ნავალი ბრძანდებით დუნაზე. მჯერა როგორც ღვიძლიანის. ერთი მიბრძანეთ გვენაცვა, მართლა გალაღებულები არიან იანკები? თუ თავისუფლება მხოლოდ მითია ჩვენს ცოდვილ მიწაზე?

ბენიკო: — რაც თვალში მეცა შტატებში — ეს მოსახლეობის უზარმაზარი მადაა — გამუდმებით იღეჭებიან კაპიტალიზმის ეს ზვიგენები: ბუყნავენ და სასლავენ ხარბად — ზედ კი რამე — “კოლიას“ აყოლებენ — ერთ წელიწადში ცოხნავენ ჩვენს ხუთწლედებს...

მიტრიჩი: — აბა კაცო, აბაა! /თავს აკანტურებს/: — ისინი იქ თოხლაობენ და არა სომენ, ჩვენ კი აქა ვსომთ და სათოხლაო კი აღარაფერია ქვეყანაში: შაქარი — კუბაში, ბრინჯი კიდენა — ჩინეთში გაზიდეს ერთიანადა... მაშ ჩვენ ვირის თავ-ფეხი?

წვერიანი: — არაფერია ბერიკაკო — საკუთარი შენ უკვე მოჭამე — ღმერთს ნუ სცოდავ! გაიხსენე, მაქსიმ გორკი საშშობლოზე რას უბნობდა?

მიტრიჩი: — განა არ მახსომს, ამის /შვილიშვილზე ათითებს/ შკოლიდანა: "ჩვენ ბებიკოსთან ერთად ღრმად, უფრო და უფრო შევდიოდით უღრანში..."

წვერიანი: — განა ეს საშშობლოზეა, მიტრიჩ? ეს ბეე-ბოზეა და ტყეე-ტყეზეა, სტარიკ! /მიტრიჩი ისევ აქვითინდა.

წვერიანი სიმღერას იწყებს/: — "ოოლკი-პალკი, ლეს გუსტოი, იედეტ ბესია ხალასტოიი"...

ბენიკო /ხმას შეუწყობს/: — ალუბლის ხეს რომ მოსტეხე ტოტი, მითხარ სახსოვრად დიდსანს ატარეე...

ქალს ჩასძინებია, უკვე დეკაბრისტი იღვიძებს.

დეკაბრისტი: — იედეტ, იედეტ ვაგანეტკა — ა ვაგანეტკეე — მუსტაფა! ნადეედა კრუპსკაია ლესბიანობაში ამხილეს, თაღლითი ლისენკო — ხალხის მტრად გამოაცხადეს — მიჩურინთან ერთად, რომელიც მარწყვიდან გადმოვარდნამდე — ფაშისტების აგენტი ყოფილა! /და ისევ იძინებს/.

წვერიანი /ბენიკოს მიუბრუნდა — მხოლოდ მათ არ სძინავთ მუდმივად, თუმცა ძლიერ მთვრალები არიან/: — დასტურ ბევრი გინახავთ, გიმოგზაურიათ. ბრძანეთ ევროპა — სად უფრო სწყალობენ რუსს — პირენეის იქით თუ აქეთ?

ბენიკო: — იქით რა მოგახსენოთ და, აქეთ ვერაფრით. აი თუნდაც იტალიაში გახლდით — ფეხზეც ვკიდივართ.

წვერიანი /გაოცებული წამოსტება/: — მართლა? ნუთუ... ეგ ცამპანო მატაროლერიანები?

ბენიკოც წამოდგა და თავის მოსაყოლს ენერგიულად ასახიერებს.

ბენიკო: — იტალიელები მხოლოდ მღერიან და ხატავენ. ბასტა! მეტი არაფერი: ერთი იტალიაშკა დგას და გალობს ხომ? მეორე კი ჩამომჯდარა იქვე და მას ხატავს,

მომღერალი კი ამავე მხატვარზე მღერიალობს... ეს ყველაფერი საშინლად მოსაწყენია ჩვენი, ზაგადოჩნი დუშისათვის. გალობენ პირდაფჩენილები თავიანთი ბელ-კანტოებით — დამუწავენ და მაკარონი გადმოეკიდებათ ტუჩებზე, აბაა?... გადავედი ახლა საფრანგეთში: მაგათი ზები მაქვს — სულ მთელ-მთელი ბაყაყები უნდა აყლაპო ცოცხლად!

წვერიანი: — რატომ პატიოსანო?

ბენიკო: — "ცამეტი ლუდოვიკო კედლიდან იყურება"... მეთოთხმეტე აბაა?... არც კი ეგებება — საბას! /გამოერკვევა/: პუშკინის მუცლის, კუტუზოვის თვალის და პეტრე ბაგრატიონის მარჯვენა ფლანგისათვის!

წვერიანი: — კუტუზოვს ხომ თურქებმა დაუფსეს თვალი?

ბენიკო: — თუ ძმა ხარ! თურქები რა ხანია თოფით გაეუჟა ჩვენმა ბულგარელმა ამხანაგმა — აგენტ ანტონოვმა, რომში, წმინდა პეტრეს მოედანზე რომ პაპა ვოიტილა ილოცება, ეეე — იქ აგჯას ხელით...

წვერიანი /წვერში იქექება შეცბუნებული/: — ვითომ?... /შემდეგ ისხავს — სვამენ/: — ეს თქვენი კოკტეილი კი არა — ჩეჩენ-ინგუშური გოლფსტრიმია!

ბენიკო: — ჰოოდა, გავსწიე პარიზს, შევუყევი მონმარტრს, ალმართია რომ... გარშემო სულ სარიოსკიპოებია! ერთი ეიფელი ყუდია ეულად: ზედ გენერალი დე გოლი შემოჭენებულა — გახუხულ წაბლს აკნატუნებს და გარემოს აჭოგრიტებს. რა ბედენად — როცა ირგვლივ მხოლოდ ბორდელებია და იმდენად ვენერიული, რომ თავად ვენერასაც გული შეუღონდებოდა! მეერე დაიწყო: მასსარდა, ბუდუარი, პენუარი, ანტრესოლი... მერევიან ეგენი და კიდევ: რემბრანტი და ვილი ბრანტი, ასევე: ეპტონ სინკლერი და სინკლერ ლუისი — ლუის კეროლში... ენრიკო კარუზო და რობიზონ კრუზო. ანდრე ჟიდი — ანდრეი ჟდანოვში, ლეკონ დე ლილი — როჟე დე ლილსა და მუსა ჯალილში.

სუკიბამბუკში… გვესაუბრა და საერთოდ! საზღვრები მხოლოდ იმისათვის არსებობს, რომ ერები ერთმანეთში არ აგვეპუტოს!

წვერიანი: — და ინგლისი? ალბიონზე რას იტყვით…

ბენიკო: — რა უნდა მოგახსენოთ, სერ! ბრიტანეთის არსებობა ჰერროდოტეს არ სჯერდა და მე ვისი ტიკა-ტომარა ვარ? /ბენიკოს ლადაობა თანდათან უფრო გამოკვეთილ სახეს იღებს — რადგან თავის ნაციონალისტურად განწყობილ თანამოსაუბრეს ვერაფერს ახვედრებს/.

წვერიანი: — დასარჩენი ევროპა და მსოფლიო? /გულუბრყვილოდ ჩასჯინებია, იმედით/.

ბენიკო: — ჰოლანდიელები არ მეპიტნავებიან — მათი ფრიი-ფრიალისათვის და ურიები — მარადიულობისათვის. სკანდინავიელებს-დატუქსვა — ჩვენი ისტორიულად კუთვნილი პოლუსების წაღლეტისათვის! გერმანელებს საკუთარიც ჰყოფნით და არც იანკები იბოგინებენ ნამეტნავად. ესპანელები გაუშვი — გაიყეყონ, სხვა ლათინოამერიკელებთან ერთად — კორიდაზე დაღვრილი საბიფშტექსე სისხლით! აფრიკელებმა დეე აშენონ ჩვენით — ასუანის კაშხალი: წყალის მოტანილს წყალივე წალეკავს… პოლონელებმა კი იმდენი იჩალიჩეს — ევროპის გადაკარგულად გვაქციეს მაგათი და კიდევ მახლობელი აღმოსავლეთის დაკა-დაკაში, რატომ უნდა მეჭიროს არაბთა მაზი? რა, ერთი არაბი მაინც შეგხვედრიათ ერთგული, რომ პახმელიაზე გამოეყვანათ?

წვერიანი: — ნწუ. აი! ჭეშმარიტი მამულიშვილის პოზიცია! /აღფრთოვანებულია/. აი გაგება პოლიტიკის…

ბენიკო: — კონიუნქტურის ხელობის! /აგრძელებს თამაშს/: აღმოსავლეთი თავად უჩვენოდ ამოიწყვიტავს თავს: მაოსტალინიზმით დაორსულებული, ამასობაში კი იეღოვას ხალხი — დავითის ვარსკვლავით, რომელიც უკვე სოლომონისას, ექვსიდან — ხუთქიმიანად იქცა — გაუძღვება ერებს!…

წვერიანი /აღშფოთებულია გაგონილით და სასოწარკვეთილი იძახის/:
— და რუსეთი? დედილო ჩვენი, რუსეთი?

ბენიკო /ტონში და პათოსში აყვება წამით/: — ჩვენი მტრები, ჯიქურ ცდილობენ მის პირისაგან მიწისა ალგვას! /უცბად ჩაქრება — გადასხვაფერდება და მელანქონიურად უმატებს/: — განა შეიძლება იმის პირიდან ალგვა — რასაც ამოდენა მიწა გააჩნია და სახე კი არავითარი?

წვერიანი /ისევ ვერაფერს ხვდება, ექსტაზშია/: — და ჩვენი, ტოის რუსეთის როლი, მისი ისტორიული ფუნქცია?

ბენიკო /წყნარად და ნიშნისმოგებით/: — მთელი კაცობრიობა უნდა უმადლოდეს რუსეთს, რომ მან საკუთარი, ჯოჯოხეთური მაგალითით დაამტკიცა — როგორი არ უნდა იყოს სახელმწიფო! ახლა ერი? მისი საგონებელში ჩაგდება ხომ შეუძლებელია! რუსებს რომ გამოუცხადო: ამიერიდან ყველა ხუთწლედი მეთერთმეტე იქნება და ოთხში შესრულდებაო! არ გაიოცებს. ჭეშმარიტად! მიეც წყალწაღებულს დრო დახრჩობისა... /გადახედავს რაღაცას მიხვედრილს და ამით სასოწარკვეთილ წვერიანს, მხარზე სუგეშად — ხელს მოუთათუნებს/.

რადიო /მოულოდნელად ჩაირთვება სტალინის ხმით/: —
"Русский народ – это Великий народ! Наше дело правое – Мы победим! /ისმის მეუხარე ტაში.

ბენიკო და წვერიანი გაოგნებულები მისჩერებიან რადიოს/.

სურათი 5

ვაგონში ხალხი ახმიანდა: "კონტროლიორები, კონტროლიორები!" შემორბის კოსტუმ-ჰალსტუხიანი და პორტფელიანი კაცი ცილინდრით — დაბნეული აქეთ-იქით იყურება და საწინააღმდეგო მიმართულებით მიეუნძულებს არაქათგამოცლილი... მას ყაყანით მოსდევს ბრბო — მდევრებს შუაში მთვრალი "პრავადნიკი" ლიდერობს, დირიჟორობს... თავზე ბრტყელი და ნახევარმრგვალი — აქეთ-იქით წამახვილებული ქუდი ახურავს — ნაპოლეონივით, ილაჯგაწყვეტილი და იმედგაცრუებული — რომ დაეწევა

ლტოლვილს — ჩვენს კომპანიას უახლოვდება: სულს ითქვავს, ქოშინებს.

სემიონიჩი: — ეგ კურდღელი, ეგა... სად გამექცევა!

ყველას გაეღვიძა — გამოცოცხლდნენ: მიტრიჩი ცრემლიან თვალებს იწმინდავს მუჭებით, დეკაბრისტი იბღვირება, წვერიანი თავისთვის მიბუზული იზმორება, ქალი ძილში წაილაპარაკებს: "არ გაუშვათ, დაიჭ...!" ჯეელი საწოვარას ტუჩებიდან სასწრაფოდ ისხიპავს — ქალს გარშემო ეფოფინება და კიკინებს; ბენიკო ჩაიწევს, ფორმიანს თავისთან აჯენს. კიტელშეხსნილი გამყოლი ცხვირსახოცით მოზვერის კისერს იმშრალებს. თან პუბლიკას ათვალიერებს.

სემიონიჩი: — მომრავლდნენ ჩაინიკები — ბილეთებს მიფრიალებენ! არამზადარი — ეგ. გადავახევ გოგრაზე. იმ ბილეთს... ზდაროვა მიტრიჩ! ორეხოვოში მიჩუქრეს ხომ? ნაშიერთან ერთად — კარუსლით საპროწიალოდ — ლონია ბარკში? არამზადარები: ას ოთხმოცი გრამი ორთავზე. აბა, შე გაუპარსავო — ორეხოვო — ზუეველი ძველი არყისტო-ნაცისტო-მატაციკლისტო, ჩამოყაჭე 72 გრამი. შეუწიკინეთ ამ კნეინას და ჰკითხეთ ერთი, რამდენი კილომეტრ-გრამი აწერია? ხომ იკით მე პატიოსნად — ზუსტად გრამს ვიღებ კილომეტრზე ეს კიდე არ ჩამოუხვრჩიათ? /დეკაბრისტზე ათითებს/ — დეკაბრისტს მურმან ყრუანა, შელავათიანი ტარიფით — 105 გრამი. /კმაყოფილია — ყველა თავისას უსხავს, ბენიკოს გარდა/: — ბენედიქტ, შენ დაბარებულივით — ყიყლიყოში?

ბენიკო /გამხიარულებული/: — აწ და მარადის! /ღიღინებს თავის სიმღერას/: მე რომ ბედი მქონებოდა,
ღმერთს ერთ რამეს მოვთხოვდი:
ახ! ნეტავი ერთად იყოს —
ყიყლიყო და მოსკოვი!

სემიონიჩი: — და შენ, შეხერეზადა, გვკერა სიყვარულის? /თან ქუდს ვეირად ხმარობს/.

ბენიკო: — ჭეშმარიტად!

სემიონიჩი /ხალხს მიუბრუნდება/: — აგი ნატურით მიხდის მაშ! მსოფლიო ისტორიას მირაკრაკებს: ბერძნებიო, რომიო, ტუტანხამონიც მოყვა აბა? ჩასმენას ვერ ვასწრებ — აბრატნი მასტერავოიზე მიწევს გადახტომა... /ბენიკოს მიუბრუნდება/: — ახლა არამზადა-ვარ, კეთილი. ჰოოდა ამორჩიე: ჩამოასხავ თუ სიფათი დაგიუეჟო იმ შენი სფინქსივით... ან მოაღრჩობ ბოლო-ბოლო, აიმაგ ისტორიას!

ბენიკო: — ინდირა განდიმდე ვუწიეთ წინაზე, მოშე დაიანი და ებუ-იბანიც მოგიყევი, მეტი რაღა გინდა?

სემიონიჩი: — რაღაც ვასიას უნდა... დავაი, რაღა, იბან-ბენ-გურიი... არა, ეგ ურია იყო, რამე რუსებზეც მოგვიყევი, სისხლი არ გიყივის მუეიკური? /დანარჩენებს თვალს უკრავს და ჩამოდგმულ ულუფებს ყლურწავს/.

ბენიკო: — სემიონიჩს საკუთარი გაგება, ენა და ფილოსოფია აქვს, დიახაც! /ფილოსოფიურად/: — ჯოისის გაგება უკვე ნახევარ-ჯოისობას უდრის... როგორც ბებერი ჯეკი ამბობდა: სამშობლო ის ვამპირია — სანუკვარ შვილებს რომ სანსლავს! სემიონიჩ, გენაცვალე, დღეს საკმაოდ ხუხე?

სემიონიჩი: — უკმაოდ! არამზად ვარ მე! /მიუთითებს/: — არამზად ხარ შენ, არამზად არის ის — ჩვენ სუყველა არამზადა ვართ!

ბენიკო: — მაშ ძალგიძს შენ, ძველო მეკობრევ — ჩვენ ლიტ-აფორისტულ პაექრობაში ჩაბმა? შეგიძლია?

სემიონიჩი: — მიძლია! მე ყველაფერიც მიძლია. შენ-გიძლი-ან?

ბენიკო /ხალხს მიუბრუნდება/: — სემიონიჩი ხალხური ფოლკლორის ნამდვილად ღირსეულად მატარებელი...

სემიონიჩი /ყურდაცქვეტილი/: — მატარებელი?... რისეულად?...

ბენიკო: — კი, მატარებელი წიაღისეულია!

სემიონიჩი: — წიაღისეული... რაღირსეული?

ბენიკო: — ღირსეული, ნამდვილად ჭეშმარიტი მატარებელი წიაღისეულია!

სემიონიჩი: — მაინც ვერ გავიგე — რას დაატარებს ეგ შენი მატარებელი... /დაბნეულია — თუმცა კი სიამოვნებს ბენიკოს სიტყვები/.

ბენიკო /აცხადებს/: — ახლა მოისმინეთ ჩვენი ერის მიერ, საუკუნეთა წიაღში შექმნილი ათორიზმების — ახლანდელ გამოძახილებს. ასე ვთქვათ, დღევანდელ პერლებს! /მიებრუნდება სემიონიჩს/: — ვინც არაფერი არ იყო — ყველაფრად იქცა!

სემიონიჩი /ბურდღუნით/: — ვინც ნაგავი იყო — მუსორად ამუშავდა მურში! /კმაყოფილი, ხუთოსანი მოწაფესავით ემზადება: კიტელზე ღილებს იკრავს და თმებს სავარცხლით ისწორებს/: — ძაღლოვან სტრუქტურებში...

ბენიკო: — როგორ ყლერს პატივცემული დღეს, რუსების საყვარელი ანდაზა: "სანამ არ დაიქუხებს, მუეიკი პირჯვარს არ გადაისახავს!"

სემიონიჩი /გამოთქმით/: — მინამ ჩახოხბილი მამალი ტაკოში არ ჩაგინისკარტებს!

ხალხი /აღფრთოვანებული/: — ყოჩაღ! ზუსტია! მიდი-ეგრე, სწორია.

ბენიკომ ხელი შემართა — უმალ გაჩუმდნენ: ვინ განზე იყურება, ვინ მზერას ფეხებში მალავს, ვინ სემიონიჩს მიშტერებია...

ბენიკო /წყნარად იწყებს — ყველა ხმაგაკმენდილი უსმენს/: — ხედავთ მეგზურნო, რა სიჩუმეა — ყურმა ანგელოზმა გადაგვიფრინა!

სემიონიჩი /კმაყოფილი, რისით/: — სადღაც მილიციონერი ჩაკვდა!

ბენიკო: — საოცარი ინტერპრეტაციაა ღმერთმანი...

/გაბრაზებით/: — ტრფობას მაინც, ყველა ასაკი მორჩილებს!

სემიონიჩი: — ახურებულებს ასაკი, ქინძზე ჰკიდიათ! /ნიშნისმოგებით და თვალისჩაკვრით/.

ბენიკო: — ჭეშმარიტი შეყვარებული ცხრა მთას გადალახავს!

სემიონიჩი: — ამხტარი ულაყისათვის — ცხრა ვერსიანი კრუგიც მიქარვაა! /ჯიბრით/.

ბენიკო /წამოდგება, სემიონიჩს თავზე ადგას/: — ჭაში ნუ იფურთხები, როდისმე დაგაწყურვილებს!

სემიონიჩი /ქვემოდან ახედავს — ხელში ჭიქით და ნიშნის მოგებით/: — კომპოტში ნუ შარდავ — შიგ პოვრები ფეხებს იბანენ!

ბენიკო /გულდაწყვეტილი ჯდება/: — შეჩერდი წამო — შენ ამაზრზენი ხარ!

სემიონიჩი დაბნეული, მოუმზადებელი მისჩერებია — შესატყვისს ვერ პოულობს... შემდეგ თითქოს მიხვდება და ეშმაკურად ჭუტავს თვალს.

სემიონიჩი: — პირდაპირ წახვალ — დაიღუპები, მარცხნივ გატოპავ — თავს წააგებ, მარჯვნივ — მოკვდები და უკან მობრუნებული — ჩაძაღლდები! ასეა აქ, ყველაფერი... /დაღონებულ ბენიკოს დაუყვავებს/: — სიყვარულზე გვითხარი რამე, შეხერეზადა...

ბენიკო /გაღიზიანებული/: — ესიზმრა ერთხელაც მილიციონერს — რომ პეპელაა: დაფარფატობს მდელოზე და ბედნიერმა არ უწყის — რომ მილიციონერია! უცბად გაღვიძებულმა გაიოცა — ფარვანა კი არა და მილიციონერია! ახლაც არ იცის ბედშავმა — მილიციონერს ესიზმრა რომ ყვავილებს დაფოფინებდა თუ პეპელას — რომ სვისტოკით დასტოდა!

დეკაბრისტი: — ჩვენთან გასაგებზე გაუგებრად საუბრობენ, იქ კი — გაუგებარზეც გასაგებად! ამ ხალხთან მე არაფერი მაქვს სალევი! /იძინებს/.

სემიონიჩი /მოულოდნელად წამოხტება, გალეშილია — თავზე ქუდი შარავანდედად ადგას/: — ქვეშჩასვრილო! მეკითხება სუკ-ის კონტრ-ადმირალი: როდის, სად და რამდენად ასუხარე კურილიის კუნძულებიო? მიჩმანად ვცურავდი მაშინ, თევზსაჭერზე — ვლადივოსტოკში: იტურუპი ერთ ბოთლ ანდროპოვკად, კუნაშირი ვირიშვილო — სულ მუქთად — მეკავე კიტრში გასცვალე და მთელი რუსეთის ბოთლმიმღები პუნქტების რუქა — ამერიკის დაზვერვას მიპყიდეო!... /სულს ითქვამს და ცრემლმორეული ამატებს/:

— და ჩვენი ცისფერთვალება დაიკო — ბელორუსიაც მძევლად შესწირე პარიზის კლუბს პაატასავით!

წვერიანი: — იმიტომ რომ, ცერეუს აგესტი ხარ — კონტრა —ადმირალი!

სემიონიჩი /შეურაცყოფილი, გაცხარებით/: — მე ვარ კონტრა? ნამიჩმანარი კაცი? აიი-ა! უკვირეთ და დაინახეთ, ვისაც ყურება შეგიძლიათ, მატ-ვაშუ—

სემიონიჩი გახდას იწყებს — ვერ აჩერებენ. ტატუირებული მკლავები აქვს: ქალთევზები, ხანჯალზე დახვეული დრაკონები, გულზე — ლენინ-სტალინი, ზურგზე ეკლესია გუმბათით, ქვემოთ — გადაჯვარედინებული შპაგები— შარვლიდანაც ამოდის: მუხლის-თავებზე ვარსკვლავები, ხოლო ბარძაყებზე ლუზები აპატია. ყველა მას მისჩერებია. ბენიკო დგება — მკლავში ხელს ჰკიდებს — გულდასმით ათვალიერებს.

ბენიკო: — აი, ჩვენი ერის კიდევ ერთი, ფასდაუდებელი ფოლკლორი! /გალეშილი სემიონიჩი ხელკავით ავანსცენაზე გამოყავს, ამზეურებს, ატრიალებს—/: — თვითმავალი, მოარული, კაზინო ფორმაში ჩამალული — არსით ავანგარდისტული — ცოცხალი ვერნისაჟები და გალერეები—

სემიონიჩი /ტრიალში დაბნეული ბუტბუტებს/: — რალერეები?— რაისაჟები?— რაის გარდემარინული?—

ბენიკო: — ძირს დახუთული, შინაბერებით გამოტენილი მუზეუმები! ულუდო ბუფეტიანი და რიგებიანი, ცხვირაბზეკილი სნობები! მუზეუმები—

სემიონიჩი: — რაზეუმები?— კი ზემდეგი ვიყავი ფლოტში — ნამიჩმანარი ვარ, მე!

ბენიკო: — გაუმარჯოს მოსიარულე — ბანცალა ფეხებზე შემდგარ — ლაღ გამოფენებს, ჩვენი ერის საუკეთესო შვილების ამტან ტყავებს გაუმარჯოს!

დაბნეული სემიონიჩი ტრუსსაც წაეტანა—

სემიონიჩი: — აქაც მახატია შეხერეზადა, წარწერა მაქვს იმაზე—

ბენიკო /არ აცლის — უნდა მისი ყურადღება გადაიტანოს — თეატრალურად ეკითხება/: — ან იქნებ თქვენ იმფერი ბრძანდებით, ჰა!

სემიონიჩი: — რაფერი?

ბენიკო /განგებ აწვალებს/: — იმფერი. ცისფერი!

სემიონიჩი /დაბნეული/: — ნამიჩმანარი ვარ მე! ცისფერი კი — ზოლები გვქონდა... /გახდილ "ტელნიაჟკაზე" ათითებს/.

ბენიკო /ირონიით/: — ბელადებზე აღზრდილ-შეყვარებულ, /ლენინ-სტალინის ტატუირებას აკვირდება/: — და განოსტალ-გიებულ ჩვენს სალხში, უკვალოდ არ ჩაუვლია ლიონიას, /ასახიერებს ბრეჟნევის ხელის ჩამორთმევებს და კოცნებს... გაოცებული სემიონიჩი პირდაღებული უყურებს — ეურჩება/: — წრეგადასულ კაცთ-პროშნა-მოყვარეობას!

სემიონიჩი /დაბნეულობა-გადალახული, ისევ ტრუსს წაეტანება/ — განახებთ რააა? პრივეტს ფლოტიდან! /ფეხბურთელის ტრუსი აცვია — ასო "ლ-თი" და ლოკომოტივით/.

ახლა უკვე იკადრეს დანარჩენებმა და ბენიკოს ჩაენაცვლენ — გააკავეს სემიონიჩი და აცმევენ ფორმას... ძალას დაყოლებული სემიონიჩი მღერის: "ცაზე მთვარე ამოვიდა — ნიშანია დარისა, კოლექტივი გაძლიერდა — ვენაცვალე სტალინსა!"

ბენიკო: — შექსპირი ბრძანებს: "გვირილას რაც მეტად თელავენ — მით ჯიქურ ხარობს!"... ბოლშევიზმი ბატონებო, ატმოსფერული მოვლენაა და იგი სტიქიური უბედურე-ბასავით უნდა გადავიტანოთ.

ხალხს დასხლეტილი, ნახევრადჩაცმული სემიონიჩი ბენიკოს ეპოტინება.

სემიონიჩი: — ბენიკო მითხარი — ვასტოკის ქალები როდისლა გაიხდიან ფარანჩას? და თუ გაიხდიან, კიდევ რამე დარჩებათ გასაცლელი? ჰა... საჩვენო-ტოის-ნებელი ექნებათ! ჰა?

ისმის ღრჭიალი — მატარებლის ვაგონების მირტყმის ხმა — ყველაფერი აირია: სინათლე ინთება-ქრება, ბურანში ბენიკო და მის მკლავზე მოქანავე სემიონიჩი მოჩანან არ მოჩანან... სემიონიჩი

ეკვემა და გული ერევა... ბენიკო მას კარგავს — ბაქანზე იყვნენ თითქოს: ხალხი ბენიკოს ეჯახება-იყოლებს — ხელს კრავს, ეჯიკავება... ბენიკო ჯიბიდან ბოთლს იღებს, სირჩაში ისხავს და სვამს. შემდეგ დაბნეული ბოდიალობს: ხალხს აჩერებს, ეკითხება: "ეს ყიყლიყოა?" უკვე ყიყლიყოში ვართ, ჩამოვედით?" "სემიონიჩ", "სემიონიჩ"... სკენის სიღრმეში ეკრანიც ირევა — გამოსახულებები ყირავდებიან...

ფ ა რ დ ა

III აქტი

სურათი 1

ისმის მეხის გავარდნის ხმა. მატარებელი კივილით გადის: "დაგან-დაგან, დიგინ-დიგინ"... ბენიკო ხალხის მორევშია ჩართული: გულზე ჩემოდნის ნაკვლად, ხელები აქვს აკრული ჯვარად — ადგილზე ტრიალებს... ბრბო ეჯიკავება, ეხლება უხეშად, დასკინის.

ბენიკო /თავისთვის/: — არაფერია ბენიკო, გაუძელ ნებით! იყავ კვიპაროსივით სადა და გამართული, თან ჰალმასავით გულუხვი... ხალხო! ვუახლოვდებით უსადს თუ ყიყლიყოს... სად ჯანდაბაში ვარ?... ნუთუ ჩამოვედი... მასტერავოიმ ჩამოიარა?

I მოხუცი /ხალხიდან/: — მთვრალი რომ დაქანაობ და ემაგ ლაყე კითხვებსა სვამ... შინ გეყურყუტა და გემეცადინა — არა სჯობდა? საშინაო დავალება თუ გააკეთე, შე ღვთის პირიდან გადავარდნილო, შენა... დედიკო მიგტყიპავს და ახიც იშნება... /თავისთვის ჩაბურტყუნებს/: — ჯერ გარშოკს არ ასკილებია და უკვე მარაქაში ერევა, ლაწირაკ! /გაეკიალა — სინანულითა და ფესკიანი თავის ქნევით/.

ბენიკო: — გიჟია ოხერი... რაის დედიკო, რაის გაკვეთილები, რაის ქოთანი ღამის... ჩემზე გალეწილია ალბათ... /ამასობაში მეორე მოხუცი გაეჩითება/.

II მოხუცი: — ჰეი! სით გაგიწევია, ტკბილო ბებილო? /მასაც თურქული ფესკა ახურავს/: — გათხოვება უკვე გვიანია შენთვის, გასვენება — ვროდე ადრეა... მაინც სად მიპანტალობ, დედაბერო?!...

ბენიკო /დაბნეული ბუტბუტებს თავისთვის/: — დედაბეროო!?... რაღაც ვერ გახლავთ წესრიგში, დანიის სამეფოში... /შეფარვით სხეულს ითვალიერებს — გაერთო: ადგილზე ტრიალით ცდილობს საკუთარი ზურგის დანახვას/: — ვირუსი შეჰყრიათ თუ პირიქით — მე ვარ სხეული... სადღა არიან ჩემი მფარველი ანგელოზები?... რად არა სჩანან? არას მეტყვიან — ნუგეშს არ მცემენ სიმარტოვეში?... /ვილაც ჩამვლელ ფორმიანს წაეპოტინა იმედით/: — თუ ღმერთი გწამთ, მომახსენეთ ერთი, ეს ყიყლიყოა? ჩამოვედით უკვე?... /ფორმიანი ჩესტით გამოეჭიმა — ფოთლებით შენიღბული მუზარადი ახურავს/.

ფორმიანი: — მაქვს პატივი მოგახსენოთ — არა! და იცოდეს ყველამ: "სამშობლოს არვის წავართმევთ — ჩვენც ნურვინ შეგვეცილება". /შემდეგ ხელს მხურვალედ ჩამოართმევს და დახრილი, ყურში უჩურჩულებს/: — ერთ გოჯსაც არ დავუთმობთ აფსუებს — ჩვენო მეთაურო! მისდღემჩი... /შეფარვით მოიწმინდავს ცრემლს და მხედრული ნაბიჯებით ეცლება. ბენიკო პირდაღებული აცილებს მზერით/.

ისმის მესის გავარდნის ხმა — ცა ნათდება — ბენიკო იმედით იყურება მაღლა: ანგელოზების გამოჩენის მოლოდინით... ისმის "დაგან-დაგან, დიგინ-დიგინ"... ვერ გაუგია სად იმყოფება — მატარებელში თუ ბაქანზე: პროექტორების თამაში კვეთს სივრცეს — ბენიკო წყვდიადში დაბორიალობს — ხან გამოიკვეთება, ქრება ისევ... სცენის სიღრმეში თეთრი ეკრანია: მის იქით აჩრდილი ჟესტიკულირებს — ჯავშნოსანზე ასულ ლენინს წააგავს. ისმის ცალკეული ლოზუნგები: "პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ძირს ბურჟუაზია! მთელი ძალაუფლება საბჭოებს! არის ასეთი პარტია!" ძლიერდება მარშები, რევოლუციური ჰანგები, სიმღერები... ბენიკო ავანსცენაზეა გამოსული — ხელებით ცდილობს ყურები დაიხშოს... მოხრილი ბუტბუტებს.

ბენიკო: — ნეტა რა დატრიალდა ჩემს თავს? სად ვარ? ყიელიყოში თუ ისევ მატარებელში... ბაქანზე? ანდა რატომ ვარ დედაბერი? თუნდაც მოწაფე? ან მეთაური მე, პატრიოტთა?... ჯანდაბას — რატომ ჩამოღამდა ნუცბათევად? მატარებელი ხომ დილით გამოეშურა და ასი კილომეტრი გაჰკვეთა მხოლოდ?... /თავს ილუზორულ ფანჯარაში ჰყოფს/: — რა იმალება ამ უკუნეთში? ნუთუ თვალები დამეფსო?...

ამასობაში, სიბნელეში, რაღაც ცხოველისსაირი — გაურკვეველი არსება მიუახლოვდა და გაეხახუნა ბენიკოს.

ბენიკო: — შენ, შენ ვინა ხარ?

სფინქსი: — გამოიცან ამა! /და არაბუნებრივად ახარხარდა — ხტუნვით/: — გოლუბჩიკ!

ბენიკო: — მოგცლია ერთი... /შებრუნება სცადა — მაგრამ არსება ბეჭებში ეკა/: — რატომ მირტყავ? და ვინაა შენი ტოლმიკა თუ გოლუბცი...

სფინქსი /ხარხარით/: — გამოიცანი... ყიელიყოში მიარხეინობ, ხომ? ედემში — სადაც ზამთარ-ზაფხულ ლილიები ჰყვავიან!

ბენიკო: — დიახ, ბატონო.

სფინქსი: — სადაც შენი ტურფა ყვავილნარში კოტრიალობს — სხეულზე რომ ელამუნებიან და თავზე იადონები დასჭიკჭიკებენ? ჰა, ბალვან...

ბენიკო: — თუნდაც.

სფინქსი ისევ ახარხარდა და მუჯლუგუნებს სთავაზობს.

სფინქსი: — ჰოდა იცოდე! შენს წინაშე სფინქსია და ის არ შეგიშვებს ამ ქალაქში.

ბენიკო: — ვითომ რატომაო? რა, იქ ეპიდემიაა თუ ვიღაცა საკუთარ ქალიშვილზე გათხოვდა?

სფინქსი: — უარესი. არ გიშვებ და მორჩა! უფრო სწორედ, სანამ თავსატეხს არ გამოიცნობ!

ბენიკო: — ტლინკებს მოეშვი და მიდი ჰე, ჩამოარაკრაკე ეგ შენი რაცხა!

სფინქსი: — მოდის მინინი და შემოეყარა პოჟარსკი. "ვერ-ლავეს გამოიყურები", მიმართავს პოჟარსკი: "კაი ნაყლურწი იქნები". "აბაა! არც შენა ხარ კიტრივით — მოკოკიალობ და გძინავს ზეზეულად. საით გაგიწევია ტო, პოჟარსკი?" "ყიყლიყოში! შენ მინინ-ძმო?" "მეც იქით, ბრატ." კარიჩე ორივენი მანდეთ მიემართებოდნენ — ერთმანეთის საწინააღმდეგოდ. წამასლაათების შემდეგ მიმართულებები გაცვალეს და გაქუსლეს საპირისპიროდ. გამოცანა გვეკითხება: რომელი მოხვდებოდა ყიყლიყოში?

ბენიკო /მოწყენით/: — პოჟარსკი.

სფინქსი: — გეგონოს! ის კურსკის ვაგზალზე ამოყვინთავს.

ბენიკო: — მაშ მინინი. /კიდევ უფრო უხალისოდ/.

სფინქსი: — როგორც შენ იტყვი! ისიც კურსკს ამოითავისებს. ახლა ბედოვლათო, მიპასუხე: ყიყლიყოში რომელი თქვენგანი მოხვდება? ა!-რა-ვი-ნაც! არ მოხვდება. /და სფინქსი გაუჩინარდა — მიატოვა რა, დაბნეული ბენიკო/.

სურათი 2

ამასობაში აჩრდილი — რომელიც სცენის სიღრმეში, ეკრანის მიღმა ორატორობდა — იქიდან გამქრალი, თავზე წამოადგა ჩაკუზულ, ჩაფიქრებულ და სასოწარკვეთილ ბენიკოს. აჩრდილმა ნერვიულად მოიძრო ლენინის ქუდი: თავზე ორი პატარა რქა გამოუჩნდა — შარვლიდან ამოჩრილი გრძელი, ბოლოში ფოჩიანი კუდი ხელზე გადაუკიდია, დარდიმანდულად ჩლიქებზე შემდგარი, ბენიკოს გარშემო თვითკმაყოფილი უწრიალებს.

აჩრდილი: — ხომ, ეს შენა ხარ, ბესედიქტ?

ბენიკო /თავმობეზრებული/: — რა ვნებავს, ტუპოი მორდავ! ჟამი მოიქცნე არა?

აჩრდილი: — რასა იქმ შენ, ამ დუნიაზე და რა დაგრჩენია საპოვნი? /მიუახლოვდა — მხრებში ხელები ჩაავლო/: — მისმინე! კარგად გათვალე ვადები შენი?— მე ერთადერთი ვარ, იმასთან /ხელს ზეკისკენ იშვერს/ ერთად, ვინაც ბოლომდე გდიეთ— მზად ხარ გამომყვე? გიჭირს ხომ მაინც, აქ ყოფნა!

ბენიკო: — შენ ეს არ გეხება — განვედ, ჩემგან— რა, სხვა ვერავინ გაჩითე ამ დაწყევლილ მიწაზეე?

ბენიკო აჩრდილს ზედაც არ უყურებს — დგება, ილუზორულ ფანჯარასთან მიდის და წყვდიადს მისჩერებია.

აჩრდილი: — შენ დამრჩი კენტად— ნუ გეშინია თვალთა ახელვის, დაღლილო ძმაო! ღვთისსიერთ აქა — უნიჭო ჯაბნის— თუ იტანჯები — სული მაიტა!

ბენიკო /ირონიით/: — როგორც შენ იტყვი—

აჩრდილი /გაღიზიანებული/: — ბრიყვი ყოფილხარ! კაი— ხარაშო, კაი— ანგლობაც აღარ გესმის-გეყურება! შენ იცი? რა ჰქენი— ადექი და პირდაპირ ახლა ისკუპე ფანჯრიდან — იქნებ არც მატარებელია ნაღდი და ზღართანს გადარჩე— თუ არა და!— ერთად გადავლასავთ ზღვარს და ერთადვე ვიხილავთ ქვესკნელს! სადაც სამუდამო წამ-ნაწამება მისჯილნი ინანიებენ— უსმინე ერთი — რა საინტერესო მონათხრობია: სწორედ საშენ-მწერლო — სიუჟეტები და პერსონები!

ბენიკო /ჩაფიქრებისა და ყოყმანის შემდეგ/: — არაა, ნწუ მეშინია, თანაც მეტკინება. ისედაც ახლობლები — თავიანთი კეთილი სურვილებით — მანდვე მჩურთავენ.

აჩრდილი /განრისხებული/: — მაშ მე მოგელით წარღვნის შემდეგ, /დარბაზისაკენ შემობრუნდება/: — და ვერანაირი ნოე ვერ გიშველით — თავის კიდობნით! მიმიფურთხებია იმ მტრედისთვისაც — ზეთისხილის ყლორტით რომ და-ელოდებით, არარატიდან— იდიტე ვი, ნა ხოლმიკ... ეტოტ!

და აჩრდილი მიბრუნდა სკენის სიღრმისაკენ: ჭუდს იხურავს, კუდს შარვალში იტენის — ეკრანის უკან უჩინარდება — მაშინვე

ლანდად იქცევა: ჯავშნოსანზე შემდგარი, ორატორობს. მისი სიტყვები დარბაზშიც ისმის — ბენიკოც უსმენს — ჩაფიქრებული და ნაღვლიანი.

აჩრდილი: — ინტელიგენცია, თავი ერის ჭკუა-გონებათ რომ მოაქვს, სინამდვილეში გონი კი არა და — გავნოა! — კატეგორიული წინააღმდეგი ვარ სპირტის კარტოფილიდან გამოხდის! სპირტი მხოლოდ და მხოლოდ ტორფისაგან უნდა იწარმოებოდეს! — ხოლო შაქარი — ნახერხისაგან!

ბენიკო /ისევ წყვდიადს მისჩერებია ფანჯარაში/: — არ მომწონს ხალხო, ეს უკუნი — აღარც ანგელოზები მეფარფატებიან — მხოლოდ ვარსკვლავებით მოჭედილი ცა — კეპლერი აკი ამბობდა: "თანავარსკვლავედი არ არსებობს — ისინი მხოლოდ შემთხვევით ვარსკვლავთა თავყრილობაა და სხვა არაფერი — რომელთაც არც შინაარსით, წყობით, სიდიდითა და ხასიათით საერთო არაფერი აქვთ —" ეულ ვარსკვლავთა ერთობლიობა! ხოლო ადამიანი კი არაფრისდიდებით არ შეიძლება იყოს მარტო — სხვა მარტოკისებს შორის! ადამიანი თავს მთლიანად უნდა უძღვნიდეს სხვებს: მისხალ-მისხალ ისარჯებოდეს, წვეთ-წვეთად იწრიტებოდეს სხვებითვინა და ა! პა-პა-პა! პა! არც ერთი მოლეკულა თავისთვის. მხოლოდ ხალხს და კოლექტივს — თუნდაც ისინი ჯიქურ ეწინააღმდეგებოდნენ და არ იღებდნენ ამ ძღვენს — მიეც და გაიჭეც! ასე მოვუჭრიდი მე ჰემინგუეის, მის ატეხილ ზარის რეკვაზე. რამეთუ "მსოფლიო სევდა" მხცოვან ლიტერატორთა მონაგონი არ გახლავთ — თავად დავატარებ სულში!

ბენიკოს ამ სასოწარკვეთილი მონოლოგის ბოლოს, წყვდიადიდან თანდათან გამოიკვეთება — ავანსცენაზე გამოდის მოხუცი: რედენგოტში გამოწყობილი, აკადემიკოსის ქუდიანი რუსი ინტელიგენტი — კუშტი, თუმცა ეშმაკური, ანცი გამომეტყველებით.

როზანოვი: — რომელ "მსოფლიო სევდაზე" უბნობთ თქვენ, ყმაწვილო?

ბენიკო /გაოცებული, სიხარულით/: — ბატონო როზანოვ, ბატონო ვასილი, თქვენ?

როზანოვი: — მსცოვანი ლიტერატორებიო? /ზიზღით იმრიზავს ტუჩებს/: — რაებს მიედ-მოედებით და ვისი გვკერათ, ჩვენი მწერლების? ტოლსტოის თუ სოლოვიოვის.. მიპასუხეთ, კიდევ ვისი?

ბენიკო დაბნეული, პატივისცემით მისჩერებია — შეპასუხება აზრადაც არ მოსდის. როზანოვი მოხუცისათვის უჩვეულოდ სხარტია — ლაპარაკისას ენერგიულად ჟესტიკულირებს. ხელს სცენის სიღრმისაკენ გაიშვერს — სადაც ერთი წამითაც არ წყდება ეკრანის მილმა აჩრდილის მოძრაობა-დეკლამირება.

როზანოვი: — ძაღლი, გაჭყლეტილი ტრამვაის მიერ — უფრო შეგიძრავთ სულს, ვიდრე ეს ვაებატონები: თავად რომ ეწადიან თქვენ გასრესას. ან იქნებ რევოლუციონერი მაქსიმკასი გწამთ, გორკის? ამღვრეულ წყალში რომ იჭერს საკუთარი პატივმოყვარეობის ლიფსიტებს? თანაც ხელმოცარულად — რადგან არც სატყუარა უვარგა და ანკესიც ბლაგვი აქვს. მაინც ცოდვილობს — რევოლუციას შეფარებული ფარისეველი! ახლა ეს ტიპიურად რუსული ბაქიაობა და სიზარმაცე — რამაც სამყაროს ამოტრიალება გადაგვაწყვეტინა — რევოლუცია! მას ყმაწვილო, ორი განზომილება გააჩნია: სიგრძე და სიგანე. ანუ ფართი აქვს, მაგრამ აკლია მესამე და მთავარი: სიღრმე! ყოველგვარი რევოლუცია ადამიანს ღორად აქცევს. პატივმოყვარეობა და ბოღმა! აი ამბოხის მკვებავი ძალა!

ბენიკო /სასოწარკვეთილი/: — აბა მე... მაშ მე საითლა წავიდე?

როზანოვი /დაყვავებით/: — თითო-ეულს, სიცოცხლეში საკუთარი ვნების კვირა ერგება, იცოდე... გულს მოუსმინე!... ჯანყი ღირსეულია მხოლოდ მაშინ — როდესაც სულში ხდება და არა ჯოგში! ყმაწვილო... /და როზანოვი თანდათან გაქრა-გაუჩინარდა/.

ბენიკო /აღშფოთებული/: — Значит? Пишут те – которым нечего сказать?

ბენიკოს ზურგსუკან — სცენის სიღრმიდან, ისევ ისმის და ძლიერდება აჩრდილ-ლენინის სპეციფიური ხმა.

აჩრდილი: — გორკი გამოიფიტა! ის ყოველთვის იყო ანარქი-უნებისყოფო კაცი. საცოდავი გორკი — ისევ ჩაისვარა... ბეჩავი ბოჩოლა! /შემდეგ სრულიად უადგილოდ — შეცვლილი ტონით — თითქოს ტელეფონზე ლაპარაკობს/: — მთელი იუსტიციის სამინისტრო აყროლებულ თოკებზეა ჩამოსახრჩობი! ნამდვილი ეფექტი პოლიტიკაში მხოლოდ ტერორს მოაქვს! იმოქმედეთ ენერგიულად! ჩიჩერინის მაგივრად მიუშვით სტალინი! სტალინი მიაქსიეთ თურქეთის დელეგაციას, ის ელაპარაკოს... — ზინოვიევ კობას გვარი ხომ არ გახსოვთ? თქვენ, კამენევ?

სურათი 3

სრული სიჩუმეა — თანდათან მოისმის და ძლიერდება ქართული მელოდია: "სულიკო" ან "გაფრინდი შავო მერცხალო"... ეკრანიდან აჩრდილი გამქრალია, მის მაგივრად წერია — ბ ო რ ი და სტალინის ძეგლი დგას.

დიქტორი: — გაიღვიძეთ ლოთებო! ბორში ვართ!

სცენის კუთხე ნათდება: იქ მთავარსარდალის ფაფახიანი ყმაწვილი დგას, უზარმაზარი ულვაშებით, მოკლეშარვლიანი, კიტელში — სტალინის პოზაში. ხმამაღლა, მღერის:

სოსელო: —

ვარდს გაეფურჩქნა კოკორი — გადასვეოდა იასა
ბულბულსაც გაღვიძებოდა და თავს უხრიდა ნიავსა
ტოროლა მაღლა ღრუბლებში, წკრიალ-წკრიალით
გალობდა
ბულბულიც გახარებული, ნაზი ხმით ამას ამბობდა:
— აყვავდი ტურფა ქვეყანავ, ილხინე ივერთ მხარეო
და შენც ქართველო სწავლითა — სამშობლო
გაახარეო!

სინათლე თანდათან მინავლდა — ჩაქვრა. ბიჭიც გაუჩინარდა...

ბენიკო /წამლერებით/: — პატარა გორი დიდიაა! /ბირდაღებული/: — იოსებ ბესარიონოვიჩ, ეს თქვენ? ისევ შენ და ისევ შენ... ჩვენმო სუულის კოოკოორიოო... /ეძებს სცენაზე — თვალებსაც იფშვნიტავს — ყველაფერი გაბერალა. ქართული მელოდია ისევ მარშებმა შესცვალა, ხოლო წარწერა და სურათი ეკრანზე — აჩრდილმა. ბენიკო მას ზურგს აქცევს და იმ ადგილს მიმართავს, სადაც სოსელო იდგა/.

ბენიკო: — თქვენს მიერ შეკრულ-შეკოწიწებული და ჯავშანდაქცეული იმპერია ბესარიონოვიჩ, სულს ღაფავს... და ვინ ვის დაასწრებს გესაცვალე — არავინ უწყის. უკრაინას შორსმჭვრეტელობა აკლია და მოლდავეთი გაშტერებულია, ვლადეივოსტოკი ენცეფოლიტს შეუპყრია და კოლის სახევარკუნძული აპენდიქსით იტანჯება... ლიტვა რევმატიზმით, საქართველო ყაყანებს; იაკუტიას ალმასების გაუტარობა აშარდებს, ოსეთს კი ჩიყვი. დერჟავის დედაქალაქი ფუნქციონალური კუჭაშლილობებით გამოირჩევა, ფსიქოზითა და რეაქტიული ნევროზითაა შეპყრობილი და დეიდა ნატო! ჩვენზე თუ წამოიჭინთა, იმასაც ბესარიონოვიჩ — შალიკაანთ მალხაზა გამოუძღვება, აბაა? საყოველთაო განათლებაც რომ აღარ გვშველის? თუმცა რა განათლებაზეა ლაყაფი — როცა მოსახლეობის უმეტესს არა თუ წაუკითხია, არც კი გაუგონია ევანგელის არსებობა...

ამასობაში ეკრანს მიღმა, ლენინის აჩრდილი გაჰყვირის, უადგილოდ.

აჩრდილი: — ჩეხები და ნემცები ბრიყვი ხალხია! ჟენევა ჩამპალი ადგილია, პარიზი იტაკო — დამყაყებული!... — ზინოვიევ! კობას გვარი ხომ არ გაიხსენეთ? თქვენ კამენევ? ვერა?... /უადგილოდ/: — ციმბირში გადასახლებულს, ძლიერ გამიჭირდა შუშენსკოეში... მოსამსახურე ქალის შოვნა! დაა-და. დამარაბოტნიცასი...

ბენიკო ჩაფიქრებული — ბოლთას სცემს სცენაზე, ხელები ყურებზე აუფარებია — რასაც ხშირად სჩადის, როცა ფიქრობს და ხმამაღლა აზროვნებს.

ბენიკო: — და თუ ქვეყანა აიმღვრა ბესარიონოვიჩ და იღუპება,
მაშ საბჭოთა ხელისუფლებაც უნდა დაიქცეს...
პროპკა ხომ მაშინ არის საჭირო — ბოთლში თუ
ჯანმრთელი სითხე ასხია...

უკბად, საიდანღაც გამეხებული შემოვარდა — ბენიკოს დაეჯახა და შეკბუნდა, ევტიუშკინი — თავზე ჯვრებ-ამოქარგული, მრგვალი ბოხოხით — ტრაქტორისტის კომბინიზონში გამოწყობილი და კომკავშირული ნიშან-მედლებით დახუნძლული, — უამრავი ჯიბეებით და შიგ ქანჩებით... შეშინებულმა მიმოიხედა და თავქუდმოგლეჯილი საწინააღმდეგო მიმართულებით გაიქცა. მას ჟრიამულით მოსდევს ქალთა — ერინიათა გუნდი, ხელში პუშკინის სურათ-ბარელიეფებით: გაავებული, ავხორცნი, წვრილი, გველებივით ნაწნავებით, საზარელნი... დაჯახებისას წაქცეული ბენიკო მათ ეპოტინება.

ბენიკო: — შეჩერდით ქალიშვილებო, შურისძიების ქალღმერთნო
— ერინიებო, დაოკდით! კამსამოლა ევტიუშკინი უკოდ-
ველია... ქვეყნად თავისადთავად არავინაა დამნაშავე!..

ბოლო ერინიას წაეპოტინება — დედაკაცი წამით შეჩერდება: მობრუნებული ბენიკოს თავს გადაუწევს და ტუჩებში პროშნის... ბენიკო შეცბუნებულია... ქალი ალქაჯურად გადაინარსარებს — სილას გააწნავს და კისკისით გაიქცევა. ჩაჩოქილი ბენიკო სასოწარკვეთილია... სცენაზე ახლა ერინიები შემოვარდებიან — მათ შეშლილი სახით მოსდევს ევტიუშკინი — ხელში ჯვარად შემართული ქანჩებით. ბენიკოს ვერც ამჩნევენ, ისე გადათელავენ და გარბიან...

ბენიკო /ხელებაპყრობილი/: — შეჩერდით, შეჩერდით... ამ ქვეყნად
დამნაშავე არავინაა!.. /სცენის სიღრმეში, ეკრანის ლანდს
მიუბრუნდება/: — ბინძურ ჯოჯოხეთად აქციეთ ჩემი მიწა-
წყალი და გრძნობებიც აკვიკრძალეთ! მხოლოდ ყალბი
ტაშ-ფანდური შეაჩეჩეთ ხალხს საჩუქრად: დარდი და
ვარამი — ცეკვა-თამაშით! აი თქვენებური ავაფსანდალი

— უსიჭობის უნიჭო საჩუქარი! და არავინ არს ჩვენთან, საკუთარი თავისა გარდა. სად არის თქვენს გაზეთებში სალაქლაქარი ბედნიერება, სად?

სურათი 4

ისმის ხმაური: მეხის გავარდნა, მატარებლის კივილი, მარშები — ერთმანეთში ირევა ზურნა-დუდუკი, რუსული "ჩასტუშკები" — ცაში ფეერვერკებია— ფანტასმაგორია გრძელდება— სკკენა თანდათან ნისლში იძირება — კვამლში ეხვევა ბენიკოც— მის წინ გამოიკვეთა ძველ რომაულად გამოწყობილი კაცი — თავზე კავკასიელთა — "აერიოპორტი" ბუკლეს ქუდითა და ხელში სატევრით.

ბენიკო: — შენ, მითრიდატე? ივერთ ხელმწიფე? /დააკვირდება — მითრიდატეს სამოსზე რომაული V აწერია/: — არა, მეხუთე ყოფილხარ — ევერგეტე პონტოს მეუფე

მითრიდატე: — გახლავართ.

ბენიკო: — და სატევარი? ეგ რა პონტია — ხელში რათა გაქვს?

მითრიდატე /მუქარით უახლოვდება/: — კითხულობ განა? მოსაკვდინებლად! რაღა თქმა უნდა! /და მითრიდატე სატევარს უწევს დავარდნილ ბენიკოს. ის უმწეოდ ბორავს და ცდილობს აიცილოს/.

ბენიკო: — რას სჩადი, მითრიდატე ხუთოსანო, რასა იქმ? მოაშორე ეგ სატევარი! ნუ მომკლავ ევერგეტე, რა დაგიშავე, ბა ღმერთო? /დაჩხვლეტილი ბენიკო იკრუნჩხება — ტკივილისაგან ბღავის და ეღვიძება. ნისლი თანდათან იწმინდება — ბენიკო გონს მოდის და სხეულს ითვალიერებს— თვალებს იფშვნიტავს—/

ბენიკო: — არაფერია ბენედიქტ! ეგ არაფერი — სიზმარი იყო, ანუ კოშმარი, ეგ მითრიდატე მომეფროიდა— ნეტა სადა ვარ? ცხადში — არ ცხადში— აი საკითხი? კითხვათა კითხვა! — როგორც მაცხოვარმა ბრძანა: "ადექ და გასწი! ვალიფა კუმი!" /ცდილობს წამოდგეს — ამ დროს მას უახლოვდება ტიპიურ ებრაულ სამოსში გამოწყობილი, კულულებიანი რავინი/.

ჟიდი: — "შენ, ტეკელ, ფარეს!" /ბენიკოსაკენ ხელს იშვერს/.
ბენიკო: — რაო?
ჟიდი: — შენ აწონილ იქენ და ჩაითვალე მსუბუქად. ყოფაქცევიანად—
ბენიკო: — აა, ეს შენა ხარ? ლევა ისაკოვიჩი?... მე კი მგონია ურიებთან — პოგრომში დისტანცია უნდა გვექნაროს რუსებს. მსოფლიოში თქვენ აღმოაჩინეთ და დაიჩემისეთ ყველაფერი — ჩვენ კი მხოლოდ დავსურეთ და გავასაიდუმლეთ. რუსები რატომღაც ვცხოვრობთ წამით და წამწამით — თქვენ დღეგრძელად და ბრძნულად. ჩვენ დაბადებასაც ვერ ვასწრებთ ხეირიანად და უკვე ვიხოცებით — ურია კი რატომღაც მარადიულია! თან კაშეივით უკვდავი... და ამირანსაც თქვენთვის მოუტაცნია ღმერთებისაგან ცეცხლი — არამც თუ ჩვენნაირი უსაქმურთათვის. "დაერიეთ ურიებს, გადაარჩინეთ რუსეთი! თვარა იღუპება!" ოღონდაც! მოუხდებოდა... არავის ისე, როგორც მას! თანაც ყველაზე უღირსად... ეს მგონია — ღვთის ნებაცაა. /წამომდგარი, ტანისამოსს იფერთხავს, ჟიდი გაუჩინარდა/: — რომელიც არ უნდა შეიცავდეს ჭეშმარიტებას — ბიბლია თუ დარვინი, მაინც გამოდის რომ — ან ებრაელისაგან გავჩნდით, ან მაიმუნისაგან! ჩვენი შვება მხოლოდ გარდაცვალებაა... ან იქნებ გარდასახვა, ხელოვნება, ჰა? ადამიანებო... თუნდაც აი, თეატრი! /ამ დროს საბალეტო ტრიკოებში გამოწყობილი სილაბანდიანი ბალეტმეისტერები ჩაიცეკვეებენ სცენაზე — "პა" — ების კეთებით. ბენიკო მათ სიხარულით იღებს/: — აი! ბენდენიანი ერის კორიფეები, დიდი რუსი ბალეტმეისტერები: ლუდვიგ მინკუსი, ცეზარე პუნი, მარიუს პეტი-პეტი-პაა... /ბოლო ბალეტმეისტერს მიმართავს, აღფრთოვანებული/: — და ჩვენი საუკუნის გვირგვინი: ჯორჯ ბალანჩინი — ბალანჩივაძე! ბატონო გიორგი გეუსცვათ, თქვენ მაინც ბრძანეთ რაღე თეატრზე, ხელოვნებაზე და მის მარადიულობაზე... დრამატრო-გრაფებზე!

ბალანჩინი /კინკრინოს იმერული ფაფანაკი უმშვენებს/: — აჯან! ეს მე არ მექება. ჩემი ხატა MXAT-ის კრაია! /ცეკვას აგრძელებს/: — იყო თოის, გეენცვა ახლა ქი — ამეერიქა-შია! /და ცეკვით გადის, ბოლო სიტყვებით/: — ფუბლიკას ალენჩებთ სთანისლავსქის მეთოდით... ნე ვერიუ! ნეტ-ნეტ, ნე ვერიუ — ვამ, თქვა!

ბენიკო მარტო, შეცბუნებული რჩება სცენის შუაში. სიღრმეში, ეკრანის იქიდან, ისევ ლანდი-ლენინის ხმა ისმის, ჟესტიკულირებს.

აჩრდილი: — კამენევისაგან შევიტყვე — ანატოლი ლუნაჩარსკის სრულიად უხამსი წინადადება: "ბოლშოი" თეატრის შენარჩუნების შესახებ! განათლების ნარკომო, ტავარიშჩ ლუნაჩარსკი! გირჩევთ ყველა თეატრი კუბოში ჩადოთ! ბატენკა...

გაშწარებული ბენიკო ეკრანს ბოთლს ესვრის: — ვინაა ბატ-ბატ შენი... დაუმიწებელი დედაც!

სურათი 5

თეთრი ეკრანი — ანუ ფარდა — ქრება აჩრდილიანად. თანდათან — ისე რომ ავანსცენაზე გამოსული, ზურგშექცეული და თავზე ხელებმოხვეული ბენიკო ვერ ხედავს — კრემლის წითელ კედლად იქცევა: სათდება — საზეიმო იერს იღებს — კურანტები ენთება. იქვე გამოიკვეთება მუხინას ქანდაკება: მუშა ურითი და დედაკაცი ნამგლით.

ბენიკო: — ვილაც ამბობდა, რომ მოკვდინება არაა ძნელი: საკმარისია ორმოცკერ ღრმად ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა და მე მოვკვდები — გარდავიცვლები. ისე, რომ არ მივიღებ ამ წუთისოფელს. შევიცნობ: გავისიგრძე-სიგანებ და არ ყალიარებ. და როცა მკითხავს, ის: "გიჭირდა მიწაზე თუ გილხენდა?" წყალს დავიგუბებ, არ ვუპასუხებ — ვიყუჩებ და ეს სხეული: თმები, თვალები, დუმილმოცული იქნება დარდად. რამეთუ: ვილაც ჩასკინის პირში ამ წუთისოფელს და ვილაც კი ქვითინით დნება მის მკერდზე მარად. და მე ვიწვნიე ეს — თუმც კი არარა მოვიმოქმედე. ხეირიანადაც არ

მიხარხარია: ფხიზელი გახლდით უგონო მთვრალიც. მწყურვალი დავრჩი — მდინარის პირას. "არაფერს იტყვი?" ელვას დამატეხს კითხვად, საყვედრად. მე კი ვიყურებ მეხთა პასუხად. "გზააბნეული უფრო პოულობს, საკუთარ ბილიკს... იქნებ ისაა მაკვდინებელი?.. "მენე ტეკელ, ფარეს"... აგწონეს და მსუბუქად გცნეს. არაფერია! იმ სასწორზე ოხვრა-ვაება გადაწონის გონს და ანგარიშს... ხოლო ეს გზის მანათობელი ვარსკვლავებიც მინავლდებიან და ჩაქვრებიან. მე თქვენ არ გიცნობთ ხალხო! ვერ გხედავთ — იქნებ ვცდებოდე... და კაშკაშებდეს თქვენი ვარსკვლავი! დრო ხანგრძლივია — უკიდეგანო. ნათება მოკლე და მარტოდმარტო... ეულ ვარსკვლავთა მარტოობა თანა-ვარსკვლავედში აი, ცხოვრება კაცის. /ცაში იყურება/: — არის იქ სასწორი, ან თუ არ არის... ჩვენი — მსუბუქთა პინა გადასწონის მერწმუნეთ, მაინც. მჯერა, მწამს ამის და თქვენც გარწმუნებთ! /აღგზნებული სცენს ბოლთას/: — და მაინც, რატომ ვერ მოვხვდი მე ყიყლიყოში: ქალაქში სადაც მუდმივად ხარობს ლილია და არის ჩვილი, დედიკოანა? გავიდან კეფამდე ახეთქილ თმათა შადრევნით... ნეტა საღა ვარ, უკან-წინა ვარ? /ცაში იყურება/: — ან ანგელოზნი სადღა მელიან, ნუთუ?

სცენაზე ქორო შემოდის. შავებში: შავი ნილბებით და ყაბალახებით, პირქუში. ბენიკო ჯერ სიხარულით მიეგებება — შემდეგ შეცბუნებული უკან-უკან იხევს — სცენის სიღრმისაკენ. შავოსნებმა ბენიკო წრეში მოიქციეს.

შავოსნები: — გასრულდა შენი მატარებელი. ბენ-დაგან-დაგან-ბენ — მეტს ველარ იბოდიალებ, მორჩა.

ბენიკო: — რატომ? /სასოწარკვეთილი/.

შავოსნები: — იმიტომ.

ბენიკო: — რა დაგიშავეთ, გეყოთ — გამიშვით... მე, მე უბრალოდ, სატრფომდე ვერ ჩავაღწიე. ჩამძინებოდა... ჩანთაც დავკარგე. მოსაკითხებით... დიდი ისეთი არაფერი: მიშკა კანფეტი, აფსუს ამწაპნეს!

შავოსნები: — მიშკა კანფეტი?

ბენიკო: — სამასი გრამი. და კიდევ თხილი პირიმშოსთვის — ტკბილ — მოხალული, როგორც შეკვირდი. სულ ერთი პეშვი... ისეთი საყვარელია. ვერ ჩავაღწიე... მაცათ ალიონამდე და ხელახლა გავეშურები — თუმცა ფული კი შემომაკვდა, მოსაკითხავიც... არაფერია — იქ მიმიღებენ — არ დამმადლიან...

შავოსნები მის სიტყვებს ყურადღებას არ აქცევენ — უფრო და უფრო ახვევენ მარწუხებში. სცემენ უმოწყალოდ — წიხლებით და მუშტებით. ბენიკო ყვირის: "გამიშვით მე, ყიყლიყოში!" მაინც ახერხებს წამოხტომა-გაქცევა: სცენის სიღრმეში მის წინ კრემლის წითელი კედელი აღიმართება — ბენიკო მას მიეხლება — ხელებაწეული ათვალიერებს: სინჯავს და თავისთვის ბუტბუტებს, გაოცებული.

ბენიკო: — ღმერთო დიდებულო! შეუცნობია ნება შენი... სასაფლაო ყოფილა!... მთელი სიცოცხლე ჯიქურ ვეძებდი — სხვაგან ვხვდებოდი — კურსკის ვაგზალზე... ახლა კი რიცა, მე გზა მწყურია — მხსნელი ბაქანი! აქ აღიმართა — ეს ქვა-კედელი!

ისმის მარშები, საზეიმო მუსიკა, ლოზუნგები, კედელი, ისედაც განათებული, კურანტებიანი — ნაძვის ხესაით ფერადად კაშკაშდება... მუხისას ქანდაკებაც შეინძრა — ცოცხლდება და ნელი, ზანტი, ავადმომასწავებელი ნაბიჯებით ბენიკოს უახლოვდებიან — ქალი შემართული ნამგლით და კაცი ურითი... სცენაზე ყაყანით შემოცყივდნენ შავოსნებიც, ბენიკოს ეცნენ: "ჩვენგან გარბოდი? სამშობლო არ გიყვარს ხომ, სუკა..." თმებით ითრევენ: "წიხლი, წიხლი მაგას სტომაქში..."

ბენიკო: — ღმერთო სადა ხარ, მოკვდი? არა ხარ? ან რა გწყურია... ჩემო მფარველო ანგელოზებო... თქვენ კი რას სჩადით?... რათა?

შავოსნებმა ბენიკო კედელზე ააკრეს — კედელმაც ხელები გამოიღო და გააკავა, უჭირავს: შავოსნებმა გულში დანა ჩაასვეს

და ქანდაკებებთან ერთად, ჩაკეცილის აკუწვას მიჰყვნენ... ბენიკომ ერთი ამოიკვნესა: "რატომ, რატომ, უფალო... Зачем?;

სცენა ჩაბნელდა — ხმები მიქრა. სიჩუმე. ზეციდან სხივი ჩამოდის და ცარიელ სცენაზე დასვენებულ ბენიკოს ანათებს. სიღრმისეული ეკრანი კი ჰორიზონტს გამოსახავს. ბენიკო მარტოდმარტოა... შემოდიან ანგელოზები — ისევ თეთრებში: თეთრი ფრთებით და ნიღბებით — ბენიკო სათუთად აჰყავთ ზეცაში. ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე, ბენიკოც ციმციმა ვარსკვლავად იქცევა. მუსიკა თანდათან იკლებს, ისმის ბენიკოს იმქვეყნიური ხმა.

ბენიკო: — თანავარსკვლავედი ეულთა თავყრილობაა... უერთმანეთოდ... მარტოდმარტოთა ბეუტვა საჯარო! /და ბენიკოს ვარსკვლავი ზეცას მოსწყდება/: — ვარსკვლავი მოწყდა ადამიანებო — ნატვრა ჩაითქვით, აგისრულდებათ!

სცენა ბნელდება. და როცა ნათდება — ავანსცენაზე გამოსული ქორო მღერის.

ქორო:

ასე ამბავი გასრულდა: ვანო, ბენიკო, ბენისა,
ქვეყნისა და წარსულისა — ჩვენს თავზე გადამხდენისა
თქვენს თვალწინ ცად აღგზევებულ — მთლად
უცოდველი სულისა
და უსამართლო სამართლის, სოფლისგან არ
მოთმენისა...
იყო კაცი და არ იყო — არავისგან დაცული,
თავი ერჩივნა ეული, ვიდრე ბრბოდ გადაქცეული
იტანჯა; გვემეს, ეწამა — და ამოჰხადეს აქ სული!
თავად განსაჯეთ მოყვასნო: განვიდა განა, წარსული?

ფ ა რ დ ა

2002 წ.

პაროდია

სხვებ შეფუთული ავტორი ვარ — აბა რა მექნა? ჩემი, საკუთარი არ უნდოდათ. ახლა კიდევ, გახსენით ეგ ტარა და წაიჩაითა - ვიზეკითხეთ.

ბ.ბ.

აფერუმ-მეს მორიგი. ნაბიჯწარუდგმელი მოგზაურობა

წინათქმა

გაითვალის-წინ-და-წინა რა, ამ ჩემი ლიტცოდვებით სავსე, ავტორმა მცირემ კოლეგა ბესიკიმ, ეროვნულ /ქართული/ ლიტერატურაში პარიოდიული მაშასადამე, მინამსგავსი ასე ვთქვათ, უწოდეთ სამასსარაო-სალადაო, ვნებავთ მეგობრული შარჟის, ჟანრის /რა ამბავი ჟ-ჟებია/ გამოვლენათა უქონლობა /თითო-ეული მაინცდამაინც საკუთარ ნატვინარს ერეკება ურჩადა/, საბოლოოდ გაიმიზნა უცილობლად შეექმნა ზემოთაღნიშნული პროფილის ნაწარმოები /ანუ ნიმუში, დასურათხატებული ქმნილება, შედევრი, დაარქვით აბდაუბდა - ოხ-ოხ -ოხუნჯობა თუნდაც/ და მაშასადამე აამჩატა იმ გარეშემოებამ, რომ ყოვლად ავტორი - აფერუმ-მე, მიმომწერალი, ავტოთავთავი, ლიტფანდების უზადლო და უბადო ოსტატი, ფრთამოტეხილი, ვერას უპანღურებდა იმსაათში ამირანივით კლდეს თუ არა ორთოპედიულად ოღროჩოღრო საწოლს მიჯაჭვული, საავარიალი მაშასადამე, წლინახევარი ბიულეტენით ილლიაში და თერმომეტრით მიორეში, გმინავდა იწვა, იწვა გმინავდა — ისარგებლა რა ზემორეთმოხსენიებული შიგა გარემოებით, მცირე კოლეგა ბასიკომ, გააძწესა თავად ავტორი! ა!ფრედერიკი, მივლინებაში! მისგან დაუკითხავად /!?!/ თან სად თუ იცით და ვისთან ?!!—

გენიოსის მიერ უკვე შექმნილი შედევრის თავიდან საწერად.

ღმერთო შეუნდე — რამეთუ არა უწყიან რასა სჩადიან ეს უთავკონტროლო, შემოქმედებითურ კავშირებს გა/რე/დარჩენილი უკვე ხნიერი, ახალგაზრდები.

ა! ფრედერიკი[1]
მწერალი - ადამიანია?
ანუ. მძინარე ზეთუნახავი

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ქვემორემოსაყოლი ამბის ავტორი - აფერუმ-მე, ყოვლად შემოქმედი, ჯერ ვიოლინოზე, შემდეგ კი სულ სხვა რაშეზედ მისჯილად უკრავდა - თხზავდა.

1

მიუხედავად იმისა, რომ იქაურებს ინჩი-ბინჩი არ გაეგებოდათ იტალიურისა და კლაკნია მაკარონს, კარქა ძვლიანი ხაშლამა ერჩივნათ წარაფითა, ესე ამბავი ძირითადათ იტალიელების მშობელ ჩექმა-მიწაზე და იტალიელებში მოხდა.

- ჩემო და-ბე-ვებულო სიკო, შემაცდინე ხომ იმთამროსავით, ავამუშავე მგონია, აინძრა ავი კალმიანი ხელი.

/ამ ჩემ ლიტმოცილეს პროზა ბოზბაშის ხეთქვა ჰგონია ჩერობში, ამიტომ ფრჩხილებიდან შენ გაგეჩურჩულები ჩემო ერთგულო მკითხველო, ასე ჯობლარია, დაცული ხარ ვინ-გინდ-არებისაგან. ნამდვილი ავტორი გ.დ./

2

აჰ, კარგი რამ იყო არტალუსია, დიდმასათობლით გაბრწყინებული, მწვანედ ბიბინებდა მინდორი და ტყე, პატარა იყო პატარა ღელე[2], ბილიკივით ჭკვიანი - ადიდებისას კამეჩებს რომ მოაგორებდა თავიანთი პატრონებიანა. კარგივე იყო მკირე ჩანჩქერი - გალიპულ კლდეთა ჩამოშლილი თმა ... აქ ზემორემოსწრებული და ქვემორედარჩენილი ამბის ავტორს, აფერუმ-მეს, ნეტარად გააკრეჭოლა - ესიამა მარჯვედ მიგნებული მეტაფორა ესე: ჩანჩქერი - გალიპულ კლდეთა ჩამოშლილი თმა ... აჰ! მაინც კარგი რამ იყო არტალუსია, მაგრამ განგებამ, ყველაზედ დიდმა, უზენაესმა შემოქმედმა, რომელსაც ამხდარს უბრალოდ წარსულს ეძახიან,

---

[1] //აფერუმ-მე//

[2] //უდიმიტრიო//

ხოლო ასასდენს - მომავალს, და რომელთასაც შედარებით აფერუმი ზღვაში წვეთია, ისე ინება, რომ ლუარსაბიო დელ-დონგო, არტალუსიელი ფიგურალურად წვრილფეხა თავადი - ბავშვობაში მამამისს ალააზუნზე მოჭიუმპალავე ჩოკინების სასახავად რომ დაჭაკვდა - ახლა, მრავალი წლის შემდეგ, შელამებულზე, დავახშების მოლოდინში, კედელთან მიდგმულ ტახტზე ტახივით გართხმული იწვა, გორავდა არხეინად - ისსენებდა იმ შორეულ დღეებს.

უფალო ლუარსაბიო! ყოველად მეპროზემ, აფერუმ-მემ ჩაგავლოთ მოზვრის კისერში სამთითა ხელი და ხალხ-ჯამაათის სააშკარაოზე გამოგაჩინდრიკათ თქვენ, ოდესღაც ნაკაკარი-ადამიანი ვინმე, ახლა მიბეგვებული ტიკი-ტომარა, აემაგ ტახტზე დალოგინებული, ყელში ალუაჩამდგარი, საბიჯწარუდგმელი მოგზაური სტომაქისა, კბილებში - ზღვას მანდ რა უნდოდა[1] ზღვაოსანივით ყალიონგაჩრილი სენიორი.

- კარგად წავიდა, მელანმოუღლელად ბესარიონ — გაშალე სუფრა! მაშა-სადამე.

/ყვავ კაკალი გააგდებინო, არ გათეთრდების— ვსახოთ აბბა. ის სქოლიოში ჩამალული ორფრჩხილიანი ვინლა გაიჩითა, ჰაა? მარად თქვენი გ.დ./

3

ეჰ! მაინც კარგი რამ იყო არტალუსია და ეგ ხომ უკვე იყო - აბლავლებული სბოების ზმეილზე საღამოს მწუხრი ამოდიოდა მიწიდან მძიმედ. აეხვეოდა ხეებს, ეზოებს, სოფლის სამრეკლოს, გადააყლაპავდა შავად ყოლიფერს და ცად აწყდილი ღებავდა მასაც. შორეულ ტყიდან გამონაკვერჩხებული, მშიერი მზერით ითირებოდნენ მგლები ——— თუმცა ქათმები პატარა და საქმიანი ჭკუით დაბალ ხეებს თვლემამორეულნი უვლიდნენ - შეაფართხალ-დებოდნენ მალე. სიჩუმე უკვე გლახა ჯორივით იდგა, ლუარსა-ბიოაანთ ეზოში კი მოჯამაგირე ხელ-ძალლ-საბელიანი თანდილინო

[1] //იგი ჩრდილოეთით, ქალაქთ - მურმანსკის, აბესალომსკის, ეთერსკის და ალბათ ეკალსკის პირას გახლდათ//

საგვარეულო გოშიას მიმოდაასეირნებდა, თოკის მიორე ბოლოზე გამობმული ესპანდერი აჰ! ეგ ფიზკულტურული იარაღია, აფერუმ-ძმო ჰო, სპანიელი, წინ-უკან ებლანდებოდა თანდილინოს, ცქვიტად ცდილობდა ძაღლი - მსახურის ხან ერთი წამით გაჩერებული ერთი ფეხისათვის, ხან მეორე წამით და ასე შემდეგ ფეხისათვის მცირედი რამ მიესაქმებინა - ჭოჭაშვერილი წამდა-უწუმ ეცემოდა და უკვე მოღრენილი, საკენად იწევდა.

ლუარსაბიო დელ-მონაკო კი იმ თავისი მამულის, მისივე სახლის, კერძო ტახტზე განივრად წამოარხეინებული იწვა ზმანობდა, ზმანობდა იწვა - ის შორეული წარსული ახსენდებოდა ვითომ, მამამისმა ალაბაზუნზე მოჭყუმპალავე ჩოკინების სანახავად რომ წაიყვანა პირველად?

ყოველად მიმომწერალი ჩვენი, აფერუმ-მეც იქავ დაეუნცულიყო, მისჯილი საქმით უთვალთვალებდა ემაგ ლუარსაბიოა თუ ვილაც მამაძაღლი და გასაქცევიც არსაით ჰქონდა.

აქ სულიკოებო, აფერუმ-მეს გაგვიხსენდა, რომ ავტორს პაუზისა და სულაც არაფლის დაწერის უფლებაცა აქვს ხანდისხან . . ამით გასარებულმა კედლიდან ცეცხლსაქრობი ჩამოხსნა /იყო/ საკობი ამოსჭიისთა: ჩამოასხა, ჩამოისხა, მიაერთჯახუნა და გადაისხა.

მემრე ხელ-ახლა მიუბრუნდა მწერლისთვის ეშაფოტ-სახრჩობელად ქცეულ, საწერიო ე! მაგიდას—

- გაშალე-თქო, სუფრა სარდიონ! სანამ დროა წევიზაკუსკოთ პატარა—— მაშა-სადამე.

ჰოოდა, აი-ამ ჩვენი ცოდვით სავსე კნიაზ ლუარსაბიო მიხოიჩსა არა?! ერთი ჯილასათუნი ესვა სახლშია, სახელად - დარჰაჯანი, ცოლადა ჰყვანდა, რაღა.

4

ლუარსაბიო ეფენდი, ჯეელობაში აბა მაგრე გაბერილი რატომ იქნებოდა - იმ-საირ დიაცებთან დარონიობდა და სხვა ყოლიფერიც სვამდა, ღრეობდა . . . ცეკვა-თამაში, სულიკოებო რამე, უყვარდა . . . სუბუქ ფინთი ქალებში დაყიალობდა ხოლმე, ყალიონიანა. ისე მაინცდამაინც საქმე საქმეზე რომ მიხუტებულიყო - დიდი იმდენი

არაფლის თავი არა ჰქონდა ეფენდისა, მაგრამ კარქია ხანდისხან ბუტკუნა უმანდილოსთან ერთ-ორ-სამ სიტყვა.

- სად გადა-ბასკდი ბესო? შემატივე ხომ საბოლოოდ ამ ჩემ - შამღონებელ ისას.... არმომინდომაამანაციქაცმრგვალ-ბარძაყგავაეშხიანიქალები? ჩამოგალაბორანტებთ, იცოდე!

ასე გულუბრყვილოდ მირიკრიკებდა წვრილფეხა /ფიგურალურად/, არტალუსიელი ბატონიშვილის ლუარსაბიო დელა-ვერის ცხოვრება და მოღვაწეობა აუ! ეს რა წამოგვიცდა აფერუმ-მეს, მიმომწერალს - მოღვაწეობაო? სიმონ[1]

მოკლედ, მარტოკისას, გაუთავდა ის ერთი ტომარა სავსე მაყუთითა, მამამისმა, აი იმან - ბავშვობაში ალააზუნზე რომ ნატარება საყურებლად - და ასე შემდეგ . რომ დაუტოვა, ქარაფშუტობაში შემოხარჯა დაგენაცვლე, შემოექეიფა, შემოეფლანგა შემოგევლე, შემოედიმპიტაურა შენ ხარ ჩემი ბატონი, შემოეჩუტა მაშასადამე აის ტომარა. ჩურჩუტი კი იყო ლუარსაბიო ბვანა, და განა იმდენად? რომ გაკოტრებულს აღარ ეკოტრიალა და არტალუსიიდან გადაკარგულიყო? გადაკრულში გახლდათ ემ საათში რომ გადაწყვიტა ცოლი მოეგყარა. მიზანდაყენებულმა, მოსაგვარებლად ამა საქმისა იმოსა საგარე-გახარე ტანისამოსი, ფეხზედ მოიკვა - რკინის ქალამანი არ დასჭირვებია, იქავ მიდიოდა

იტალიაკკები, ანუ არტალიაკკები ჩვენ ბოდიში და გადამეზობელდა.

ის თავადი - დონ ფრიდონ, გადამდგარი რიიალისტი ანუ მეპიანინე

ხელგაშლილი შეხვდა და მერე ჩამოართვა. ნაჭააჭარზე მაასპინძელმა-მხიარულმა, კეთილი რჩევისა ნაცვლად, აფრააშლილი როლიალი მიიჩოჩა თავისთან და იოჰან-ჯან სებასტიანი, ჩვენი ბახი დასცხო . . . ლუარსაბიო ბალანას ჯერ კიდო ყოჩაღად ეჭირა თავი - არც დაუსლოკინებია და არც არაფელი, მუსიკის მორევში ჩაერთიბეწოებულს მოეჩვენა: რომ მაგრად დაბღუჯეს, მიზილ-მოზილეს, დაწნეხეს და გააბრტყელეს, დაგუნდავეს ისევ- ლუარსაღუამ თვალი გაახილა და მურაბა-ნაზუქებს შუად ჩადგმულ ფერად

---

[1] //და გარფუნკელ. დუეტი. სმრ.//

კითხვის ნიშანს - დედამიწის გამომსახველ, მრგვალ რამ ნივთს მიაჩერჩეტდა. . . ამასობაში ტაპიორის ერთ-ერთი გადასათხოვარი ქალიშვილი, დარ-ავჯანი ჩამოატარეს და ჩადგმით იყო, მოუსკუპეს გვერდითა. . . . ახლა ბათხოვენი, ჩვენი ლუდვიგ ვან-ბანი აკლავიშდა. . . ისთევლე ჩაბღუჯეს ლუარსაღუა, მიზილეს, მოზილეს, დაწნეხეს და გააბრტყელეს გასასიძებლად, ჩააკვრესა ქალთა თონეშიც და გამოაცხვეს. . . უკვე მანჰდელსონს უკრავდნენ.

- სადაა პურ-ღვინო-თოხლი? მაშა-სადა?მე.

მცირე კოლეგავ ბეე-სიკო! რას შემოგვიჩნდი აფერუმ-მეს, საკუთარი აღარა გვყოფნის საღადაო? ამ ლუარსაბიოა თუ ვიღაც ჩემი ცოდვით სავსეს რომ მაწერინებ, ქორწილში დაუპატიჟებლადა თან, ანტრაქტი აღარ იცით ორთავემ? ნუკი წამამწარებ კინუ, ხელმახათიანის არ იყოს. ჩიხირთმა მაინც დამახვრეპიეთ — არადა გადავიკარგები ტო, ლე-დოში.

ერთ-ორ-სამ-ოთხ: - გადიოდა დრო.

5

აეეჰ, ანა-მარია-მაიატიტო, თავად მშვენება - მუზავ! ყოვლად მეუფევ, გრძნობათმპყრობელო. . . შენი თავაწყვეტილი სიყვარული რომ არა და ამ ჩემი ლიტცოდვებით სამსე მცირე კოლეგის ახირება, აფერუმი უფრო წინდას მოქსოვდა მგლების არტელში, ანდა შარვლებს შაპკერავდა ფოლაქებიან ხვანჯრითა და ისე ირჩენდა თავ-ოჯახ-ჯამაათს, თან არტალუსიაშიც გარე-გარე, ვიტამინებიან ტობე[1] ჰაერზე ისეირნებდა ტუდა-სუდა ხოშიანადა[2]- ,ვინდრე ემ საპირველმაისო ბუშტებივით დაბერილ ცოლ-ქმარს ჩაუსახლდებოდა აგურისფილაქანიან სახლში და ჯაშუშურად უთვალთვალულებდა საპირველმაისოდ ეს ახლა, თორემ ლუარსაბიო სან, ვაშრე ბლაგარიდიე - შე თავსულბეჯდრულო, ახლანდელი დროის რა იცი, მშრომელი ხალხების დღესასწაულისა რა გაგეგება მაგ შავბნელ საუკუნეში.

---

[1] //კარვი//

[2] //ტობეთ//

თუმცა ამხანაგებო! ძველი დრო ჩვენთვისაა ძველი თყარა, დონ ლუარსაბიოსათვის ძალიანაც ახალი გახლდათყე.

ხუთ-ექვს-შვიდ-რვა: - მიკუნტრუშობს დრო.

შვილი არ ჰყავდათ ობლებსა - ბევრი ალოცვინა დარ-ალეიქუმი ლუარსაბიომ, თავადაც შეალოცა მემრე, გაურჯელად რომ ალარაფერი ეშველათ მაინც, ნაფიქრალზე, მოახლე აფრინეს ქიზიკიელი მკითხაყის მოსახმობათ გადაარბენინეს იქვე და ისიც ეახლათ, მოახლიანა. დიდხანს იკირკიტა ნახშირჩაყრილ ნესტიან წყალში და ჯადო გქონიათო! გამოაცხადა, მოახლიანა. ვაიჰდედამდე შეშინებული ცოლ-ქმარი გამთენიას ძლივს მოასულიერეს და თელეთის, კაიხინკალი რომ იცის, გზას გაუყენეს, მოახლიანა. ლუარსაბიო-დელ-ისი ხმალამოღებული, წვერზე წამოგებული ვაშლითა, მიაჭენებდა ურმის მხარდამხარ - რომელზედაც კნეინა დარ-ელ-სალამი დასახლებულიყო, მოახლიანა. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, იმათ პირმშო არ შესძინვიათ, დრო რომ მოახლოვდა.

რვა-ცხრა-ათ-ათ: - იწელება დრო.

/აიეს პროზა სულ ჟანგაღუნულ ლურსმანივით ასწორო უნდა და ჭედო სულმუდამ ჯდომა დაგღლის მარტო... აბა პოეტს ფეხზედგომილაც შეუძლია, იმ ცხონებული ჩრდილოელი გოგლი-მოგოლივით. გ.დ./

ჰოოდა ახლაც ლექსის ხასიათზე დაგვიდგა აფერუმ-მე ვის არ გაგვირბის კოხტა ქალისკენ წყეული თვალი და ვრეკოთ პოეზია, თორემა, ამოტონა პროზაულობამ ტვინი წაიღო:

"მარკეს - ლიოსა შაიბნენ, მიწას გაჰქონდა გრიალი-
მარკესამ ლიოსა დასცა, დააწყებინა ღრიალი!"

ამ დროს რადიომაც დააგრიალა: - "ჩვენთან თორმეტი საათია და ყველაფერი გენიალურადაა იმპერიაში, ჰიმნი!" შეგვიკრთა აფერუმ-მე აქეთური - მაგიდისმიერი, ნაბიჯწარუდგმელი მოგზაური და სასწრაფოდ შეეხიზნა იქეთურს, იმ საუკუნეში - წარმტაცი მუზით მივლინებულს, უცხო სახლში რომ მიმოდააბიჯებდა სადაც-

ალა ლუარსაბიო გაგორებული მწიფე გარგარივითა, იწვა ზმანობდა, ზმანობდა იწვა.... ავადსახსენებელი ნაპოლეონ ბონაპარტესი არ იყოს, ორი საქმე ერთად ეკეთებინა, მასაც შეეძლო: კუშეტზე[1] რომ კოტრიალობდა ეს ერთი და, ფიქრობდა თანაც, ის შორეული სალამო ახსენდებოდა ვითომ - დავახშმების მოლოდინში - მამამისმა ალააზუნზე მოჭყუმპალავე ჩოკინების სანახავად რომ წაიყვანა პირველად?

იქობამდე ლუარსაბიო ბეიმ კაი ჭამა გეენცვა, კაი სვა იმ სალამომდე. . . - ადრინდელი ნაქეიფრებისა? "დედა არ ვატირე?" გაიფიქრა და აფერუმისაკენ გადმოგვიბრუნდა: ყველა-ყველა დარეჯან და, ამალამ ვახშმად რა გვაქვს?- დაეკითხა ჯილასათუნსა და იმას კიდევ თავის წილ კედელთან, თავის წილ ტახტზე, საკუთარ ჩხირ-საქსოვ-ძაფიანა კარქა მაგრა ჩასძინებოდა, უკაცრაულად და ხვრინავდა თანაც. . . აჰ! ხომ შეიძლებოდა აეს ალარ მოეხსენებინა ძვირფასსო თქვენთვის აფერუმ-მეს? ეთქვა უბრალოდ - ტახტზე ეძინა დარბაისელ ქალბატონს, ბუხარში ცეცხლი მინავლულიყო, გარეთ კი ცივა, ქრის ქარიი, დახშულია და ა. ს. შ. ჭიშკარიი. მოიცა ხო: ეზოში თავჩაკინკლულ, პაწაპუწო ქათმებს ტოტებზე აქეთ მოდი, იქით გადი ეძინათ, მა რა? ტყეში მგლები ხაფანგებსშუა წასწალ-ბოდიალობდნენ, ხოლო თბილ ქვეყნებში გადახვეწილი ჩიტები იქა, საამოდა სტვენდნენ.

მაგრამ აფერუმ-მეს რომ ოდნავ არაიზუსტოს, ანუ მოგატყუოთ, სარკეში მერე ხომ ჩაიხედება? ალბათ ჩაიხედება, აკი ჩაიხედება, დიახაც ჩაიხედება და რომ იცრუოს, საკუთარ თავს ვეღარ იცნობს ი-ქაა და თუ ეს ვერ ჰქნა, ალარაფერი გამოუვა! მწერლობაში ბაბა სხვის წერა-ჭვრეტამდე, ჯერ კარგად და ფსკერამდე უნდა ვისწავლოთ საკუთარი თავი. ამიტომაც აფერუმ-მე, ყოვლად ავტორი[2], ალალად მოგახსენებთ - აიმ ტახტზე და ასე შემდეგ. ეძინა

---

[1] //წამოსაწოლი. ფრნგ.//

[2] //აუტორიც ადამიანია//

ხვრინვითი ფორმით დარ-ავჯასსა, აქეთესა ჰერ ლუარსაბით ბაგე-მოშიებულ-კითხვიანი უკვე მუწავდა პირსა და მათ შუა კი თქვენი ბედკრული, აფერუმ-მე დაყიალობდა კალმითა. იდგა ხან, მიმოდ

ტაფამწვარი საფერავით /იყოს ბოთლის/, სამარადისოდ შეულ-ლებული კიტრი პამიდვრით, ანდა პირიქით, ოღონდაც ღვინით! მსხვილ-ბუშტ-მსკდომადი სტენდალი ხიზილაილალა, ისევ და ისევ ღვინითაა. . . ჰა, დაღადადა, ბიჭო ლუარსაბ და ჩემი სარდიონ, ანუ ბესარიონ.

/ოლოლო შენ, ბასკო ჩულურეთელო— აბო მყევხარ რალა შენც თბილელი, ანდა ბრწყინვალე გი2ვი. საკუთარი ოდისეები მაქვს საამბნი-უმბნი, დიმიტრიზე, ღელისპირას რომ იქარვებს შენს მიქარვებს. რ. დ. ჟ. რექს—აუ! სორი! ბ. დ. ჩ. ნაშვილი/

მაგრამ თან საქმე, აფერუმ!

ჰოოდა "დედა-ენად" ქცეული ჭერის ყურება სულ პიტნა რა შეაშია და ალარ ეპიტნავა ჯიგარაქავებულ ლუარსაბიოს - ჭურვივით გადმოსკდა ზემორეთმოხსენიებულ აგურის ფილაქანზე - წინალამ გაგვისრისა იქ აჭერკვირებული აფერუმ გახტი-გაეცალე. მაგრამ ავტორი სულ იმ ტიტლიკანა ფეხებზე არ ეკიდა? ახლა ბაბაჯანას ქოშებში რომ შეათბუნა, ტანზე შაჰ-აბასის ნაქონი /წინა მოთხრობიდან. ბ. დ. ჩ. ნაშვილი/ ხალათ-მალათი მოიცვა და სმენად გაქვავდა. . .

ციკანი იყო დიახ, კიკინი მოისმიოდა გარედან, მშიაკაც ლუარსაბიოს ძრიალ აექავა ფეხისგულები "კბილებში გადაეჭრი", ჩაითქვა, ძალუმად კარგამოაღო - გარეთ ცივაა! ქრის ქარი - ზურგსუკან გამოიხურა, ჭიშკარი— გაბაჯბაჯებულმა ბნელს მიაკვირა საჭყეტელად ქცეული თვალები - უკუნში ბაცად ამობეჟეტავდა რაღაც მოკიკინე სულიერი - ერთი, ორი და ხუთი - იქავ გაჩნდა, ქეჩოში წვდა მუცლკაც ლუარსაბიო და კიკინიანა, ასწია ლეკვივით: - მოურაოო! ჯო, აბესალომ, აბესალომ! უი! ლიამ-თქო—

ყველაფერი უბრალოდ მოხდა, უეცრივ - იყო და არა იყო რა, იყო ერთი მოკიკინე, ახლა უკვე ნაციკნარი.

---

[1] //პარდიონ. ფრანგ.//

თერთმეტ-თორმეტ-პირველ-ორი: - გადალამდა დრო.

-შე ყურუმსაღო ბესიკი, მცირე კოლეგავ! საყვარელო, შენ როდის დაყუჩდები? წავუძინებ ცოტას, თვალს მოვატყუებ, სხვას არავის და გამთენიაზე ხაჭოზე ჩავირბენ ხელდახელ, გეყურება? მაინც თქვენს ხაფანგში არა ვარ? ბედნავსი აფერუმი. . . მაშასადა?მე

/ეს ჩემი ლიტმოცილე აგერ საუმბ[1] ამბავს ნახეთ, რედაქციაში თუ არ წააჩინდრიკებს თავისად. ჩამოსალაბორანტებელი მაგი. ის ორფერჩხილიანი რაღა იქსა ჰა? გ.დ./

8

ყოვლად ციბრუტო სენიორო, დიდო მაესტრო ბატონო ტოტო! თქვენ შეგეფარვით დროებით. . . მაინც რა ძალ-მასხარა გედგათ და გიდეღდათ ისეთი, თვით იტალიელთათვის კი დიდად გასაოცი - მეტსახელად ხომ "მეფეს" გეტყოდნენ. მაგ ნეტარი ცხვირის ოღრო-ჩოღრო ჩამოდინება სახეზე, ყბის შთამბეჭდავი რელიეფი - თავად კოლიზეუმის ჟამთაგან დათლილ კიბეებს რომ ჩამოჰგავდა. . ხოლო შემოხედვა? ახლა ღიმილ-ცბიერ-სიცილი? . . თქვენი ხელების გაქნილი მოძრაობა, ტანის მარიონეტული ფლობა, ის სიარული - სირბილით ჩავლილი გზა თან რომ გამოგბიოდათ ჩაჩაჩულ შარვალზე[2], დაფიქრების ჟამს ლოდიანი ყბის გვერდზე მოქცევა, წარბთა მეტყველი აზიდ-დაზიდვა, სუყველაფერი, რომელი ერთი - მეფისეებრი იყო, ხოლო ჩხუბი და აყალ-მაყალი, დაკა-დაკა, პარტყაპურტყი შეგეძლოთ რომ? მაგრამ დიდსულოვნად გაურბოდით, უკვე გადაძუსძულებული გზაც კლაკვნითა და ბულით მოგდევდათ უკან. რა ფერნანდელი, რისი ხოზო-პოლიციელი, ვინაა?

დამწევ-დამჭერი არავინ გყამდათ და შესაძლოა იმ ახალბედა, მჭლე ქართველში ახლანდელ აფერუმ-მეში, მიმიმწერალში, იმიტომაც დაივანეთ . რომ ბედშავხუჭუჭა ა!ფრედერიკიც თქვენსავითა, ჯელლობაში სვისტოკს გაურბიოდა და ვრძელი ფესების იმედზე იყო. მააშ!

---

[1] //სტიპ მოდელი არ გეგონოთ//

[2] //ხანჯარშეკრულ//

მაგრამ ამაზე ახლა ვერ, სხვა დროის. სულთამხუთავებს რა მოშლის მწერლობაში, ძამა!

გისაროდენ, ლუარსაბ:

ორი ავტორი იშოვე,[1] ვااი-ვუუი
უფრჩხილთ და ფრჩხილიანი[2], ვااი-ვუუი
ქარქაშში ხომ წყვილი ხმალი, ვااი-ვუუი
ერთად ვერაფრით ვერ ჩავა, ვااი-ვუუი
ამოღებული დავრჩებით, ვااი-ვუუი.

პაუზებში ჰპოვებს თავის შვებას, აფერუმ-მოიწყინა, თორემ სულმუდამ ბენტერა იმ-ამ ლუარსაბოსთან, ჩვენი მტერი. აგერ არ მიხვრინავს - ჩაქაფულ-ციკან-ქინძული, ღრეჯუ და ახლამაძღარი. მისი ჯილასათუნიც, დედოფლისეეფ დალოგინებული გვერდითა ტახტზე, ფშვინვითვე უბამს მხარსა:

- ყოფილიყავი ასულო ლაღი და ქორფას, ვინ დაგიშლიდა გენაცვა ნამდვილი კერძის მადლიან კეთებას და მხოლოდ საბორ-შჩე ხახვის დაჭრა თუკილა აგიტირებდა მაგ ძილისაგან ნამიან თვალებს: დაკეპილ ჭარხალს, წიწაკას, ოხრახუშს და სტაფილოს კოსტად მიუპამიდორებდი - აქ სატირალიც არ იყო არავითარი ბოსტნეული, ყოლიფერს გამუაშუშებდი ერბოში, დაამატებდი ხორციან ბულიონს, შეუზავებდი აქნილ კომბოსტოს ბლომადა და ნელ ტანგოზე პარდონ, ცეცხლზე ასე ერთი ბილერო ხანი მოხარშავდი, ჩაუჭარხლისწვენებდი ფერითვინა, მიუმძარებდი შაქრითა, გასრულებულზე კი ცავა-ტანემ, აღზევნის მარილს პირის გემოთი...

ხომ კი მოგესმით ბოიარებო, რა რიგ ტანჯვაა აეს მისჯილი საქმე - მწერლობა-მიმოთი, ანუ მიმომწერლობა, თავისი სიზუსტითა და ამ რეკვიზიტით თუ ნაღდი ბორშჩი არ მოამზადეთ, ფინთი ვიყო. მწერლობა მექალალდეობისაგან, ანუ თანამდებობრივ პროზიშვი-ლობისაგან, მხატვრულობითი სიახლით გამონსხვავდება კიდევ და

---

[1] //თუ მეტი?//

[2] //წყვილფრჩხილაც//

[3] //სორი. ინგლ.//

რომ დახატო, შიგნით-შიგანა ბოლომდე, სჭვრეტდე უნდა, კი. აბა თუ ძეგლივით ხელ-გაფშეკილ-ქუდიანი დაერჭე საკუთარი სახელობის მოედანზე და ერს ულაღადე: - სიკეთე კაარგია, ბოროტება კი ცუუდი! - ვინ დაგიჯერებს, უფრორე კი ვინ მოგისმენს, ტავარიშ! - ებო, ახლა უკვე ბატონებო[1]. . .

მაჩქარებენ აქეთენა სულთამხუთავები ჩემო ტოტიკო იტალიიდან და ერთს კიდო გეტყვი ეჰ! საბოლოოდ: მთავარი ხომ მაინც ის დალიტკვილი პროფესიონალიზმია მონსენიორ-ბატონო, ტოტო.

9

შორს წაგივიდათ აფერუმ-მე წამკითხველებო და არტალუსიაზე შორსაც წასულა, ნაბიჯწარუდგმელი მოგზაური თქვენი. . . აფერუმ-ოცნება და კიდევაც, დიახ რომ საკითხავია, ვინ უფრო ჰხშირად ჰყოფილა ვთქვათ, არგენტინაში.

ვინმე ზებრისებრ ჭრელი, წვერგაფუსწული მეზღვაური, მკლავზე-იაკორითა[2], თუ ყურმოჭრილი მონა თქვენი ჰაფრადაბერილი სულითა - აფერუმი. მიმომწერალი.

არტალუსიაში კი . . . იწვა ზმანობდა, დასლოკინების მოლოდინში, ზმანობდა იწვა. . . . და მაინც ვერ მიმხვდარიყო აეგ ლუარსაბიოა თუ ჩემი მცირე კოლეგა, კუჭის ერთ კანონს - რომ იგივ ბითური დარჩენილიყო, რაც ციკნიჭამამდე იყო.

გასრულდა ესე ალთაბალთადა მოთხრობა და სიუჟეტი თუ დაგვიწუნეთ, ამბავი /ის წავიდა, ეს მოვიდა/ რად არ მოგვიყვეთ, აფერუმ-მეს ისლა დარჩენია მოგიგოთ, თანამემამულეებო: ძილს სიუჟეტი არა ჰქონია მიდღემში და რაკი თავისებს არ იშლიდა აფერუმ-ცეტი, გარონიებდათ წაღმა-უკუღმა, ესეც იმიტომ გაურჯელად არ ჩაგეთვლიმად, გურჯებო.

სამ-ოთხ-ხუთ-ექვს: თენდებოდა თანდათან.

---

[1] //შანწაუსკელთა თაობიდან//

[2] //ღუზითა//

- ვისარიონ ჩემო გიჴგი, ანუ ჭუელ, ხო მოვითავე შენი ხერხი და ვიხმარე გემოზე, გევშვი ახლა ჩემს საქმეებზე ჰაა? „კიდევაც დასაწერი მააქვს, ნაირ-ნაირი ამბებია—“ მაშა!სად?ამე.

/აფერუმ ვთქვა - ედემში ვარ, ვერვინ მოვა ჩემზედაო!
გავიხედე სერზედაო - ბასკო მჯდარა ხეზედაო,
გ.დ— გად-დაიკარგე მაქედან!/[1]

მ.ერთხა აფერუმ-ავტორი ზემორეთმოხსენიებულ აგურისფილაქანზე დაფენილ ხალიჩაზე და რა წათვლემა, რისი ძილი, რა დასიზმრება - ცინცხალ განწესდა ხოტაბიჩივით მივლინებაში - ძველ ელადაში უსდა ეჯაშუშნა ახლა, სკირონისათვის. გიკვირთ მაი დარლინგებო? იმ სკირონისათვის, თავისი ქვეყნისა და დროის ანტიჰიგიენური ყოფისა გამო, იძულებული რომ იყო შერჩევით, გამვლელ-გამომვლელთათვის ფეხები ებანებინებინებინა.

- ჩემს მოფრენამდე წაშალე სუფრა ბესარიონ, ხომ გამომტყუე, რაც გინდოდა. ბოლო-ბოლო ავტორიც ადამიანია: რომ ჩამჯდარხარ, ვინცხა ხარ, ფრჩხილებში ჭუჭყივით - გად-დაიკარგე სქოლიოდან! საწერი-ტორია მთლიანად ჩემია! მაშა!სადაშე—

იმ ძნელსავალ, მიმომწერლურ გზებზე ვის არ გადაჰყრია, სად არ უვლია იმ ბილიკებზე აფერუმ-მეს ძველ ეგვიპტეში უვანშპტასთან ერთად პირამიდის ლოდებს ეკაკვებოდა, სანამ უვანშპტა რომელიღაც-ნაირ წაქცეულ მდგომარეობაში არ მიგვიტოვა შეგაურიალებთ და სისხლისმსმელ შაჰ-აბასსაც ბავშვობიდან შვილის მოკვლამდე აეკინძა, ისედაც ცოდვებაკიდებულს. ახლა კიდევ, ვანოსთან ერთად ზღვისპირა რესტორანში, იმ უცნაურ ჯამაათში სადღეგრძელო ბეთქა და მერე კი სვამდა და სვამდა. . . ძმებ კეჟერაძეებს ხომ სისხლი გაუშრო - აღმა-დაღმა უსაშველოდ გადაემტვერა და ბოლოსდაბოლოს რა არის ამდენი ბოლოს და ბოლოს, შეეუღინთა კიდეც და აეჰ! ეს რა შემოახსენეთ - ცამეტი

---

[1] //აფერუმ შენ გაზრდას,
მოეშვი კიდევ ზრდას//

წელი სამოსელს ქსოვდა და ქსოვდა და მოიქსოვა. . . . ამასობაში რამოდენიმე მოთხრობა და ერთიცა პიესაც შემოეწერა კოხტად. . . ქსოვაში. მაგრამ მართას მაგისი რაღა ემართა, ისე ვაგლახად მოკლა საწყალი. . . ბესამე კარო ხომ აღადგინა! ალბათ აღადგინა, აკი აღადგინა, დიახაც რომ აღადგინა და არა ისე, კარტუზო ბაბილონიასა და მამილო, რ. დ. ჟ. რეკსაჩს რომ სურდათ, არამედ, ადამიანად აღადგინა - მიმოფლეიტედ თუმცა, სიბინძურეში იდგა, ჩვენსავით. იქავ თოვლიან ქუჩაში ღამით, მიჯნურწაგვრილი ვითომ ავაზაკი ეული ითოშებოდა, და ჭიქა სს-პორტვეინის მიმწოდებელი არავინ ჰყავდა.

არავინ იყო ანა - მარიას დარი[1]...

დარში თუ ავდარში, შინ თუ გარეთ, ძილში თუ ღვიძილში, სიფხიზლეში თუ პირუკუ... ერისათვის პირში მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო ამბობენ, ამბავი კი ყოველი აფერუმის მოტანილი უკვე სინამდვილეა—

სინამდვილეში კი აღარაფერი იკარგება, ეჰ.

P. S. განგებ არ ყურთაყთ გამოყენებული ლიტერატურის სიას. გამჭრიახი /სხვანაირი ყურ დაამულამებს/ მკითხველი, თაყად წარმოიდგენს მათგან უმრავლესს - შინაურსა და უცხოს.

პატივისცემით:

/ /
// //

ჩამოლაბირანტებული,
მაშასადამე.

2000 წ. „ომეგა“

---

[1] ხელოვნება ხომ ღმერთის მინატრებაა, ჩემო მაესტრო—. //გ.დაკარგული//

კინომოთხრობა

რკინის ქალამანი

(კინომოთხრობა)

„ლოლიტა“

1

თბილისი. ღამე. ცარიელ ქუჩებში ერთი-ორი მანქანა თუ ჩაიქროლებს ანთებული ფარებითა და საბურავების შრიალით.

რუსთაველის პროსპექტი გაჩახჩახებულია. „ივერიის“ წინ მხიარულად დახტუნაობს შადრევნის წყალი და შუაღამის სიწყნარეს არღვევს. იქვე, მოტოციკლეტთან, მილიციელი თვლემს. სასტუმროს პირდაპირ და ზემოთ, ფუნიკულიორი მოჩანს, თავისი გაბრდღვიალებული რესტორნით, პროჟექტორებით შემოხვეული ქართლის დედა, ნარიყალა, მეტეხი, შედარებით ჩაბნელებული ჩუღურეთი, შავად მოლივლივე მტკვარი და ვარანცოვის მოედნის მხარე.

ძველი თბილისის ეზო, პატარა, ასიმეტრიული, შუაში ონკანით. შავად პრიალებენ ფანჯრები — მეზობლებს სძინავთ, ერთადერთი ნათურა, ტუალეტის წინ ჭრიალებს და ირწევა შემოდგომის ნიავზე. ეზოში ლეღვის დიდი ხე დგას, მის ფართო, უცნაურფორმიან ფოთლებზე დაღვრილი მთვარის შუქი, იდუმალ ჩრდილებს აფენს ასფალტზე. ეზოს ერთ კუთხეში ბინის კარი დალუქულია და ბიქლომი ადევს. მის გვერდით, შუშაბანდის სიღრმიდან, სინათლე მოიპარება. ძველებური ავეჯით გაწყობილი ოთახი უფანჯროა, უცნაური — კედლებზე ახოხოლავებული წიგნის თაროებით. კუთხეში ანტიკვარული მაგიდა დგას, პატარა, მრგვალი, ზედ მშვენიერი მარმარილოს ვენერათი. კედელზე ხალიჩიან მხარეს, ფართო საწოლზე ცოლ-ქმარი წევს. ცოლს სძინავს, ქმარი აბაჟურის შუქზე წიგნს კითხულობს. ჩაკვირვებული თაროდან რვეულს იღებს და მასში ციტატას იწერს, ხმადაბლა:

„ჩემო კარგო, შენ ღვინოს, სიყვარულს, ომს მაშინ აღწერ კარგად, როცა თვითონ არა ხარ მსმელი, საყვარელი და მეომარი, პოლიტიკურ ცხოვრებას ნიჭიერად მაშინ აღწერ, როცა თვითონ

არ ეკუთვნი არც ერთ პარტიას. ფლობერი“. რვეულს გადადებს და ისევ წიგნს ჩაუგულისყურდება.

გარეთ, ეზოში კი შუაღამისათვის უჩვეულო ხმაურია — ცული ხვდება ფლიგელის მეზობელ, დალუქული ბინის კარს. ცულს იქნევს უკისრო, ფართოყვრიმალიანი მამაკაცი, იქნევს გამეტებით და ზუსტად. შორეულ კუთხეში, მეორე სართულზე, სინათლე ინთება წამით. მაშინვე ქრება და ახლა შუშის იქიდან იკვეთება შეშინებული, თმაგაწეწილი ქალის სახე. იქ კი, უცნობ მამაკაცს ცულის პირი შეუყვია კარის ჩამტვრეულ ღრიჭოში და ბერკეტად ქცეულ ტარს მთელი ჯანით აწვება. უკან ფართოგავიანი და მხარბეჭიანი ქალი უდგას დოინჯით თავის 12–13 წლის ბიჭს შეუძახებს: — სოლიკო, მოდი რაღა, მუსა ძიას ემანდედან მოუდექ... ფეხი შეყე ბიჭო, რაღა!

— მაიცა ქალო, მაიცა ლოლიტა, მაიცა... — ჭიდაობს ცულიანი.

— დედი, დამიჭი ცოტა ხნით! — ბიჭი აქანდაზს ხელში აჩეჩებს დედას და ეზოში წაკუზული დაცანცარობს. ლეღვის ძირში აგურს პოულობს და კარს უბრაგუნებს: — გაწი კიდე კაცო, ჩავაკვეხო...

— დაიკარგე! მააცილე მაქედან... — სახე ეძაბება მუსას, ყბები კიდევ უფრო ებერება და ტრახ! რაღაც ტყდება და კარი დანებებული იღება. ლოლიტა პირველი შედის ბინაში, დოინჯით შედგება უკუნში: — რა სიმყრალეა, ერთი უყურე!.. იმ ბებერ დედაკაცს, არ ამოუოხრებია აქაურობა? — ოთახში მიიწევს, ჩასართველს ეძებს. მუსა მორიდებით შემოდის; — აქა ხეირია... მშვიდობა ოჯახსა, ეჰე–ჰეე . . . — ჩამოკიდებულ ხელში უხერხულად შერჩენია ცული.

— ოჯახსა არა ისა. მიდი ბიჭო მოეხმარე, ბარგი მოზიდეთ, დროზე!

ბიჭი ეზოში ფუთებს მოათრევს, ძლივსღა ერევა და კარგამომტვრეულ ბინაში როგორც მატარებელში, ფაციფუცით შედის: — ესენია და კიდევ დარჩა, მანქანაში!

მუსა ფართო ნაბიჯით მიდის ბარგის მოსატანად. ლოლიტა ხელაწეული დაფაჩუნობს კედელ-კედელ და ჩამრთველს ეძებს:
— მოდი ბიჭო, მომეხმარე.

მუსა ჩემოდნით ბრუნდება: — ესღა დარჩა... შუქი ჩართეთ, რაღა!

სინათლე უცბად ინთება და ჩაკუზული ბიჭი, ჩამრთველი-სათვის რომ მიუგნია, თავამოწეული, დედას თვალს უკრავს.

— სად ჯანდაბაში დაუყენებიათ, ნახე, ვიკლუჩატელი! — განათებულზე, ბარგით გარშემორტყმულები, ოთახს ათვალიერებენ. კედლებზე იაფფასიანი, ნასურათლებზე მუქად შერჩენილი, მანებიანი შპალერია გაკრული. ერთგან მაქმანებიანი ფარდა მალავს რაღაცას და ლოლიტა მივარდება, სასწრაფოდ გადაწევს... იქ კი, ისევ კედელია, სათავსოს ნაცვლად, ოღონდ უბრალო ჯვარი ჰკიდია და ხატის ადგილ-სამყოფელი იკვეთება. ქვევით, ხის პატარა თაროზე, ჩამოღვენთილი სანთლებია და ასანთიც უდევთ. ლოლიტა ინსტიქტურ პირჯვარს ისახავს, სახე ემანჭება მაშინვე და ფარდას ვაგულისებული აფარებს:

— მკვდრის სახლიც კი არ გეკუთვნისო, ამ გამოოხრებულ სარაიაშიც კი ოთუზბირი მომთხოვეს მაგათი... რკინის ქალამანს ჩავიცვამ, მაგათ ვუჩვენებ!

გვერდითა ბინაში ქმარს წიგნი გადაუდვია და სპორტულ ხალათს იცვამს, თან გაკვირვებული იყურება გაცოცხლებული კედლისაკენ, ხელსაც ადებს... გაღვიძებული ცოლი თვალდახუჭული იწევს ლოგინიდან: — დედა; ვერაფერს ვხედავ, დედა...

ქმარს ეღიმება და ცოლს ისევ აწყვენს, საბანს ახურავს:
— დაიძინე... დაიძინე ელისო.

ეზოში გამოსული, გამოტეხილი ბინის კარს ათვალიერებს წამით, იქ ქალი, კაცი და ბიჭი ფუთებს შლიან, საწოლს მართავენ, კაცი ლურსმანს აჭედებს კედელზე... კინკრიხოს იქექავს ქმარი და ხელჩაქნეული ტუალეტისაკენ მიდის. მობრუნებულს, ცოლი გამოფხიზლებული ხვდება. ხალიჩაზეა აკრული: — ვაჟა, რა ხდება?

— თამარა დეიდა გაცოცხლდა საწყალი და სააქაოს ალაგებს. — თავზე პიჟამოს იძრობს ქმარი.

— მიცვალებულზე რატომ ხუმრობ, ვაჟა.

— აბა ანგლობის მეტი რა დაგვრჩენია. შემოგვისახლეს, მეზობლები. — საწოლში მიძვრება: —ფა-ფუ! საწყალი თამარა დეიდას ოთახი.

— მართლა?... ვინ არიან? — კარამელს იღებს, ფცქვნის.

ჩათბუნებული ვაჟა ცოლს გვერდით იწვენს და ეხვევა. ცოტა ხნის შემდეგ ჩურჩულით პასუხობს: — ახალგაზრდა ცოლ-ქმარია, ბიჭით.

2

თბილისის ერთ-ერთი ძველი, აგურით ნაგები სკოლა, შიდა ეზოთი, სპორტული მოედნით, მოწაფეებით, ფეხბურთელის ფორმიანი მოთამაშეებით — პირში სასტვენიანი ახალგაზრდა მასწავლებელი რომ მსაჯობთ.

მესამე სართულის კლასის ფანჯრიდან, მათ თვალს ადევნებს ვაჟა. მოწაფეები ყურადღებით იუხოჭნებიან რვეულებში, დაფაზე წერია: „თოვლი. საცურაო აუზი. კატა. აგური. საფრანგეთის რევოლუცია. ისტებლიშმენტი. სიზმარი. სახლი. სამშობლო“.

ვაჟა კლასს უბრუნდება: — მოთხრობაში, რომელშიც ეს სიტყვები შევა, ყოველგვარი პირობითობა დასაშვებია, ოღონდ ნიჭიერად. მე კი დაგტოვებთ ცოტა ხნით. ვისაც მუზა არ წყალობს ამჟამად, შეუძლია სხვა გაკვეთილი მოამზადოს.

გასვლისას თავისთვის წაილაპარაკებს: — ნიჭი კი მხოლოდ საკუთარია.

დერეფანში, მოსახვევში პალმა გამოიჩაჩხა, მის უკან დამალული გამოგდებული, წითური ბიჭით, ვაჟამ რომ გულმოდგინედ თყალი აარიდა და კიბეს ჩაუყვა.

ახლა, ვაჟას ყოფილ ადგილას, მოწაფე გოგონა დგას ფანჯარასთან და ეზოში იყურება. ვაჟა ფიზკულტურის მასწავლებელს ესაუბრება: — კოოპერატივში შესატანი რამდენია?

— ცხრა ათასი. — პირიდან სასტვენს იღებს ის.

— ცხრა ათასი!

— აკი გვერდითა ბინა უნდა მოეცათ, განთავისუფლებული?

— ჩაიშალა, მგონი.

— ისესხო იქნებ...

— ვალით ვერ ვიცხოვრებ, არ შემიძლია.

— მოიცა. — სასტვენს ბერავს და ფეხბურთელებს გასძახის:
— ფინიშ! გასახდელისაკენ იარ! — ვაჟასაკენ მობრუნებული:
— მაკლერებში ადი, ლისის ტბაზე. ერთი ტიპია, რობიზონა, შავია, დაგეხმარება. ჩემი სახელით მიდი. — და მოწაფეებს ქოჩორაწეული, ყოჩივით წაუძღვა გასახდელისაკენ.

მარტოდ დარჩენილმა ვაჟამ მიმოიხედა, მესამე სართულზე, ფანჯარას სასწრაფოდ აცილებულ გოგონას ჰკიდა თვალი.

3

ხალხმრავალ ქუჩაში ვაჟა მოდის პორტფელის ქნევით. მიესალმნენ, თავადაც უბრუნებს სალამს და რედაქციაში შედის. ფოიეში ტელეფონით რეკავს და საშვს ითხოვს.

შემშვები მილიციელის მაგიდაზე ტელეფონი ახმაურდება.

— გისმენთ, დიახ, ვაჩნაძე!

ვაჟა მომზადებულ პასპორტს უწვდის, მილიციელი აუჩქარებლად იწერს მონაცემებს ჟურნალში, შემდეგ სურათსა და ვაჟას სახეს დაბეჯითებით ადარებს პასპორტს უბრუნებს:
— გაიარეთ!

ლიფტში შესულს, იღლიაში საქაღალდეებამოჩრილი, ორმოცდაათიოდე წლის წარმოსადეგი მწერალი ხვდება.

— ბატონო გოგი...

— ოჰ, ვაჟა, ვაჟიკო... რომელი სართულია?

ვაჟას პასუხს გოგი არ ელოდება, გაჩერებაზე ხელმკლავით გამოჰყავს და საათზე იყურება: — სამს აკლია თხუთმეტი — დერეფანში თითქმის ძალით მიათრევს. ვაჟა დაბნეულია: — რა ბრძანეთ?

— შენ არ მკითხე რომელი საათიაო? ვაჟა. ჰო. მომიტანე რამე?

— არა. საბავშვო მოთხრობა ამაქვს ზევით, დილაში.

— საბავშვო. — ხუჭუჭ, ჭაღარაშერეულ თმას შეარხევს, ხმადაბლა: — შენ რამდენი წლისა ხარ?

— ოცდაცამეტის.

შემდგარი, ვაჟას ათვალიერებს: — აუჰ! რა ბედნიერებაა ახალგაზრდობა! — და ფხას აგრძელებს, ისევ შედგება, ბრუნდება, თვალებში აკვირდება, თმაზე, მხრებზე ხელსაც შეახებს... და თავქუდმოგლეჯილი გარბის: — არა ბატონო, არ მინდა. რა თავში ვიხლი ახალგაზრდობას, ყველაფერი თავიდან დაიწყოს, თავიდან გავიარო, უკვე დამთავრებული, დაბეჭდილი წიგნი თავიდან ვწერო და რედაქციებში ვაწანწალო, შემეშვი თუ ძმა ხარ... ნეტა რომელი სართულია აქ? — სატვირთო ლიფტთან დამუხრუჭებული, ვაჟას გამოსძახებს: — ყველაზე კარგი ის ასაკია, რომელშიც ხარ ადამიანი. დიახ! და რა ბედნიერებაა, რომ ბოლოსკენ იღლები. — ასე რჩება, პირით ლიფტისაკენ. პროფილში.

საბავშვო ჟურნალის რედაქციაში ვაჟას ცნობილი პოეტი მოძღვრავს:

— რატომ არ წერ შენ, წიგნზე განცხადებას?

— ჯერ მაგდენი მასალა არ დამიგროვებია...

პოეტს ნერვიულად ეღიმება, ოთახში მიდი-მოდის, ჩხინკი ტანი ხელებით უკან გაინასკვა, შედგა: — მიკვირს და მიკვირს, რა უნდა იმას, რომ აიღო ერთი საქაღალდე, ჩააწყო შიგ რამოდენიმე მოთხრობა, ჩაიტანო გამომცემლობაში, დაადო ზედ ერთი განცხადება და შეუტანო დირექტორს. ჩადგება მერე საქაღალდე რიგში და ივლის წინ, უშენოდ.

ვაჟა სკამზე უხერხულად ჭრაჭუნობს: — რამოდენიმე ფორმას თუ შევარჩევ...

სიარულ განახლებულმა პოეტმა, ეკვირვებისაგან, ჩაბუქნა კიდეც: — ბინა რომ დროზე მიიღო, მწერალთა კავშირის წევრი უნდა გახდე დროზე, მწერალთა კავშირის წევრი რომ

გახდე — წიგნები უნდა გამოაქვეყნო დროზე, წიგნები რომ გამოაქვეყნო — განცხადება უნდა შეიტანო დროზე... — ვაჟას შემხედვარე: ასეა ეს, ასეა! და მე რა ვქნა?

* * *

ვაჟა აღმართს მიუყვება, ცენტრალური კომიტეტის მისაღები. დარბაისელი, კოსტუმში გამოწყობილი ქალი პასპორტს არომევს და დავთარში ეძებს, თითით სტრიქონებს ჩაყოლებული: — ვაჩნაძე მამალაძესთან. — პოულობს, იღებს ბლანკს, პასპორტიდან ავსებს. საშვიან პასპორტს ვაჟას უბრუნებს: — ინებეთ.

— გმადლობთ. — ვაჟა დაცვიან მაგიდასთან საშვს წარადგენს, უბრუნებენ და გავლილი, ლიფტს იძახებს.

ინსტრუქტორის კაბინეტი. პატარა და კომფორტული, კოხტად მოწყობილი ოთახი. თხელი, ელეგანტური მასპინძელი სიგარეტს სთავაზობს, სანთებელათი უკიდებს. ვაჟა ისევ სკამზეა, ჭრაჭუნობს: — როგორ თუ უკანონოდ შესახლდა... ამისათვის დამირეკე სკოლაში?

— კი. უკანონოდ შეამტვრია კარი. ბინა უორდეროდ მიითვისა.

— ეგრეც ხდება?

— კარგი ახლა. ყველაფერიც ხდება ამ ცხოვრებაში. განცხადებით უნდა მიმართო აღმასკომს. ვიბრძოლებთ და გამოასახლებენ. შენ კი დაგაკმაყოფილებენ, გეკუთვნის.

— დამაკმაყოფილებენ. მეკუთვნის... მე ბევრი რამე მეკუთვნის, თუ დამაკმაყოფილებენ და არაფერი, თუ არ დამაკმაყოფილებენ.

— კარგი ახლა! საქმე სერიოზულია.

— ბავშვიანი ქალი გამომასახლებინე ახლა ბინიდან.

— აბა რა გინდა?

— მე ბევრი რამე მინდა. ელისოსაც...

— ჰო მართლა, როგორ ხართ, რას ეუბნებიან?

— მკურნალობს. გეყოლებაო. განცხადებას არ დავწერ, იცი, თამაზ.

— აჰა, ვიცოდი. — ხალიჩაზე გაიარ-გამოიარა, წინ დაუდგა: — ყოველთვის მოინახება საშველი, მეც აქა ვარ! როდის გიწევს ბინა?

— ჯერ მხოლოდ თორმეტი წელია, აღრიცხვაზე ვარ. ახლა 15-20 წლიანებს აკმაყოფილებენ. იცი, რა მიკვირს? სამი წლის წინ რომ მე და ელისომ ხელი მოვაწერეთ, ბინის მიღებაზე ლაპარაკიც არ იყო... ახლა წერენ, ახალდაქორწინებულებს ზაქსში უნდა მივცეთ გასაღებიო და ის დროა გავეყაროთ, რომ ხელის მოწერის შანსი არ გავუშვათ, ჰა!

თამაზმა მაციერიდან პეპსი-კოლა გამოიღო, საცობი მოაძრო და ვაჟას გაუწოდა: — ნუ იცი შენ ყველაფრის გადაჭარბება. — მხრებზე მოეხვია: — სკოლიდან ერთად მოვდიოდით და გამომყოლოდი გვერდით, ახლაც ერთად ვიქნებოდით.

4

საღამოს თბილისი. კალინინის და კლარა ცეტკინის ქუჩები. თავიანთი განუყოფელი ტრამვაით. საბჭოს ქუჩა, მოედანი, ფაცი-ფუცით ირევიან ჩანთოსანი დიასახლისები. გვერდით, იქვე, ახლად გაკოხტავებულ სკვერში, მაუზერიანი უცნობი მოქალაქის ძეგლი წამომართულა, უწარწეროდ. დედები ჩვილ ბავშვებს დააჭოჭინებენ, მოზარდები ველოსიპედებით დაქრიან, ძაღლმა გადაირბინა, პერისკოპივით აწეული კუდითა და დრუნჩის ბუჩქებთან ჩხიკინით... ბაღის ერთ ბოლოში სამფეხაზე შემოდებულ ტილოსთან წვერიანი მხატვარი ფუსფუსებს — ხელში ფუნჯითა და პალიტრით. მოპირდაპირე, ძველ და კოხტა სახლს ხატავს თავდავიწყებით.

ტრამვაიმ ჩაირაკუნა, შედგა. — ხალხი ჩამოურიდა გაღებულ კარიდან, ფანჯარასთან ვაჟას პროფილია, გამოიხედა.

სკვერში მხატვარი გაჰყავთ მილიციელებს, ჩოჩქოლითა და ჯაჯგურით. ის ეურჩება, აბურძგნილი წვერითა და ხელების ქნევით რაღაცას ამტკიცებს. პალიტრას და ფუნჯებს არ ანებებს...

ვაჟა წყდება ადგილს და კარისაკენ მირბის. დაკეტილია. დაიძრა ტრამვაი და ჩაატარა ვაჟას შეშფოთებული სახე.

ისევ ნაცნობი ეზო. შუშაბანდის განათებულ ფანჯრებიდან ვაჟა და ელისო მოჩანან, ჩაის შეექცევიან, სამოვარიდან.

გვერდითა ბინაში კარის გამოცვლაც და შუშაბანდის შეღებვა-გაკოხტავებაც მოუსწრიათ. ოთახში მაგიდაა გაშლილი. დიდ ლამბაქზე ხინკალს ასდის ოხშივარი. გარშემო მჯდომი ხალხი მისკენ მიიწევს. ლოლიტა იცინის, შეძახილებით ამხნევებს და ზოგ მსუნაგად გაწვდილ ხელსაც სილას უტყაპუნებს... ყანწს იღებს და დასერიოზულებული, სადღეგრძელოს წარმოსთქვამს. თითს ზევით იშვერს, ფულის დათვლას გამოსახავს, წამსვე სამითითის კომბინაციად გადააკეთებს — რითაც საერთო მხიარულებასა და აღტაცებას იწვევს... თავად კი წარბშეკრული რჩება, შემდეგ ყანწს მამაკაცური მოხდენილობით ცლის და გვერდით მჯდომ, გამხდარ და აწოწილ მეგობარს აჩეჩებს. წვერგაუპარსავი მეგობარი, სიგარეტის ჩაუქრობლად ართმევს შემოთავაზებულ ალავერდს და დაულევლად ყანწს უკუღმა აცვაყს ბოთლზე. ხარხარებენ.

5

საბჭოს მოედანზე, უცნობი მოქალაქის ძეგლს მხრებზე თოვლი ეყრება. მოღრუბლულ ცაში ყვავები დამწვარი ქაღალდებივით დაფარფატობენ. პატარა სკვერი თეთრად ბრჭყვიალებს, კოსმონავტივით შეფუთული თითი-ოროლა ბავშვი დახმაურობს და თოვლში ცსვირით ერჭობა. კატამ გადაირბინა, კუნტრუშითა და კსავილით, ხეზე აფხოჭნდა — ააგუნდავა ყვავები. მათმა ყრანტალმა წამით გამოარკვია, საქმეს მოაცდინა წვერიანი მხატვარი — თვალი გააყოლა აფრენილებს და ისევ ტილოს მიუჯდა. ტრამვაიმ ჩაიჭრიალა — დანისლული ფანჯრებით, შიგ მიყუჩულან სკამებზე, პალტოებში ჩათბუნული ხალხი, მორჩილად აყოლილან რწევას და მოხუცებიც, ცვილის სახეებით, ტრამვაის მუდმივ მაცხოვრებლებად გადაქცეულან.

ელისო განათებულ მაგიდას უზის და ლოლიტას ვაჟს, სოლომონს, ინგლისურში ამეცადინებს. საერთო სამზარეულოდან ლოლიტა იხედება და შვილს შეუძახებს:

— დაუჯერე პა! ელისო დეიდას, თორემ მე ვიცი შენი!

თოვლ-ჭყაპიან ეზოში ვაჟა და გოგი შემოდიან, მკერდზე ახუტებული პარკებით. ვაჟა ონკანთან მოფუსფუსე ქალს ესალმება, სალამს აძლევს გოგიც, მეზობელი ვაჟას უბრუნებს გამარჯობას და გოგის კი გაკვირვებული ათვალიერებს.

სახლში შესულები, სანოვაგეს მაგიდაზე ალაგებენ, გახარებულ, წამომდგარ ელისოს გოგი ხელზე ჰკოცნის: — გამარჯობათ, ქალბატონო ელისო— ვაჟამ არ დაიშალა, პირველი თოვლი ავღნიშნოთო.

ვაჟა ხელების ფშვნეტით სოლომონს უახლოვდება: — სალამი, სოლომონ ბრძენო... უი, გუდ-ივნინგ, ბეიბი! გაიხადეთ, ბატონო გოგი. — ელისოს ხვევს მხრებზე ხელს: — განხილვაზე ვიყავით კავშირში.

ბიჭმა დრო იხელთა და ახოხოლავებულ წიგნებს ჩანთაში ჩურთავს: — ვაჟა ძია, ეუვაჩკები მომიტანე?

— კევი, კევი, — ერევა გოგი: — ადრე ბორჯომის ხეობაში იძახდნენ ასე, ჩამომდგარ მატარებელთან.

ვაჟა ფერად-ფერად კევებს იღებს ჯიბიდან. ბიჭი უინტერესოდ ათვალიერებს:

— თბილისია. მე საზღვარგარეთული დაგაბარეთ.

— ინგლისურს ისწავლი, იქაურს მოგიტან. ჯერ კი ქართული იკმარე.

გოგი და ელისო პარკიდან რამოდენიმე ბოთლ ხვანჭკარას აძვრენენ. გოგი დამორცხვებულია: — ბორჯომი მირჩევნია დასალევად, თუმცა სულ ქვიშხეთში ვისვენებთ. კავშირსა აქვს იქ სახლი...

ლამაზად გაწყობილ, სანთლებიან მაგიდას შემომსხდარნი, წყნარად სადილობენ. სოლომონი მაგიდის მეორე ბოლოს გადაწვდება და ხაჭაპურს ითრევს. უხმო ტელევიზორში კომბაინების ქარხანას აჩვენებენ.

ლოლიტა შემოდის ოთახში, ლამბაქით, დახვავებული ხინკლების ოხშივარი შემოაქვს.

— ოო, ლოლიტა, მობრძანდი, — ეგებება ვაჟა — გაიცანით, ჩემი კარის მეზობელი, ლოლიტა ცურციძე. ბატონი გოგი, ცნობილი მწერალი.

— ძალიან სასიამოვნოა. — სკამიდან წამოზრდილი გოგი ქალს თავს უკრავს.

— მადლობა. — წითლდება ლოლიტა, ლამაზი მამაკაცის შეხვედრაზე: — წადი ბიჭო, იმაცადინე სახლში. დედა გენაცვალოს. — ღიმილიანი, დაფარულად ჩქმეტს შვილს და სოლომონიც მორჩილად გადაძვრება სკამიდან.

ვაჟა მაღალ ფუჟერში ხვანჭკარას ისხავს და ფეხზე დგება: — ამ ჭიქით, ჩემო ძვირფასებო, ეს წიგნი მინდა ვადღეგრძელო! — ანტიკვარულ მაგიდაზე, ვენერას გვერდით ჩამოდებულ წიგნზე ათითებს: — რომელიც აღარც ბატონი გოგი გახლავთ და აღარც მისი ცხოვრება. ეს რომანი ახლა ისეთივე დამოუკიდებელი რეალობაა, როგორც თითოეული ჩვენთაგანი. დიდი წიგნის დაბადებას გაუმარჯოს!

გოგი ხელებს ასავსავებს უარის ნიშნად, ელისოს გადახედავს, თითქოს ეუბნება: „ეგ წიგნი აღარ გამახსენოთ, ოღონდ“...

— ვიცი, ბატონო გოგი, ათი წლის შრომაა ეგ წიგნი, — უხვდება ვაჟა: — მე თქვენ პატივცემულ ადგილას ვიყიდიდი ძველ, კარგად მოვლილ „ოპელ-ადმირალს“, აქვე, ჩემი მეზობელი, ჩხირკედელა აფანასი რომ ჰყიდის, გადავხდიდი ტენტს, ჩავიცვამდი ბუკლეს კოსტუმს მაესტროს ყელსახვევით და ასე ვისეირნებდი ბოლომდე, ჩვენ საოცარ ქალაქში.

— სადა მაქვს ბუკლეს კოსტუმი, — ჩურჩულებს გოგი.

ელისო აჩქარებული გადის საშზარეულოში და იქ იცინის. ლოლიტაც მიჰყვება: —სად მუშაობსო?

— მწერალია.

— ცოცხალი?.. ისა... სულ ეგაა?

— არა, რატომ. განყოფილება აბარია, დოქტორია.

— ექიმია? აკი მწერალიაო... ცოლი ჰყავს?

— არა.

— ამიტომაც დადის ღილაწყვეტილი.

— რა თქვი?

— ღილი აქვს–მეთქი აწყვეტილი, აი აქ! — და ხელს გამობზეკილ მუცელზე იდებს. ელისო ისევ ვერ იკავებს სიცილს. ლოლიტა წინ უდგება: არცა ჰყოლია ცოლი?

— არა.

— ისა?.. ა!

— სულ ბატებივით დასდევდნენ ქალები, ახლაც დასდევენ ალბათ. მაგრამ შეუვალი ბერბიჭაა. — სერიოზულად უჭრის ელისო.

— ჰოო. თუ ბერია და წმინდანი... მდიდარია?

— წესიერი კაცია, პატიოსანი. რატომ უნდა იყოს მდიდარი.

— აბა ჩემსავით გაფხეკილი და უბინაო...

ელისო უცბად უხვდება და გაოცებული, უბოროტო ირონიით აქეზებს: — ბინა კი მართლაც მეფური აქვს. ბაბუისაგან დარჩა, აკადემიკოსისაგან.

— რამდენი ოთახია?

— ხუთი, უზარმაზარი. ერთში ბილიარდიც კი უდგას. მეორეში კი ჩარლი ჰყავს, ირლანდიური სეტერი.

— სადაური?

— ირლანდიური.

— ჰოო. ცხოვრობს რაღა ხალხი... ჩვენ კი აქა ვწყდებით წელში. — ელისოს თავზე ხელს უსვამს: — იგრე მადლობელი ვარ თქვენი. ჩემს მუტრუკს რომ ამაცადინებთ. იმ დამთხვეულმა შავლეგმა რომ კინაღამ ცემით მამკლა, საავადმყოფოში არ დავიჯერე, მეთქი სხვასთან მიდიოდი სანახავად... დაწყვეტილი ვარ ქალი, მაღაზიაში ისევლე რევიზორი გვიზის. სული ამოაქვთ... — უცბად მხიარულდება, დოინჯებს ირტყავს: — მაგრამ ჩემი შემშინებელი ჯერ არ დაბადებულა, მიყურონ აბა! — აღგზნებული იცინის და შემწვარი ხინკლები გააქვს.

ვაჟა და გოგი აწითლებულები კამათობენ. ვაჟას ისევ ფუჟერი აუწევია: — ახლა მაინც დავლიოთ დედმამიშვილების სადღეგრძელო. ჯერ მარტო სიტყვა რად ღირს!

— მე დედმამიშვილებისას არ დავლევ და არცა მყავს, რომ დავლიო. აი, ხინკალიც! — ეურჩება გოგი.

ლოლიტას ხინკლებთან ერთად თავისი ხორციანი სხეულიც მოაქვს, მუხლებზე კაბა გადაჭიმული უჯდება კაცებს, შუაში:
— არ გააციოთ! ისიამოვნეთ, გოგი.

ვაჟა ახლა მას უბრუნდება: — ლოლიტა გენაცვალე, დედმამიშვილები თუ გყავს?

ლოლიტა თმას შეისწორებს და სახე ეღრუბლება: — ძმა მყავდა, მამიკლეს.

— როგორ? — ერთად გამოფხიზლდნენ კაცები. კარში გახევდა თეფშებით შემოსული ელისოც.

ლოლიტამ გაბეზრებული სახითა და კილოთი დაიწყო:
— სოფელში მაგის დამშომინებელი არ დაიძებნებოდა, სულ შუდამ ჩხუბში და დავიდარაბაში ტრიალებდა, მაგარი იყო. ერთ მშვენიერ დილასაც, წინაღამით ნაცემი კაცი მოადგა ღობეზე — ბარნაბაა! — დაუძახა. გამოვიდა ეგ ბრიყვი, ბალკონზე გადმოდგა წელშიშველი — რა იყოო? — თუ ეგონა ხაშზე მპატიჟებენო. რააო და გადმოიღო იმ კაცმა, ბერდენკა მხარიდან და რეკა ტყვია შიგ შუბლში, ჩვენ ბარნაბასა, მაშ. მიწამდე აღარ დაჰყოლია სული, ბედშავსა.

ვაჟას და გოგის სახეები ჩამოუგრძელდათ, გაფითრებული დგას ელისოც... ლოლიტა მიხვდა, რომ რაღაც ვერ მოზომა და ნერვიულად დაამატა: — ახი იყო მაგაზედა, თქვენ ნუ მოიკლავთ თავსა... აკი მთელი სოფელი გაიძახოდა, ახი იყო მაგაზეო!

6

ცივი დილაა. ვაჟა მაგიდასთან რაღაცას წერს. კედლის იქით ხმაური ისმის, ვაჟა მიდის საკიდთან, ხსნის ყურებიან ბეწვის ქუდს და თავზე იხურავს. ასე ნიკაპთან გამოსკვნილი ჯდება და აგრძელებს წერას. ელისო ლოგინიდან უთვალთვალებს და ჩუმად ეცინება.

შუშაბანდში, წვერის პარსვისას ვაჟა თვალს წაატანს შავლეგს, კარს რომ გაიჩხაკუნებს და თოვლს გაბრაზებული იკვლევს ეზოდან.

სკოლისაკენ მიმავალ ვაჟას სკვერთან მეეზოვე მიესალმება: — გამარჯობა, ვაჟე! ვაჟაც უბრუნებს სალამს და ნიკაპით შარფში მიძვრება. სკოლის კართან წითური მოწაფე ჩალიჩობს — მხრებით ეძგერება ჩაკეტილ კარს და ვერაფერს აკლებს. შემდეგ გაგულისებული წიხლებს უშენს: — გააღეთ, კაცო არ გესმით? გააღეთ, რაა... — ზედ უმწეოთ მუშტებს უშენს. შემდეგ კარს შორდება და გამოქანებული თავით ეხლება: — ვაი, დედა.

ვაჟა შეშფოთებული მივარდება, ყურადღებით უთვალიერებს ბავშვს თავს, შუბლს, სახეს: — იტკინე რამე?

— თავი დამანებეთ...

— დაწყნარდი ედიშერ, რა მოგივიდა.

— მტკივა, მე.

— თავს რომ ახლიდი აბა რა გეგონა. ასე ადრე რატომ მოხვედი?

— მამამ მომიყვანა ადრე, სახლში წყალი ჩამოგვივიდა. ჩემი სახელი საიდან იცით?

— შენი სახელი სკოლაში ვინ არ იცის. — თავზე მოეფერა ვაჟა.

— რიჟა რომ ვარ, იმიტომ?

— რიჟა კი არა, წითური. თან რა არის იმაში ცუდი, სხვებს თუ არ გავხარ.

ბიჭი უნდობლად უყურებს, ვაჟა მხარზე ხელს ხვევს და ეზოში შეყავს. იხრება, გუნდას აკეთებს და ფანჯარას ესვრის. ბიჭი გაოცებული შეცქერის, მიწაზე მოხვედრისას ცოცხლდება და თავადაც გუნდას აკოწიწებს. დგანან და ესვრიან გუნდებს სკოლას. ბოლოს სარკმელი იღება და დარაჯის გაბურძგული, უკმაყოფილო სახე ჩნდება: — რა იყო, წარღვნაა?

— დილა მოგეცეს მშვიდობისა, ნასყიდა ძია. კარი აღარ უნდა გაგვიღო?

— რა უსახლკაროებივით ირჯებით, თქვე კაი დედმამიშვილნო, დაგეძინათ კიდევა შინა, — ბურდღუნებს ბერიკაცი, ედიშერის შემხედვარე: — დილაადრიანად დამთარსა, ამ ეშმაკისამ...

ედიშერი და ვაჟა მხიარულად იცინიან.

სკოლის დერეფანში ვაჟას მანდილოსანი ესაუბრება: — ვერ ვთოკავ, მიჭირს, თქვენი თაობა სხვა იყო, წყნარი.

— წყნარი?

— ნუუ... რაღაცნაირი, ახლა კი ჩემთვის უკვე ძნელია, თაობის მიყოლა, ვაჟა.

— ცდებით, ქალბატონო ელენე.

— ვცდები. თქვენ პოულობთ მათთან საერთო ენას. მე კი ვეკითხები, დამისახელეთ ფრანგი რომანტიკოსები მეთქი და პლატონი, ჟირესი, ტიგანაო, მპასუხობენ. მაშაყირებენ.

— არა, ცდებით. უბრალოდ დრომ შეცვალა გრძნობის გამომხატველი ფორმები, თქვენ მათ უყვარხართ. — ვაჟა ხელზე კოცნის და სამასწავლებლოში შედის. იქ ფიზიკის უამრავი მოწყობილობით აჩონჩხილი სნიერი კაცი ხვდება: — არ უნდათ ბიძია სწავლა და რა ვქნა მეე... ნიკაპით უთითებს ხელსაწყოებზე: — ავი თქვენთვის მინდა თვარა, მე კი მიზის ფიზიკა ოცდაათი წელი, აქ. — ნიკაპს კისერზე ვაისვ-ვამოისვამს: — ფორმულა არ იციან ბიძია ხეირიანად, ფორმულა... — ვაჟას ბრაზიანად ათვალიერებს: — შენც კარგი დაყირავებული იყავი, ბიძია, პიზას კოშკივით. დაფაზე კვერცხი რომ წაუსვა, ვინ იყო, ნეტავი?

— მე ვიყავი, ალბათ. — ეღიმება ვაჟას.

— ალბათობის თეორია არ მისწავლებია, მე თქვენთვის. ის წაღმაუკუღმართი ბურძენიძე იყო, ხათუნა. გოგო და ეგეთი, არ მინახავს, მე. შეყვარებული იყავი ბიძია უგონოთ და აიღე, შენ თავზე.

— არ იყო დიმიტრი მასწ. ეგრე, საქმე... — იშმუშნება ვაჟა.

— ტუტ! მე მასწავლე ახლა, როგორ იყო, მედალი დაგაკარგვინა კინაღამ, მაგ გმირობამ. — დიმიტრის თანდათან სახე ეხსნება... შუბლი უნათდება ვაჟასაც, მოგონებებმა ჩაითრია ორივე, ყოფილი მოსწავლე-მასწავლებელი.

— სად არის ახლა, ის გოგო?

— პარიზში. მოსკოველი დიპლომატის შვილს გაყვა ცოლად. იუნესკოში მუშაობს მისი ქმარი. სამი გოგო ჰყავთ.

— მაგი არაა კარგი საქმე.

— რა? დიმიტრი ძია...

დიმიტრი გონს ეგება: — გოგოები მარტო. ბიჭიც უნდა გაეჩინა. კაცები გვჭირდება ჩვენ. მაგნაირი ლამაზი გოგო არ გვყავდა, სკოლაში. კინოდანაც აკითხავდნენ, მაგრამ მამა ჰყავდა მკაცრი. ნეტა თუ ცოცხალია?

ვაჟა თავს უქნევს.

— მდაა. კინოში არ ატანდა და სად გაატანა ქალიშვილი. ვერ გაიგებ ბიძია... არ უნდათ ეს ფიზიკა და რა უნდა იღონო კაცმა... — ვაჟას შემხედვარე: — შენი ელისო რომ ათი თავით სჯობს ყველას, თუ იცი ეს შენ?..

— ვიცი, დიმიტრი ძია.

7

ელისო სახლში სარეცხს აუთოებს. კედლის იქიდან ლოლიტას ხმა ისმის: — „ელისოო!" ელისო ყურებს არ უჯერებს, მაგრამ ძახილი განმეორდება: „ელისოო!" ესმის. ელისო უთოს შემოდებს, კედელთან მივა, ხელს მოუთათუნებს, ცოტა ჭოჭმანის შემდეგ დასძლევს ქალური ცნობისმოყვარეობა და ყურს მიადებს. ასეთ პოზაში ლოლიტა ადგება თავზე, დინჯით: — აგრეც ვიცოდი!

ელისო შეშინებული, მართლაც წასწრებულივით იბნევა: — მომეჩვენა რომ მეძახდნენ... დედა, რა ვუყო... — ლოგინზე ჯდება უხერხულად.

ლოლიტა ნასიამოვნები მიდი-მოდის ოთახში: — მაგარი ხარ, ხვთის ანაბარა... ძაან კი შეგაშინე. ხმა გამოდის არა, ჩემგან?

გაფითრებული ელისო სასწრაფოდ თავს უქნევს: — კი, კი.

— ზნაჩიტ ჩემი და შავლეგის პირადი ცხოვრებაც ისმის, არა?

ელისო კიდევ უფრო იბნევა. თუმცა ახერხებს უარის ნიშნად თავი გადააქნიოს.

ლოლიტა მხიარულდება უფრო: — ნუ გეშინია, მეც მესმის ხოლმე.

— რა?

— სულ ის რომ გელაპარაკება და შენ კი ერთი-ორჯერ თუ ამოიღებ ხმასა. ნეტავი რასა ბჭობთ, შუაღამობით.

ელისო სიგარეტს ეძებს, უკიდებს: — ვაჟა ხანდახან ხმამაღლა მიკითხავს.

— რას? — აწყვეტინებს ლოლიტა, სიგარეტსა და ცეცხლზე დაზიარებული.

ელისო თანდათან წყნარდება, ხალიჩას ეყუდება ზურგით: — სხვადასხვას... მოწაფეების ოხზულებებს, თავისას, ადგილებს გოგის რომანიდან, კლასიკოსების გამონათქვამებს...

ლოლიტა, რომელიც გადასახარხარებლად იყო მზად, უცბად სერიოზულდება, ელისოსთან მოდის, გზაში სკამს ითრევს და წინ უჯდება: — ელისო, რამდენი წლისა ხარ?

ელისო წამით თვალებში შეაჩერდება და ისევ სიგარეტითაა გატაცებული.

— შენ და მე ჰა და ჰა, ტოლები ვიყვნეთ. ორთავე ახალგაზრდები ვართ. ოერე გარბის დრო... შე კაი ქალო, თუ მწერალი იყო, აქამდის სად იყო? რატომ გაზეთებში წერენ, სიტყვით გამოვიდა ესა და ეს მწერალიო და არ წერენ, სიტყვით გამოვიდა მწერალი ვაჟა ვაჩნაძეო? ტელევიზორში რატომ არ აჩვენებენ. კრებებზე რატომ არ გამოჰყავთ და არ ირჩევენ დელეგატებად... ბინას რატომ არ გაძლევენ, ეგ მაინც გამაგებინე!

— კავშირში გვპირდებიან...

— თქვენ ცეკავშირში ბინას რად მოგცემენ? — ხელს აუქნევს ლოლიტა: — მე კარგი, სახლი არ მქონდა და ეს გომური მოვახლაფორთე, ჯერა. ისა კარგი, წეროს, თუ ძაან უწევს გული, კაცია მაინც. შენა? შენ რაღას იცვითები აქა, რატომ ქვეყანას არ შეძრავ?

ელისო თავჩაღუნული უსმენს: — ვმუშაობ, მეტი რა ვქნა...

— მუშაობ და ისა კიდევ... თქვენც ოქროს ეზიდებით ზოდებითა. ამბობ მწერალიაო, გაუშვი საბავშვო, მასწავლებელი თან, უნივერსიტეტდამთავრებული. შენ რაღა დაამთავრე?

— უცხო ენები.

— ინსტიტუტი არა? აბა უყურე, მაგდენი გისწავლიათ, გიჯანირიათ, მწერლები სახლში დაგიდით და ვითომც არაფერი, გძინავთ. მე თქვენ ადგილზე, ქვეყანას გადავაბრუნებდი.

— როგორ?

— საქმის კეთებას მარიფათი უნდა, ზიზია ტანსაცმელი უნდა, ფრანგული დუნები, ტრიკოტაჟი რამე, ეს — ხელს აჭიმულ ძუძუებზე იდებს: — წინ უნდა გასწიო და მიდიი... ჩემო იაპონური ბაშმაკები: ტაატი-ტა�ა-ია, ტაატი-ტا

-ია... ვნახოთ, რომელი კაბინეტის გაჯგიმული პატრონი დამიდგება წინა!

ამას ისეთი აზარტითა და ეშხით სჩადის, რომ ელისო გატაცებული იღიმება.

ლოლიტა არ ცხრება: — საქმესაც წინ წაწევდი და ქმარსაც გაიყოლებდი... თუ არა და იჯდეს აქა. თაფლი იყოს და დათვი მაიძებნება. — ელისოს შემხედვარე მიხვდება, რომ ისევ რაღაცა ვერ მოზომა: — კარგი, პო, ვიცი; მაგის შემძლე შენ არა ხარ. რა ხალხი ხართ! მაინც ვფიქრობ, ამ ჩემ გაჭირვებულ მეზობლებს როგორ გამოვადგე მეთქი... ჩაიწიე. — სკამიდან წამომდგარი, ელისოს გვერდით უჯდება: — კარგი ნაქსოვია, ნეტა რომ ამდენი დრო გაქვს სახლში. ჯემპრე იქით იყოს და შენი და ჩემი ბინა ხომ, ადრე ერთი იყო?

— მგონი კი.

— მგონია და ისა კიდევ! ერთი იყო. შემოერთებაც იმიტომ გინდოდათ. — სხარტად გადმოხტება ლოგინიდან და გაუქმებულ კართან მისული, მუშტს მიარტყამს: — ჰოდა ისევლე გავაერთიანოდ, გამოვხსნათ ეს კარი და მივყიდოთ იმ კაცს.

კარგს იძლევა, ჩხუბი არ მოგვივა. გავიყოფთ — ტაშია, ჭირი იქა ლხინი აქა.

— მერე და ეგ შეიძლება? რა გამოვა, ან როგორ...

— შეძლებით ყველაფერი შეიძლება, ამ ცხოვრებაში. ღლაპით ხელზე დავდიოდი კარიდან-კარზე, ნახლებნიკად, ეხლა მიყურე, თბილისელი ვარ, ცენტრში ვცხოვრობ და ცენტრში ვმუშაობ, მტრების თვალდასათხრელად.

— სოფელში სახლი? არ გქონდა... თუ — წუხდება ელისო.

— სახლიცა მაქვს, კარიც, და კაი ეზო-ბაღიც დამრჩა, ბარნაბას მერე.

— მართლა?

— დაიწვას სოფლის მამგონი. იქ რა ხეირი უნდა ნახო, კაცმა. — ისევ წინ, სკამზე უჯდება: — მაგრამ როგორ გამოვა ეგ საქმე... მაგას ფული უნდა. რა გამოვაო კიდევ, რომ მეკითხები, რა გამოვა და მუშტრისაგან აღებულ ფულს კიდევ რაღაცას წავამატებთ და კოოპერატივში შევიტანთ, ახალ ბინაზე. მაშ.

— ერთად?...

— რათა ერთად. — უცბად მიხვდება, რომ ელისო დაბნეულია: — გინდაც ერთად. შენ შვილი გაკლია და მე კიდევა ქმარი, ჰა! ვიცხოვროთ კოხტად! ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა... ჰა, ჰა, ჰა... — კარგა ხანს იცინის თვალებზე ცრემლმომდგარი.

8

ლისის ტბის მიდამოები. ვაჟა საბავიროდან გადმოსვლაში ეხმარება მოხუც ქალს, შემდეგ მიმოიხედავს, ბუნებაში თავისუფლად გაიზმორება და იქვე, ხმადაბლა მოსაუბრე კაცების ჯგუფს მიუახლოვდება: — გამარჯობათ!

ისინი კანტი-კუნტად ესალმებიან და საუბარს წყვეტენ, თან უჩუმრად ათვალიერებენ. ვაჟა არ ეშვება: — ბოდიში, რობიზონა მინდოდა.

ერთი შავგვრემანი და ნერვიული სახის კაცი გამოერკვევა, ვაჟას მოუდგება გვერდით: — ოჰ, გამარჯობა! ხელმკლავით

გაჰყავს განზე: — როგორ გიკითხო? — და პასუხის დაუცდელად: — დახურდავება გინდა თუ გაერთიანება...

— მე შალვამ გამომგზავნა...

— აჰ, შალვამ. კი ბატონო, გაიკეთა კუჭის ოპერაცია?

— ??

— აჰ, მიყვდი. ინსპექტორი როა, მცხეთის ტრასაზე?

— არა, ფიზკულტურის...

— ეგრე გეთქვა, შენ გელაპარაკები... ბოქსიორი როა, რო იყო, ადრე, ხომ?

— კი. ფიზკულტურის მასწავლებელია, ჩვენთან, სკოლაში. — მოიწყინა ვაჟამ: — ოღონდ მოკრივე არ ყოფილა არასოდეს.

— მაგას აქვს ახლა რაიმე მნიშვნელი? შენ გელაპარაკები... რაო, რა მინდაო?

— მაგას კი არა, მე მინდა.

— შენ რაღა გინდა?

— შეერთება.

— რისა და რის. სადა და სად.

— ოთახნახევრიანი გლდანში და ოთახი შუშაბანდით, მოუწყობელი, გორკზე. წამით შეყოვნებული რობიზონი, მივარდება: — შენ პერანგში ხარ მითხარი, ხომ, დაბადებული? — ხელს მოსტაცებს: — შენ გელაპარაკები... ზუსტად შესაფერისი. ემსაათში ჩამიჯექი მანქანაში.

მოფარებულიდან ბათქა-ბუთქით, უკუსვლით გამოყავს შელახული, ფურგონიანი „ფიატი“ და ვაჟას კარს უღებს.

თავდალმართზე ეშვებიან თვლების ჭრიალით. მინის იქით რობიზონი ხელებით უმტკიცებს ვაჟას, საჭე გაურბის და ძლივს იმორჩილებს.

ქალაქის ცენტრში, ძველი სახლის სადარბაზოში, რობიზონი გასაღებით აღებს კარს და ვაჟას მსუბუქად უბიძგებს ხელს: — სამი ოჯახია, კი. ერთმანეთის ჯინაზე კარს არ აღებენ და გამოვართვი გასაღები, აბა, რა მექნა.

ვიწრო დერეფანში, დაუკაკუნებლად აღებს ერთი ოთახის კარს და ვაჟას ეპატიჟება. ის დაბნეული ჩერდება ზღურბლზე...

ოთახი ძველებური, იაფფასიანი ავეჯითა და ნივთებითაა გამოტენილი. უამრავი ლეიბებით ახოხოლავებულ ლოგინზე, თითქმის ჭერში, მოხუცი ქალი წევს, კვნესის. მეორე ისეთივე მოხუცი, მაგიდასთან მიმჯდარი, ქსოვს. რობიზონი შუა ოთახში ხელებს შლის: — ეს ყველაზე დიდი ოთახია. მაგრამ აქ დეიდა მაკა და ეკა ცხოვრობენ. ესენი არ ცვლიან. გამარჯობა, ძალუა! — მწოლიარე მოხუცი პასუხად ღრმად ამოიკვნესებს. რობიზონი მქსოველ მოხუცს ეხვევა: — როგორ არის, არ დგება?

ქალი პასუხად მხრებს იჩეჩავს თუ მის ხელს იშორებს, გაურკვეველია. რობიზონი ვაჟას უბრუნდება და ხელმკლავით დერეფანში გამოჰყავს: — ესენი შენი მეზობლები დარჩებიან, საზიაროდ გექნებათ ყველაფერი სათავსო. — ხმადაბლა: — ტყუპები არიან, ერთად დაიბადნენ და ერთად... ცას ვინ გამოკერებია– იტოგში, ეგ ოთახიც და მთელი ბინაც შენ დაგრჩება. აზრობ?

დერეფანში, მოპირდაპირე კარს აღებს და დაბნეულ ვაჟას ისევ შიგ ექაჩება. ოთახში ახალგაზრდა, გამხდარი კაცი ნადირობს ზანტად, ბუზების საკლავით:

— ვა ჩემი, რობიზონ?

— ხამსას სიცოცხლე, როგორ გიკითხოთ?

— ნიშტიაკ, რა. — ეაჟასკენ: — შემო რაღა, სიგარეტი გაქვს?

სამივენი დერეფანში გამოდიან. დაწინაურებული რობიზონი მესამე ოთახის კარს შეეღებს ვაჟას, არ შედიან. ოთახში, გაწყობილ სუფრასთან, ბელადის სურათის ქვეშ ორდენებიანი კაცი ზის. დაღებულ პირთან მიტანილი სირჩა ხელში შეაცივდა.

— გამარჯობა, ძია სერგო!

— გაგიმარჯოთ! — და არაყს პირში გადაუძახებს. ორდენს მიასუნებს.

სამზარეულოში გასულები ქალბატონს ესალმებიან:

— გამარჯობათ! ქ–ნო პელაგია.

— გაგიმარჯოს, თუ გინდა, — მოტრიალებული ქალი ვაჟას ათვალიერებს და სარეცხის მოსარევ ჯოხს უთითებს: — მასივში აქვს ამასაც?

რობიზონი გვერდში უდგება ვაჟას: — ოთახნახევრიანი, ჩეხური გელაპარაკები... გლდანი რაღა მასივია, მთელი ქალაქია იქ.

— მეც მანდა ვარ! — კმაყოფილი პელაგია სარეცხს უბრუნდება: — ეგ სხვა ქალაქია, რომელსაც ქვია გლდანი.

რობიზონი მოულოდნელად ფეთქდება: — ყვიბისში დაიბადე, ყვიბისში გაიზარდე, ყვიბისში გათხოვდი პირველად და გლდანს წუნობ?

ხამსას კუთხეში ჩაუმუხლია და საკუთარ, ცალ ქუსლზე ჩამომჯდარი, აბოლებს: — ჰა, დედი... მიდი, გავცვალოთ. იზოლირებული, რამე. აღარ მოგბეზრდა მაგ ჩემისებთან ჩხუბი? — და ვაჟას თვალს უკრავს.

სამზარეულოში ხველებითა და მეღლების ჟღარუნით სერგო შემოდის: — გენაცვალე რობიზონა, ყველა გადით, რა...

დერეფანში გამოსულებს კარი ზურგსუკან ეკეტებათ. მალე წყლის ჩამოშვების ჩხრიალი და სერგოს ძახილი ისმის: — შემოდით, ღიაა — აბაზანაში იბანს ხმაურით, ხელ-პირს.

ვაჟა დაბნეული მოატარებს თვალს ოთახში და ისევ კუთხეში ჩაკუზული უნიტაზისაკენ გაეპარება მზერა: — უკაცრავად... მე მაგვიანდება.

9

ქალთა კონსულტაციიდან ქუჩაში გამოსულ ელისოს ვაჟა ეგებება: — რაო?

ელისო წამოწითლებული ეჩურჩულება, ხელმკლავით მიჰყვება, დახრილი, თავს მხარზე ადებს წამით. ვაჟა ხელს გამოაცლის, კისერზე მოხვევს და თვალთან აკოცებს. მოსეირნობენ.

სიგარეტის კიოსკთან ჩამორჩენილი ვაჟა ჯიბეებში იქექება და ქაღალდს ამოაყოლებს: — დღეს სკოლაში მომიტანეს,

უწყებაა მილიციიდან... ხვალისათვის მიბარებენ. შენ ხომ არ იცი?

ელისოს დაბნეულობაზე ვაჟა ერკვევა: — ვიფიქრე ლოლიტას ხომ არ უპოვეს რაღაცეები... ან იქნებ იჩხუბეს მეთქი... რას ვადაეკიდნენ საწყალ ქალს, თავის უბედურება ჰყოფნის, აღარ უნდა შეეშვან? — იბნევა და სიგარეტს ვერ ხსნის.

— აბა, რა გითხრა. — ნაბიჯებს ანელებს ელისო, თითქოს ზომავს: — უკვე ორი მაღაზია გამოიცვალა... მერე სოლომონიც არაა მამა აბრამის ბატკანი. იმ დღეს ველოსიპედი მოუპარია. ლოლიტა გაგიჟებული შემოვარდა...

— ხომ არ უცემია?

— არა, ვერ გამიგე. იმ მოპარული ველოსიპედისტის შობელი მოსულა ლოლიტასთან. აპას რომ დაუნახია, დაბნეულა, ვერ მოუზომია და გაულანძღია ის ქალი. მთხოვა მიაკითხე, მილიციაში არ გვიჩივლოსო...

ვაჟა გაოცებული უყურებს ცოლს, ეუცხოვება ასეთი...

— მივედი, ვნახე ის ქალი. რა ვიცი, კულტურული ადამიანი აღმოჩნდა... მუსიკას ვასწავლიო, სკოლაში. მატყუარა არ ჩანდა და ისეთი სიტყვები მაკადრა თქვენმა მეზობელმაო, თმები ყალყზე დამიდგა.

— უსიამოვნო ამბავია, სხვის საქმეებში ჩარევა...

— ჰო, რა თქმა უნდა. მარტოხელა ქალი ყოფილა ისიც... ველოსიპედის წამოსაღებად მივაკითხე მხოლოდო, ჩემს კოკის ხშირად ჩაგრავენო... სუსტი ბიჭი ჰყავს, თეთრი, ამურსა ჰგავს, ქერა კულულებით, ისეთი ლამაზია... ჰოდა მივაკითხე და სულ ქუჩის ქალი მეძახაო.

ვაჟა მოულოდნელად ვადაიხარხარებს: — წარმომიდგენია ლოლიტა თავისი ტორსით, დოინჯშემორტყმული, ბოკვერის დასაცავად შემართული ძუ აფთარი. რა გასაკვირია, რომ ვერ მოზომავდა... მასში პრერიებისა და ველური ბუნების სული ბობოქრობს. ეგზოტიკაა!

— შენ გინდა თქვა, რომ მოგწონს ეგ სული?

— არა. მაგრამ ყველაფერი ბუნებრივი დამაჯერებელია და თავისებურად, მომხიბვლელიც.

— არ ვიცი, არა, შენ ამაში ბუნებრივ პეიზაჟებს ხედავ და მე კი, ჯუნგლების საშინელი სუნი უფრო მცემს... — ისევ ნაბიჯებს გაზომავს: — მაინც მეცოდება და რა ვქნა...

აღელვებულ ცოლს ვაჟა შეფარულად აკვირდება და თავისთვის ჩაილაპარაკებს — ხედავ, რაები ხდება...

10

ვაჟა შედის „მილიციის საყრდენი პუნქტი"-ს შენობაში. დერეფანში მომლოდინე ხალხს ეკითხება: — უკაცრავად, უბნის ინსპექტორი ჯაგარბეგი...

ოთახში ზის ახალგაზრდა, ბრგე ლეიტენანტი და წვერებიან მხატვარს ელაპარაკება. მხატვარი თავისი ავლადიდების — სამფეხის, პალიტრა-ფუნჯების, ტილოების გარემოცვაში ჭრაჭუნობს სკამზე.

— რა გნებავთ? აქ დაკითხვა მიმდინარეობს, გაბრძანდით! — კარში თავშემოყოფილ ვაჟას ეგებება ლეიტენენტი. დაბნეულ ვაჟას ხელში უწყება უფრიალებს: — გამარჯობათ... როგორა ხარ, ომარ?

— აი, ასე! — ხელებს შლის ომარი.

ლეიტენანტი აშკარად ინტერესდება მათი ნაცნობობით, ვაჟას ათვალიერებს: — თქვენ იცნობთ, ხომ, ერთმანეთს?

— რა თქმა უნდა. კლასელები ვართ, მეზობლებიც...

— მერედა შუაღამისას რომ არ ხატოს თქვენმა ამხანაგმა, თანაც ხან ხეზე და ხან სხვენზე ამძვრალმა! ეს ყველაფერი რომ აკრძალულია, არ უნდა შეაგნებინოთ ერთმანეთს?

— ომარი მხატვარია... —

— მხატვარი ვარ! — წამოხტა ომარი: — მხატვარი. ვხატავ! — თავის ავლადიდებაზე უთითებს: — აი ფუნჯები, აი ტილოები, სამფეხა, პალიტრა... აი მეც.

— დაბრძანდით, მოქალაქევ! ჯერ დაკითხვა არ დამთავრებულა. ამტკიცებთ მხატვარი ვარო, ეს მოქალაქეც

ვიდასტურებთ. დავუშვათ. კარგი. რატომ არ ხატავთ მაშინ ამას — და ხელს ვაჟასაკენ იშვერს: — ან აი... ამათ რატომ არ ხატავთ — ათითებს კედელზე ჩამოკიდებულ სამოქალაქო თავდაცვის პლაკატებზე, საიდანაც მკაცრი სახეების ადამიანები იყურებიან: — მაინდამაინც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში არღვევთ საზოგადოებრივ წესრიგს და ხატავ!

— მე ძირითადად პეიზაჟისტი ვარ. — დაღლილი და სკამზე ჩამოყუჩებული პასუხობს ომარი: — ძველი თბილისის ღამისეული კოლორიტი მაინტერესებს.

— ღამისეული! ღამით მოვიდა სიგნალი თქვენ ქმაკაცზე, ამირან შერვაშიძეზე, ისევ ეზოში მღერისო და კაცურად რომ დაველაპარაკე, ამოდენა ძია კიდევ გიტარით დადიხარ ქუჩაში თქო... იცით რა მითხრა? რა მიპასუხა? აბა ავტომატით ხომ არ ვივლიო. ღამისეული!

— დიახ, ღამისეული.

ლეიტენანტმა მობეზრებულმა, ფანჯარაში გაიხედა: — მე შეიძლება გოიმი ვარ, მაგრამ ღამით მძინავს, ამიტომ.

— მე კი მძინავს დღე! — ისევ წამოფეთქდა ომარი: — ღამე კი ვმუშაობ, ზეთში... ამიტომაც მძინავს დღე, რადგან ვხატავ ღამეს. გაიგეთ?

— თქვენ რაღა გნებავთ? — დაღლილი სახით მოუბრუნდა ვაჟას ლეიტენენტი.

ვაჟა უხერხულად უწვდის ქაღალდს. ომარი უხეშ, საღებავიან ხელებს ისრისავს, თითქოს საკუთარ თავს ართმევს ხელს: — მაშ იაპონიაში რაღა ქნან? იქ როცა დღეა, აქ ღამეა. ამერიკაში, რიო-დე-ჟანეიროში რა ეშველებათ, როცა იქ ზაფხულია, აქ თოვლი მოდის. კოპაკაბანაზე პალტოებით იარონ, რადგან ჩვენთან ცივა?

— სწორედ მაგაშია საქმე, რომ თავში ამერიკა გიტრიალებთ და აბნეული გაქვთ დღე და ღამე.

— დღე და ღამე კი არა, მე და ღამე. — ისევ სკამზე ჩამოესვენა ომარი.

ლეიტენანტი ომარს უწყებას უბრუნებს: — შებრძანდით გვერდით ოთახში.

ვაჟა თვალებით ეკითხება ომარს, უნდა დაეხმაროს და ის ხელს აუქნევს: — შენ რაღაზე გიბარებენ, შენ ხომ გძინავს, ღამე.

ამ ოთახს კიდევ ერთი კარი ჰქონია და ვაჟაც შედის. იქ უფრო ფართო ოთახია — კედელზე ვიმპელებით, პორტრეტებით, კუთხეში დროშითა და ბუსტით. უფროსის მაგიდას გაურკვეველი ასაკისა და ეროვნების ოფიცერი უზის. ვაჟას შემოსვლაზე იშმუშნება, წამით წყვეტს წერას და კალმისტრით სკამზე უთითებს. ვაჟაც უსიტყვოდ უწვდის ქაღალდს და სათათბირო მაგიდასთან ჯდება. კაპიტანი უწყებაზე რაღაცას გაწაფულად გაჩხაპნის და უჯრაში ინახავს: — მდაა. პასპორტი არის?

ვაჟა უწვდის: — ინებეთ.

ოფიცერი ართმევს და ფურცლავს: — ტაკ, ტააკ... ამა და ამა წელს, მცხ. ვაჰ! დაიბადეთ ჩვენ რაიონში?

— დიახ, აქვე დავამთავრე სკოლა, ოცდამესამე. მერე ჩვენი სახლი ნგრევაში მოხვდა...

— აჰა, — კაპიტანმა ჯაგარბეგმა პასპორტში რაღაც იპოვა: — აი, პრაპისკა. გლდანის მასივი, V მიკრორაიონი, V კორპუსი, ბინა 84. აქა თქვენ ცხოვრობთ? — თითს პასპორტში დებს.

— ამ ბინაში ვარ ჩაწერილი და ვცხოვრობ, რა თქმა უნდა. მე და დედამ მივიღეთ...

— როგორ? მამათქვენი და დედათქვენი ერთურთს გაყრილები არიან?

— არა, რატომ. — იშმუშნება ვაჟა: — მამა ადრე გარდაიცვალა, ახალ ბინამდე...

ჯაგარბეგი თავჩაღუნული, ქაღალდზე კალმით იფხოჭნება და გაუგებარია, ოქმს იწერს, უბრალოდ ჯღაბნის თუ ფიგურები გამოჰყავს: — გააგრძელეთ. გისმენთ, მე.

— რა გავაგრძელო?... სიმართლე გითხრათ, მიკვირს რატომ დაგჭირდით? ამ წუთას გაკვეთილი მიცდება.

— დაწყნარდით, სპრავკას გამოგიწერთ, ნუ ღელავ.

— მე არ ვღელავ. უბრალოდ დრო იფლანგება.

— დრო ფული არ არის. — თავი ასწია ჯაგარბეგმა: — რატომ უნდა გაიფლანგოს? ცოლი სად ჩაწერილი გყავს?

— ჩემთან.

— სად თქვენთან. დედასთან თუ აქ?

— მე, ჩემი მეუღლე და დედაჩემი გლდანში, ოთახსახევრიანში ვართ ჩაწერილი. აღრიცხვაზეც ვართ...

— თქვენ ცხოვრობთ ბებიის ბინაში, აქ, გორკის ქუჩაზე. — ფანჯარაში იყურება ჯაგარბეგი და ხელს იშვერს: — თქვენთან ერთად იმყოფება მაცხოვრებლად თქვენი მეუღლეც, აი! — ხელს საქაღალდეს ადებს და მაშინვე მოაშორებს.

— ახალი ამბავი, თუ ცოლ-ქმარი ერთად ვცხოვრობთ!

— ზემოთ თქვენ აჩვენეთ, — ოფიციალურდება კაპიტანი: — რომ ცხოვრობთ გლდანში, ეხლა აჩვენეთ, რომ ცხოვრობ გორკის ქუჩაზე... ესე არაფერი გამოგვივა.

— ბებიის ბინას გათბობა არა აქვს, — ვაჟა ცდილობს სიმშვიდე შეინარჩუნოს: — თანაც კეთილმოუწყობელია და უჭირს აქ, მოხუცს. ამიტომ ბებია გლდანში გადავიყვანეთ, დედაჩემის, — ჯაგარბეგის შემხედვარე: — ესე იგი, თავისი შვილის ზრუნვის ქვეშ. მე და ჩემი ცოლი კი აქეთ გადმოვედით, დროებით.

— დროებით და უკვე 7 თვეა ბინას იკავებთ, უკანონოთ.

— ბებიის ბინაში ცხოვრება რა უკანონობაა?

— ეგ თქვენ ასე ფიქრობს. — მაშინვე თმობს ჯაგარბეგი: — კარგი, მაშ. გაცვალეთ ბინები ოფიციალურად და იცხოვრეთ თქვენ აქ ოფიციალურად, ბებიაშენმა იქ, ოფიციალურად.

— როგორ? ეგ ხომ... სისულელეა. ჩვენც აღრიცხვას დავკარგავთ და... ფეხბურთი ხომ არ არის, მეორე ტაიმში კარი გავცვალოთ.

— მაშინ კარგია, ყველაფერი ქაღალდზე დაწეროთ. — კმაყოფილი ჯაგარბეგი უჯრაში მიძვრება და სუფთა ქაღალდს უდებს წინ. — თავიდან დამიწერეთ, რაც აქ აჩვენე, ჩვენთან.

ვაჟა ყოყმანობს, ინსპექტორი თავზე ადგება, კალამს აჩეჩებს ხელში და თითს ქაღალდზე ადებს: — აი აქ დაწერეთ, ჰა, მიდი!.. ახსნა–განმარტება.

ვაჟას უნებურად გამოჰყავს მითითებულ ადგილას: „ახსნა–განმარტება“.

11

შაბათი საღამო, ვაჟას და ელისოსთან სინათლე ანთია, მუსიკის ხმა ისმის. ეზოს შორეულ კუთხეში, მეორე სართულზე, სინათლე ინთება წამით, მაშინვე ქრება და ახლა შუშის იქიდან იკვეთება შეშფოთებული, თმაგაწეწილი ქალის სახე.

ოთახში, კედელთან მიმდგარ, სერვირებულ მაგიდასთან ელისო გოგის ესაუბრება — მართლა ასე მოგეწონათ?

— ყველას. პირველი პრემია უნდა მოგვეცა, მაგრამ მას არ იძლევიან. — ნამცხვარი გადმოიღო თეფშზე, სირჩაში კონიაკი დაისხა და ელისოს გაკვირვებულ მზერას უპასუხა: — პირველს იმიტომ არ იძლევიან, ჟიურის ავტორიტეტი რომ უფრო მაღალი დარჩეს, ვიდრე ავტორისა. გასაზრდელ ფართობს უტოვებენ მწერალს. თუმცა რას გაიგებ, თავის დროზეც „შვლის ნუკრის ნაამბობი“ უჯრაში ჰქონდა დამარხული რედაქტორს. აბა, მაშინაც...

— ისე გაგვეხარდა– აღგზნებულია ელისო: — ვაჟას პირველი სამწერლო წარმატებაა, ხომ...

უეცრად ბინაში გაისმის მძაფრი, რკინის კაკუნი კარზე.

— უკაცრავად. — ელისო შუშაბანდში გადის.

ცოტა ხნის შემდეგ ოთახში შემოდის ორი მილიციელი, უკან მოჰყვებათ გაოცებული სახით, ელისო, ორი სამოქალაქოდ გამოწყობილ კაცს შორის და მათ უკან კიდევ ორი მილიციელი. შემოდიან მკაცრი სახეებით, პროფესიონალური ცნობისმოყვარეობით ათვალიერებენ ოთახს, სტუმრებს. გამომძიებლები თითქმის იმავე ასაკისა არიან და ისე ჩაცმული, როგორც სტუმრები.

— დარჩით ადგილზე, სინათლე აანთეთ! — წინ წამოდგა მთავარი გამომძიებელი და ელისოც ინსტიქტურად ემორჩილება: — უკაცრავად, უკაცრავად... — ბუტბუტებს დაბნეული და ქმარს დამნაშავესავით უყურებს. ვაჟა გამოდის, გაკვირვებულია, მაგრამ წყნარი: — რაშია საქმე?

— ერთ-ერთი მილიციელი სინათლეს ანთებს. უფროსი გამომძიებელი ვაჟას უბრუნდება: — თქვენი გვარი?

— ვაჩნაძე. რაშია საქმე?

— ბინა თქვენია?

— დიახ, რა გნებავთ?

— მოდი, კითხვებს მე დავსვამ. ესენი ვინ არიან?

— ჩვენა ვართ. — სიღრმიდან გამოდის გოგი.

— ჩემი მეგობრები, იქნებ ამიხსნათ ბოლოს და ბოლოს, რა ხდება, რა გნებავთ?

— გთხოვთ ყველას, წარმოადგინოთ საბუთები, — ისევ ვაჟას უბრუნდება:

— ვისია ეს ბინა მიპასუხეთ!

— ხომ გითხარით, ჩემი. აი ჩემი მეუღლეც.

გაწვდილ ხელში ქაღალდს უდებს მილიციელი, უფროსი კითხულობს: — ეს ბინა ეკუთვნის ანა ალექსანდრეს-ასულ გავაშელს, 1905 წელს დაბადებულს, პარტიის ვეტერანს, პერსონალურ პენსიონერს.

— ჩემ ბებიას. — იმშუშნება ვაჟა.

უფროსი წამით შეცბუნდა, კოლეგას გადახედა. მილიციელები არავითარ დაინტერესებას არ ავლენენ, დგანან, ფეხიდან ფეხზე მონაცვლეობენ. სტუმრებს თამაზ მამალაძე ეყოფათ, უფროსთან მიდის, უბიდან ამოღებულ წიგნაკს უჩვენებს, მაგრამ არ აძლევს:

— გთხოვთ ზუსტად დაიცვათ კანონი, ყოველივე კანონსაწინააღმდეგო ქმედება ჩემს მიერ დაფიქსირდება. აუხსენი, ვაჟა!

— ეს ბებიას ბინაა. ავად არის და ჩემთან, ესე-იგი დედაჩემთან, თავის ქალიშვილთან გადავიყვანეთ. მე და ჩემი ცოლი კი აქეთ გადმოვედით, დროებით.

— ესე იგი, ჩაუწერლად ცხოვრობთ აქ. — თამაზის მიუბრუნდა: — ნაწილობრივ სწორი აღმოჩნდა... მაინც რა ხალხია, გაგაგიჟებენ.

მეორე გამომძიებელი ომარს ამოიცნობს: — ოჰ, ომარ, გამარჯობა, — მიდის, ხელს ართმევს: — როგორა ხარ, გოქსში გაგიხსნეს გავიგე, პერსონალური გამოფენა.

— კი. გაგიმარჯოს, გამიხსნეს. — უხალისოდ იწევს სკამიდან ომარი და გაწვდილ ხელს ართმევს, ჯდება ისევ. გოგი უფროს გამომძიებელთან მიდის: — მე სიტყვით არ გამოვდივარ მაგრამ, ამიხსენით, მაინც...

თამაზი ზრდილობიანად კიდებს ხელს მკლავში და ხმადაბლა თხოვს: — თქვენი ჩარევა ნაღდად ზედმეტია, ბატონო გოგი, მე მენდეთ... — მიყავს ელისოსთან, ერთად ტოვებს მათ და ისევ უფროსს უბრუნდება: — რა მოხდა?

— სიგნალი მოვიდა ქალაქის მილიციაში, — ხმადაბლა პასუხობს ის: — ბინა უკანონოდ აქვთ დაკავებული და ახლაც საეჭვო ხალხი ჰყავთ, ნაქურდალს იყოფენო. ყოველდღეც გარყვნილებას ეწევიანო, მაინც რა ხალხია, გაგაგიჟებენ.

— დარეკეს თუ განცხადებაა?

— მაგას ვერ გეტყვით, ორივე.

— იქნებ ამიხსნათ, რას ნიშნავს ყველაფერი ეს, რაზე ჩურჩულებთ. ვინ ბრძანდებით? — მიუახლოვდათ ვაჟა.

— კახა ნინოშვილი, ქალაქის მილიციიდან. — ზრდილობიანად, ღიმილით ხელს უწვდის: — ამყვანი ჯგუფის უფროსი.

— რისი უფროსი? — ვაჟა გაოცებული ჩაცქერის თავისი და უფროსის ჩამორთმეულ მტევნებს.

— ვილაცას დაურეკია და შეუცდენია ეს ხალხი. — პასუხობს თამაზი.

— გიჩივიან, ჩაუწერლად ცხოვრობსო. უბნის ინსპექტორიც ადასტურებს. ახსნა-განმარტებაც ჩამოურთმევიათ თქვენთვის... თუ ასე გადაგეკიდნენ, მოეშვით, გაეცალეთ. ინტელიგენტის რა საქმეა ის...

— ვინ მიჩივის, საიდან... ვის უნდა გავეცალო, სად, რატომ... — იბნევა ვაჟა.

თამაზის და კახას მოწყენილად ეღიმებათ, ნინოშვილი კოლეგას უბრუნდება: — გაიყვანე ჯეშალ ბიჭები და მანქანაში დამელოდეთ!

გამომძიებელი ომარის ეშშვიდობება და მილიციელებთან ერთად გადის.

ნინოშვილი ისევ ვაჟას უბრუნდება: — მე ისეთი პროფესია მაქვს, ანგელოზმა რომ გარეწარს შემოჰკრას, ანგელოზი უნდა ავიყვანო. რეაგირებაა საჭირო, საჩივარზე...

— რატომ?

— მობრძანდით, დაგვეწვიეთ! — ეპატიჟება თამაზი, მაგრამ კახა უარობს: — გმადლობთ, ახლა ვერ დავლევ. — ხმადაბლა, თამაზს: — ცოტა ხნით უნდა გამომყვეს, ქაღალდები, ფორმალობა...

— მე გამოგყვები.

— არაფერი, ხუთი წუთით მჭირდება, ქაღალდები...

— არაფერი?

— აბსოლუტურად. სიტყვა.

— კარგით.

— თქვენი წამოსვლაა საჭირო, მხოლოდ რამოდენიმე წუთით მოგაცდენთ... ვაჟას უბრუნდება გამომძიებელი.

ვაჟა უსიტყვოდ მიდის პიჯაკის ასაღებად, იცვამს. ნინოშვილი ისევ თამაზის მიუბრუნდება, ხმადაბლა: — საკუთარი მანქანით წავიყვან. დავაწერინებ და წამში მობრუნდება.

— პასპორტი? — კითხულობს ვაჟა.

— აუცილებლად. — ნინოშვილი სტუმრებს უბრუნდება: — გულწრფელად უკაცრავად, რომ შეგაწუხეთ. — ომარის ლამაზ ნანას გაუღიმებს, ელისოს ხელს უწვდის, დაბნეული აძლევს ხელს ელისო, გამომძიებელი იხრება, ხელზე კოცნის: — ბოდიშით, მაპატიეთ.

— შენ იცი. — ადევნებს თამაზი გასულს. ცოტაზე აცილებს და ოთახში მობრუნებული კონიაკს ისხამს: — რა ქნან მაგათაც,

ვიღაც ინტრიგანი გადაკიდებიათ, ესენიც ოპერატიულად დაგვეცნენ. — ეცინება და სვამს.

— ინტრიგანი, ოპერატიულად... — იმეორებს ელისო.

— როგორ თუ რა ქნან, შემოვარდნენ — საბუთები! გავარდნენ, ქალს ქმარი წაუყვანეს! — ფეთქდება ნანა.

სუყველა ელისოს შეხედავს. ფხიზლდება, ერკვევა ელისო და ღიმილით პასუხობს: — ღმერთო ჩემო. ერთადერთი ქმარი... აუცილებლად გავყვები ციმბირში!

შვებით ხარხარებენ დიასახლისის ტაქტით მოხიბლული სტუმრები. მარტო გოგი რჩება მოღრუბლული და ისევ სირჩას ეტანება.

— რას ამართლებთ მაგათ, თუ ძმა ხარ! — ახლა ომარი ხტება ნანას გვერდიდან: — სანამ ერთადერთი, ალბათ უნიკალური ქალალდი არ ავიღე აღმასკომში, ყოველ ღამე მიჭერდნენ. ამკრიფავდნენ ჩემი ტილო-პალიტრა-სამფეხიანად და ჰაიდა, სამორიგეოში. იქ კიდევ — რას ხატავ, რატომ ხატავ, დღეა თუ ღამეა, ზოგიც ღადაობდა... რა დროს ხატვაა... რატომ არა ჰგავს და თუ ჰგავს, მაშ ქურდობის გეგმას ადგენ, ან დივერსიას... გააჩნია რა, იმ უბნის ზედამხედველი რა კაცი იყო, ან როგორ ხასიათზე იყო, ისეც ჩააპატაკებდა მორიგესთან. მერე გააჩნია მორიგე რა კაცი იყო, როგორ იშტაზე იყო, ან გამიშვებდა, ან მთელი ღამე ჭადრაკს მათამაშებდა თავისთან, ანდა... რა ვიცი, ერთმა დამამწყვდია კიდევაც, მთელი ღამე. სამაგიეროდ მეორემ თავისი მანქანით წამომიყვანა სახლში გამთენიას, ხაშზე გამოვლით. კარგით, რა...

ისევ იცინიან.

ელისო დაფიქრებული უახლოვდება თამაზის და ხმადაბლა ეკითხება: — დედას გაფიცებ, თამაზ, ხომ გამოუშვებენ?

— დაწყნარდი ელისო. — გაკვირვებული შეხედავს თამაზი: — დააწერინებენ ახსნა-განმარტებას და გამოუშვებენ, აბა რას იზამენ. — და ფარულად აკვირდება შეშფოთებულ სახეზე.

დილაა. გვიანი გაზაფხული. ჟინჟლავს. ელისო და ლოლიტა სახლში ზიან, საუბრობენ. ელისო ქსოვს. შუშაბანდში ჩაკუზული ვაჟა და სოლომონი ველოსიპედს უჩხიკინებენ.

— სარბოლო ველოსიპედია, დავწევ ახლა დასაჯდომს და შენი ზომა გახდება! — ქანჩით ხელში იჭინთება ვაჟა: — იქროლე მერე, რამდენიც გინდა.

— აი აქ დაჟანგულია! — პოულობს სოლომონი;

— არხეინად იყავი. ნავთით გავაცლი.

— ნასოსი აქვს?

— ნასოსი ქართულად ტუმბოა და ეგეც კი აქვს. ისე, მეც ხომ მათხოვებ ხოლმე, შიგადაშიგ?

— შენი ნაჩუქარია და... — მორცხვად იღიმება ბიჭი: — თუმცა რაღად გინდა, თუ დაადაბლევი, ველარ დაეტევი მაინც.

ოთახში ლოლიტა შეწუხებული ელაპარაკება ელისოს:

— მერე ამდენჯერ რომ მოგადგნენ სულ სხვადასხვა ხალხი მილიციიდან, ველარა ჰკითხავ, ვინ გაგზავნით — თქო, ვინ ოხერიაო?

— არ ამბობენ არაფრით. — ჩხირებს ათამაშებს ელისო:

— სიცოცხლე მაქვს გამწარებული. საკმარისია სტუმარი მოგვივიდეს და მილიცია გვადგება მაშინვე, პასპორტები წარმოადგინეთ! ვინ სართ, წამობრძანდით სამორიგეოში! სიგნალია მოსული, დაწერეთ ახსნა-განმარტება... გავგიჟდები მალე.

— მაგათ ვაჩვენებდი სეირსა! — მაჯებზე ძაფს იხვევს ლოლიტა: — თერთმეტამდე მტოვებენ ოხრები... ეგ დაწყევლილი გასტრონომი რომ არა... — ვაჟას გამოსძახებს:

— არაფრით გეუბნებიან იმ დამრეკის გვარსა, თუ შენ არ მიაჯინდი?

— ხომ გითხარი, არ შეიძლებაო და არც განცხადების ჩვენება და არც გვარის გამომჟღავნება არ მოხერხდა. — ვაჟას ნაცვლად პასუხობს ელისო.

ვაჟა დერეფანში ველოსიპედს ახტუნავებს, წამომდგარი.

— მაგრე იციან. დამბეზღებელსა და მამაძაღლს ხელი უნდა დააფარონ. — ლოლიტა ელისოს მიუახლოვდება ყურთან:
— მარუაშვილის ქვრივის საქმეა ესა. მა-რა! ქალი არ ვიყო, თუ არ გაგიგო. მაგის ხელია!

ელისო ქსოვას შეწყვიტავს და ერთ ადგილს მიაშტერდება.

* * *

ვაჟა ცარიელ ბოთლებს აბარებს სარდაფში. უბნელი კაცები ლუდის ბოთლებს იპირქვავებენ პირზე, სიგარეტს აბოლებენ, კამათობენ...

ვაჟა ხურდას ითვლის, შლიაპიანი კაცი გამოეყოფა კომპანიას, უახლოვდება: — ბატონ ვაჟას, სალამი!

— ოოო, ადიკჯან, გამარჯობა!...

— მიირთვი ლუდი! — ბოთლს სთავაზობს ადიკა.

— ახლავე! — ვაჟა ადიკას მკლავში ხელს ჰკიდებს და კიბეებზე აჰყავს სარდაფიდან.

სანაპიროზე, ღია სალუდეში, ჩამოსაყუდებლებს უდგანან ვაჟა და ადიკა. მაგიდაზე ხინკალს ასდის ოხშივარი. გარშემო შემოწყობილია კათხები. გვერდით მუნჯები ყაყანებენ ხელებით. ვაჟა ლავაშში ახვევს ქაბაბს: — მიირთვი, ადიკჯან.

—ეგ რაები ხდება ვაჟაჯან ჩვენს ეზოში? — დაგემოვნებით წრუპავს ლუდს ადიკა.

— არაფერი, ისე. — უხალისოდ პასუხობს ვაჟა.

— ვა, რაღა არაფერი, მილიციას გაყენებენ, უპრაგონოდ...

ვაჟა აწეულ ტოლჩიდან მტკვარს გაჰყურებს, ჩამოწევს, მოსვამს.

— ძალიან ფინთი ეზო გახდა, აი. მამაჩემი ფოკუსნიკი კაცი იყო...

— ვიცი.

— ჰო, გენაცვალე. ეგ და სტარში კიო ჰა და ჰა! ერთად დაიწყეს. ეზოს ნახევარი ბინები ჩვენი იყო, დანარჩენი კნიაზს ეჭირა, ანდრონიკოვს. პაპაჩემს, კირაკოზას უყიდნია ის ნახევარი,

კნიაზისაგან. მერე გასაბჭოება რამე, ის კნიაზი ფაფუ და პაპაჩემთან ერთად ჩვენ მიგვწი-მოგვწიეს, ხალხი შემოასახლეს, რა. თანდათან მთავრობამ ახალი ბინები დაურიგა იმათ და ეს ჭრელი ხალხი კი მერე მოვიდნენ, ბოხჩებით. მარტო ბებიაშენია ძველი, მასივები არ უყვარს, გიორგევნას. ძალიან კლიაოზნი ხალსია, ვერ გაიგებ, რა ნაცია, აცვიათ და ხან კი თითქმის არ აცვიათ, ეზოში, კრანთან. სულ ჩხუბობენ და ჩემი ქალიც აიყოლეს... ვაჰ, გაუმარჯოს! — მოსულ უბნელებს ეგებება ადიკა. ვაჟა დროს იხელთებს, ფულს იხდის და კომპანიას ემშვიდობება:

— კარგად, ნახვამდის.

ადიკა მსაჯივითაა გარშემორტყმული უბნელებით, ხელს უწევს: — კარგი კაცი ხარ, ვაჟაჯან, ეზო ფინთი გაქვს...

* * *

ვაჟა სანაპიროზე მოსეირნობს, ისევ წამოეინჟლავს და საყელოს იწევს. მოპირდაპირე მხრიდან კაცი უახლოვდება, ბუკლეს შემოხეულ კოსტუმში, თავზე ბუკლეს ქუდითა და ჯიბეებში ხელებით. ფართო ნაბიჯებით მოარღვევს წვიმას, ვაჟა მის დანახვაზე ტუჩებით წარმოთქვამს: — ვაიაკოვსკი?

ვაიაკოვსკი ვაჟას წინ ჩერდება, უკან იწევს, იხრება, გადახოტრილი თავიდან ქუდს იშვლიპავს, იმართება და წინ გაწვდილი ქუდიანი ხელით ყვირის:

— სველ ყავარზე სიარული არის ჩემი ცხოვრება,
მოლოდინი მხიარული — ფეხი როდის მოსყლდება.
წამომიღებს თავდაყირა მუნჯი ბედის ტრიალი,
მიწაც შვილივით ჩამიკრავს — გეყოფა, ხეტიალი!

ქუდს კმაყოფილი, საქმემორჩენილი კაცის სიდინჯით იხურავს, კეპს ისწორებს და გაქვავებულ ვაჟას გულგრილად ჩაუვლის. ვაჟა შემოტრიალებული უყურებს. სანაპიროზე ორი, ქოლგის ქვეშ შებუზული გოგონა აჩერებს ტაქსს, ვაიაკოვსკი მათ წინ

იმუსლებს: — ტანო–ტატანო, თვალ–წამტანო, ფერად მარებო, ზიმფო მკლავებო, მომკლავებო, ვერ საკარებო...

დამფრთხალი ქალიშვილების თავზე ქოლგა ქანაობს, შემდეგ წყნარდებიან, ვაჟას შემხედვარენი და გასწორებული ქოლგა ახლა ხომალდივით მიირწევა წვიმაში... მოკისკისე გოგონებით.

ჩაჩოქილი ვაიაკოვსკის და ვაჟას თვალები აცილებენ მათ და შემდეგ, ერთმანეთს შეხვდებიან. სევდიანი, ღრმა გამოხედვა აქვს გიჟს, უცებ მზერა მტკვრის მოაჯირისაკენ გაექცევა, ისევ ვაჟას უბრუნდება, ისევ მტკვრისაკენ, ელვისებურად წამომხტარი: — ეჰჰეეე! მირბის მოაჯირთან და: — ჰეეე! — თავზე ევლება...

ვაჟა თავქუდმოგლეჯილი მიექანება მოაჯირთან, რეტდასხმული იყურება წყალში...

ვაიაკოვსკი კატერების გასაჩერებელ ბაქანზე დამხტარა — ეტყობა წინასწარ გაზომა ყველაფერი. ჩაკუზული, დაცინვით ამოხედავს მოაჯირიდან თავგადმოყუდებულ ვაჟას: — ბაბიროსა მომაწევინე!

ვაჟას ისეთი სახე აქვს, თითქოს უკვე კარგა ხანია არ ესმის, რა ხდება მის გარშემო.

13

ღამეა. ეზოში ხმაური ისმის, განათებულ ოთახში ერთმანეთს ჩაჭიდებული ლოლიტა და შავლეგი იბრძვიან. მაგიდა ტრიალდება, ჭურჭელი იმსხვრევა. სოლომონი დედას ეშველება — შავლეგს სკამს უბრაგუნებს ფეხებში. გაოფორებული ლოლიტა კაცივით იბრძვის, მუშტებს უქნევს მოწინააღმდეგეს და ერთ–ორსაც ახვედრებს ცხვირ–პირში. შავ სახეზე წითლად წამოწინწკლული სისხლი ცხვირიდან, შავლეგს გონებას ურევს და შეტევაზე გადაჰყავს. ლოლიტა ხვდება განსაცდელს და ეზოში გამოვარდნილი ყვირის: — მიშველეთ! მიშველეთ, ხალხო! თქვენი დედა!.. მიშველეთ!

შორეულ კუთხეში, მეორე სართულზე, სინათლე ინთება წამით, მაშინვე ქრება და ახლა შუშის იქიდან იკვეთება შეშფოთებული, თმაგაწეწილი ქალის სახე.

პატარა, უწესრიგო სამზარეულოში, იატაკზე დაფენილ ლეიბზე — კოსტუმით, ჰალსტუხით, თავქვეშ შლიაპით, ხვრინვით პირდაღებულს, ძინავს ადიკას, მეუღლისაგან დასჯილსა და მთვრალს.

— მიშველეთ! — ონკანთან იჭაჭება ლოლიტა, შემოხვეული შავლეგი პირზე ხელს აფარებს და სახლში ეწევა. ფეხზე სოლომონი ჰყავს დაჭიდებული. შავლეგი ფეხს თერმომეტრივით იქნევს და მომწყდარი ბიჭი თავით კარს ეჯახება: — თავი, თავი შენი... — და ისევ ფეხზე ეტკიცება. ლოლიტა ცდილობს მუშტი სახეში მოახვედროს, თან აფარებულ თითებს შორის ახერხებს წივილს: — მიშველეთ! ბავშვი მამიკლა! კაცები ამოწყდით ეზოში? მიშველეთ თქვენი... მილიციაა!

კარიდან გამოდის ნაძძინარევი, აჩაჩული ვაჟა.

— მიშველე, ვაჟა!

— არ მომეკარო, მოგკლავ! — ვაჟას უყვირის შავლეგი და ლოლიტას თმებით მიათრევს სახლისაკენ, თან ბიჭს იცილებს ფეხიდან. ვაჟა მაჯაში ავლებს ხელს და ლოლიტას თმებს ათავისუფლებს, დედა-შვილი სახლში შერბიან და იკეტებიან.

— შენ ვინა გდიხარ... — სახეში მუშტს უქნევს შავლეგი.

ვაჟა გაწაფულად იცილებს და თავად ურტყამს ყბაში. ტრიალდება, შეხედავს ლოლიტას ჩაკეტილ, სასწრაფოდ ჩაბნელებულ ბინას და თავის კარს აღებს. იქ ელისო ხვდება, თმაგაწეწილი: — რა ამბავია? ვაჟა...

— შედი ახლავე სახლში!

ელისო დამორჩილებული მიდის, ვაჟა მიჰყვება...

— აჰა, მიიღე! — კარში მობრუნებული ვაჟა თვალს ატანს გაქცეულ შავლეგს, ისტიქტურად გამოიხურავს და კვალში მიჰყვება... წელზე ხელს ისვამს, ეზოდან ქუჩაში, სინათლეზე გამოსული ხელისგულს ითვალიერებს...

— ომარ, ომარ!

მოპირდაპირე, ჩაბნელებული ფანჯარა იღება და ომარის სახე ჩნდება, გარშემორტყმული თმით: — რომელი ხარ?

— ჩამოდი, ჩამოდი! — ახველებს ვაჟა. იქვე ჯდება, კიბეზე.

ომარი წამით იყინება, შემდეგ ცოცხლდება, შავ, პრიალა ფანჯრებს ხურავს და წამში ჩამორბის: — რა მოხდა?

— ფული გაქვს?

— ცოტა.

— მგონი დამჭრეს. მანქანა გააჩერე, სავადმყოფოში წამიყვანე.

— შენა? — ომარი ადგილზე ქანაობს, შემდეგ უცბად ერკვევა და წელს უთვალიერებს, ხელს ადებს, თითებს უთათუნებს, სახეზე აკვირდება: — მე მგონი გადარჩი, ისეთი ადგილია... მეც სახლში დაგხვდი. ნუ გეშინია!

14

ელისო პლეხანოვის ქუჩაზე მიდის, ხელში ჩანთით და მეორეში ყვავილებით. მიხაილოვის საავადმყოფოში შესული, ჩაუვლის ზაფხულის მზეზე გამოფენილ ავადმყოფებს და შემშვებს ეჩურჩულება.

პალატაში სამხრეულებზე ხალათმოგდებული, სკამზე ჩამომჯდარი გამომძიებელი ვაჟას ესაუბრება: — ვინ იყვნენ და რამდენი, არ იცით? — მუხლებზე გადაშლილ საქაღალდეში იყურება.

ვაჟას მისვენებული თავი ბალიშისაგან თმებით გამოიყოფა და ცოტა თვალებით: — რამდენჯერ შეიძლება! მოგახსენეთ, ჩემი ბრალი იყო. მივდიოდი ნასვამი, შუაღამით მეტრო „დიდუბესთან“. ბიჭები იდგნენ, სიგარეტი მთხოვეს, მომეჩვენა თავხედურად... ატყდა ჩხუბი და... მათი სახეები არ მახსოვს. ბნელოდა. რა მომიტანე ელისო?

ელისოს ღიმილმა წამით შეაკრთო გამომძიებელი: — გამარჯობათ, ქალბატონო, თუ არ გამიბრაზდებით... ჯერ არ დაგვიმთავრებია.

ელისო დერეფანში გამოდის, სხვა ავადმყოფებს უერთდება — მალულად რომ ათვალიერებენ. ესალმება, ზოგიც.

— ეგ ჩემი რაიონია. — საქაღალდეში იჩხრიკება გამომძიებელი: — გაუხსნელ საქმედ მაწერია, შენი ჩვენება. თუმცა... ძაან გინდა და დამალე. ბატონი ბრძანდები, ასე თუ გირჩევნია, დამალე. ისე, შენი მეზობლებიდან მოვიდა სიგნალი, იქ, ეზოში შეგმოხვევია რაღაც... ეგ არც ჩემი საქმეა და არც ჩემი რაიონი. მაგრამ მაგ ვითომ ღამის ხულიგნებსაც მოეშვი, თუ კაცი ხარ, ბატონი ბრძანდები. ყინ დაგიჯერებს.

— აბა სხვა... რა? თუ ეგრე იყო...

— დაწერე, იყოს კარგი, ჩემი რაიონი, სექტორი. „დიდუბის“ მეტროსთან რომ საპირფარეშოა, მთვრალი შეხვედი მაგარი, ბატონი ბრძანდები, პატარა საქმეზე... ვერ შეიკავე თავი, თუ ვერ მოზომე ერთი სიტყვით, ფეხი აგიცურდა და წაიქეცი. ხალხნი ვართ, იქ შვერილებია, რკინები, რამე... იმაზე გაიხიე ფერდი. ჭრილობა მაინც არაა ღრმა, დასმულია და არა დარტყმული, დანა.

ვაჟას გაყინული სახიდან მზერა ფანჯარაში გაექცა. ტუჩების გაუნძრევლად ამოიჩურჩულა: — რაღა ტუალეტში და სიბინძურეში უნდა მაკოტრიალო, შე კაი კაცო, ფანტაზია თუ არ გყოფნის, უფრო სუფთა ვერსიას მე მოვიგონებ.

— არ გინდათ დააჭერინოთ გარეწრები! — დგება: — და მერე კი ირტყამთ თავში ხელს. კარგად ბრძანდებოდეთ, გამოჯანმრთელდით, ჩემო ბატონო.

ელისო შემოსვლისთანავე ირება, კოცნის და ჩანთიდან სანოვაგეს, — ხილს და მაწვნის ქილებს უწყობს პატარა მაგიდაზე: — როგორა ხარ?

— დამაკმაყოფილებლად. — თავს ზემოთ, თაროზე აფათურებს ხელს ვაჟა: — ვერ გამოვედი ხუთოსანი. შრომისა და ცხოვრების წარჩინებული ვერ გავხდი!

ელისო თმებზე ეფერება და თაროდან ჩუმად სიგარეტს აცლის: — გოგიმ მოგიკითხა.

— იყო უკვე.

— მართლა?

— თუ გოგის, ბატონ სანდროს, ძია დიმიტრისა და მთელ სკოლას ვატარებდი ჩემს სანახავად, არ მეგონა.

— კარგი ვაჟა, გეყოფა. — ფორთოხალს უფცქვნის ელისო:

— ვაჟა!

— რა მოხდა.

— ლოლიტა არ მელაპარაკება.

— რაო?

— მეზობლებში იძახის, ფაქტიური ქმარი დამაკარგვინა. შავლეგი მაგათ გულისათვის პაბეგშიაო. სოლომონიც საავადმყოფოში უწევს.

— რა სჭირს?

— არ ვიცი.

— შენ მართალი ხარ. ჯუნგლებში ალბათ საშინელი სიმყრალეა.

15

ვაჟა სახლში წიგნს კითხულობს, ფანჯარაზე აკაკუნებენ, ვაჟა ხველებით გადის დერეფანში კარის გასაღებად. ოთახში ჯაგარბეგთან ერთად ბრუნდება. უბნის ინსპექტორი სკამზე ჯდება და ჩანთას ხსნის: — უწყება მიიღეთ?

ვაჟას გაკვირვება მოწყენილობით ეცვლება, თავს უქნევს.

— რატომ მერე არ გამოცხადდით?

— მომბეზრდა. თანაც ბიულეტენზე ვარ, ავად.

— ვიცით. ამოდენა კაცი დანის ტრიალებში დადიხართ, მთვრალი და კიდევ მასწავლებელი გქვია.

— მომბეზრდა. — ტახტზე ჩამოესვენა ვაჟა.

— მართალი ხარ. პატიოსნად მოიქეცი, აღიარე და მოგეშვებათ. წყალი მოგიტანო?

— რა გნებავთ ჩემგან.

— გულახდილად მოყევით, რა მოხდა. — საქაღალდეს ხსნის: — მაშინ ღამეს.

— „დიდუბის" მეტროსთან...

— მე ეგეები არ მაინტერესებს. — ხელს იქნევს ჯავარბეგი: — ეგ ჩემი რაიონი არ არის.

— აბა რა გაინტერესებთ.

ინსპექტორი ქაღალდებიდან ფურცელს აძვრენს: — თქვენ თუ არ გინდათ გულახდილად დაესმაროთ გამოძიებას, მე თვითონ გეტყვი. — სათვალეს იკეთებს და კითხულობს: — „ამა წლის 19 ივნისს, ღამის ათ-თერთმეტ საათზე, მოქალაქე ვ. ვაჩნაძე, უპარტიო, მცხოვრები გლდანის მასივი ამა და ამ..." — სათვალეების ზემოდან მკაცრად გადმოხედავს: — „იყო რა ძლიერი ალკოგოლიზმის მდგომარეობაში, შეუვარდა მის მეზობლად კანონიერად მცხოვრებ მარტოხელა დედას, ელეონორა ჰამლეტის ასულ ცურციძეს და მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, შვილიანად. შევარდნის მიზეზად დაზარალებულმა აჩვენა, რომ ვაჩნაძეს არ უნდოდა მისი გაუპატიურება, არამედ პირდაპირ ბინის ხელში ჩაგდების მიზნით ცემა, შვილიანად. ბინა, რომელსაც ვაჩნაძე ვ. იკავებს თავისი მეუღლით, მათ არ ეკუთვნით ოფიციალურად. მაგრამ ვაჩნაძე აგრესიულად სულ მოითხოვდა ამხანაგ ცურციძის, მარტოხელა ბავშვიანი დედის ბინას აგრეთვე, ჩხუბით. აღნიშნული ცემა, ბოროტი ხულიგნობის გამოყენებით, მიმდინარეობდა საზოგადოებრივად, მეზობლების თანდასწრებით, რომლებსაც ეძინათ, ცემის პროცესში მოქნეულმა მცირეწლოვანმა ბავშვმა, სოლომონ მუსტაფას-ძე ცურციძემ, თავი კედელს მიარტყა და დატრამვირდა. მოთავსებული იქნა სასწრაფოთი საავადმყოფოში. სასამართლო-საექსპერტო დასკვნას

ელოდება წოლით“. — კმაყოფილმა დახურა საქაღალდე, სათვალეები ბუდეში მოათავსა და ვაჟას მოამკაცრდა: — რას გვიპასუხებთ პასუხად?

— ბრწყინვალე სტილია დაცული. — ახველებს ვაჟა.

— დამცველი მაგარი დაგჭირდება, კი. 228 მუხლის მეორე ნაწილი გიდგება, ბოროტი ხულიგნობა. ორიდან ხუთ წლამდე.

— თქვენ ერთი რამ გამოგრჩათ.

— რა გინდა?

— მაგ საღამოს მე მეტრო „დიდუბესთან“ დავტრამვირდი და საავადმყოფოში მომათავსეს.

— მოწმე გყავს? მერე ეგ მერე მოხდა.

— რა მერე... — იბნევა წამით ვაჟა.

— აი, ხომ ხედავ. ტყუილს ფეხები მოკლე აქვს. — ეახალისდა ინსპექტორი. — შენ სახლში იყავი, მეზობლებს შეუვარდი მთვრალი, სცემე მარტოხელა დედა-შვილი, გალეწილმა ბავშვს თავი გაუტეხე, მერე შეგეშინდა და გაიქეცი. შეიძლება სადმე გამოედე ჟესტს, როცა მირბოდი, როცა ელეონორა ჰამლეტის ასული ყვიროდა „მილიცია“, მაგრამ თუ გინდა იცოდე, თვითონ მიიყენე, ძალიან რომ შეგეშინდა, სხეულის მსუბუქი დაზიანება. რომ მერე საავადმყოფოში დამალულიყავი.

— რაო, რა მივიყენე?

— თავი დაიჭერი, რა. ეგეც ცალკე მუხლია.

— თქვენ ჯანმრთელი ხართ? — ფეხზე დგება ვაჟა.

— პოლიპები მაწუხებს... — ინსტიქტურად დგება ჯავარბეგიც: — შენ ქურდები გააშაყირე, კამერაში როცა დაჯდები.

— მეზობლებს რაღას უშვებით?

— მეზობლები სწორად აჩვენებენ, ეძინათ და ესმოდათ: „მილიცია, მილიცია“.

— ათ-თერთმეტ საათზე როგორ ეძინათ?

— ვაჰ! შენთან ჩამოვლენ „ვაჟაჯან, დავწვეთ თუ არა“... უნდოდათ და ეძინათ.

— საკმარისია. მეტს აღარ შეგაწუხებთ. — ეზას უთმობს ვაჟა.

— შენ მე როგორ უნდა შემაწუხო? ქალაქიდან არ გახვიდე. საქმე მოსაკვლევად ჩაბარებული მაქვს და აბა, ნახვამდის.

16

ვაჟა ბავშვთა საავადმყოფოს დერეფანში ესაუბრება თეთრხალათიან კაცს. ექიმი ხმადაბლა უხსნის: — კომოციო აქვს, ანამნეზით. მთლიანი ანალიზები ავუღეთ, არც მათ და არც გასინჯვამ არ დაადასტურა ანამნეზი. მაგრამ დავტოვეთ, დედის დაჟინებული თხოვნით — ბავშვი ველოსიპედიდან არის გადმოვარდნილი მაინც...

— რატომ დატოვეთ?

— მარტოხელა ქალია, დედა. — იშმუშნება ექიმი: — საშსახურიდან მინდა დავეთხოვო ცოტა ხნით, ბავშვი სოფელში წავიყვანო და მთხოვა, კომოციო ჩამეწერა.

— ეგ ტყუილია. — სწორდება ვაჟა: — საქმე სერიოზულია. მაგ ბავშვის ცემას მე მაბრალებენ. მილიციაა ჩარეული.

— უკაცრავად, არ ვიცოდი. მეგონა...

— მე არ ვიცი, თქვენ რა გეგონათ. ბავშვი ჯანმრთელია?

— ახლაც ეზოშია, დარბის.

— ჰოდა ისე მოიქეცით, როგორც სინდისი გიკარნახებთ. მშვიდობით.

* * *

ვაჟა მოხუცი იურისტის ბინაში, ტყავის საგარძელშია ჩაფლული. მდიდრულად მოწყობილ ოთახში მძიმე ფარდები ახშობენ დღის შუქს. მხოლოდ კაკლის მუქ, მძიმე საწერ მაგიდაზე ანთია სინათლე. ვაჟას თავზე სიგარეტის ბოლი ადგას: — მართლა დაუწვენია. იმ საღამოსვე გამოუძახია სასწრაფო, ბიჭი პირსახოცით თავშეხვეული დაუხვედრებია... აღებინაო, თავბრუს ხვევა... ერთი სიტყვით მთელი არსენალი დაუსწავლებია

ბავშვისათვის, ტვინის შერყევის ნიშნების. მაგრამ ანალიზებმა არაფერი აჩვენეს. ნუთუ ამას ძიებისათვის მნიშვნელობა არა აქვს?

— ტენდენციას გააჩნია. — დაგემოვნებით სვამს ყავას მოხუცი: — კომოციოს დიაგნოზით დააწვინეს, ხომ?

— კი.

— ოცდაერთ დღეს უმიზნებენ, წოლას. 228 მუხლის მეორე ნაწილი. ბოროტი ხულიგნობა, სხეულის შსუბუქი დაზიანებით. ან შეიძლება ნაკლებად მძიმეც მოახერხონ, თუ დრო ეყოთ. სწორედ უთქვამს ჯაგარბეგს. ექიმი?

— არ ვიცი. დავანამუსე.

— ფული ექნება აღებული. ბავშვი უნდა გამოწეროს და ფული დააბრუნოს, თუ ჭკვიანია.

— ასე შეიძლება ყველას დაჭერა!

— აქ შეიძლება, თუ მოინდომე, კაცმა. — ეცინება: — ან ქალმა. ფრთხილად იყავი.

— ასე სერიოზულია? — დგება ვაჟა.

— შენ გებრძვიან, დასკვნები აქედან გამოიტანე. — ამოაჩერდა მოხუცი ნისლიანი თვალებით.

* * *

ვაჟა ქუჩაში, ტელეფონის ჯიხურში ყვირის: — დიახ! მამალაძე... თამაზი, შენა ხარ? ჰო. მომისმინე, გახსოვს სექტემბერში რომ დამირეკე, შენთანაც ვიყავი... ჰო, ისევ ბინაზე... რა? უკანონოდ ცხოვრობდა ამ ხნის მანძილზე? მერე... ახლა უკვე მოასწრო გაფორმება და ეგ... როგორ? მე ბებიის ბინაში არ დამაყენეს რატომ ცხოვრობო და ეგ ამ ხნის მანძილზე ჩაუწერელი იყო? რა თქვი? რა განცხადება... საჩივარი აღმასკომში ჩემზე? თქვენთანაც... ვინ აწერს. კარგი, კარგი, თუ არ გეუბნებიან. ნახვამდის. ჰო, ფრთხილად ვიქნები.

თავსხმა წვიმაში გამოდის, კარი გაღებული უჭირავს: — შარო, საიდან მოდიხარო!...

17

საღამოა. ვაჟა და ელისო სახლში ჩაის შეექცევიან. მაგიდაზე სამოვარი უდგათ.

ეზოდან ჩხუბის ხმა მოისმის, ელისოს წამოდგომა უნდა, მაგრამ ვაჟა აჩერებს: — შენი ნერვიულობა არ შეიძლება.

აქასობაში ფანჯარას ქვა ხვდება და მინა იმსხვრევა. ვაჟა დერეფანში გადის, ფანჯარას კიდევ ხვდება ქვა... და ხელში ქვებიანი სოლომონი სახლში იმალება, ვაჟას დანახვაზე. ეზოში, ონკანთან, სახეშეცვლილი ლოლიტა დგას, ცალი ხელით დინჯითა და მეორეთი მუშტის ქნევით: — ამ გათახსირებულმა ბავშვი მამიკლა კინაღამ, დასისხლიანებული დავაწვინე სავადმყოფოში და არ მივარდნილა დღესა, ავადმყოფი ბავშვი გამოაგდებინა ექიმებსა. ცეკაში ჰყავს კაცი. რკინის ქალამანს ჩავიცვამ და შენი თავი თუ არ დავაჭერინო, ცურციძე არ ვიყო მე, ქალი არ ვიყო!

ვაჟას გვერდზე ამომდგარი ელისო ფითრდება: — გაგიჟდი ლოლიტა? გადავირევი, ვაჟა... რა ხდება?

— დაუშტვინა. იმდენი იარა რკინის ქალამნებით. — და მხრებზე მოხვეული აბრუნებს ოთახში, ისევ მაგიდას უბრუნდებიან, ჩაის, სამოვარს... რომ კარზე რკინის კაკუნი ისმის: — გააღეთ! თქვენ გეუბნებიან გააღეთ!

ვაჟა გადის, კარს აღებს. ლეიტენანტი და ორი მილიციელი დგანან, არ შემოდიან: — გამარჯობათ, თქვენ რას ხულიგნობთ აქა! — ეკითხება მკაცრი ოფიცერი.

— უპასუხოს, ერთი უპასუხოს! — ონკანთან ფორიაქობს ლოლიტა: — მინამ ზევით კაცი ჰყავს, ისე უნდა დაგვჩაგროს, მარტოხელა, უქმრო დედა–შვილი?

— ვინ ბრძანდებით, რა გნებავთ? — სახე ეყინება ვაჟას.

— ნარიადი გამოგვიძახეს. ქალსა და ბავშვს მოერიე მუტრუკი, არა ვრცხვენია? — არც შემოსვლასა და არც წასვლას ფიქრობენ, ისე დგანან კართან მილიციელები.

— ყველანი გაგიუდით? — ერევა სასოწარკვეთილი ელისო:
— ლოლიტა, ვინ ცემა შენი სოლიკო? რა ტკივა, ერთი მაჩვენეთ... სოლიკო! — გაწევს მილიციელებს და ლოლიტას ბინაში შედის. ვაჟა ვერ აჩერებს, გარეთ გასვლას კი მას არ ანებებენ.

მეზობლები ჭრელი სარეცხივით გამოფენილან აივნებზე და ყველაფერს გულგრილად ადევნებენ თვალს.

— სოლიკო!... ვაიმე, დედა! — ისმის ბინიდან ელისოს ხმა.

ვაჟა მილიციელებს უსხლტდება და ლოლიტას ბინაში შედის. ოთახში სოლომონს გასხნილი დანა უჭირავს და კედელთან ჩაკეცილ, გულწასულ ელისოს უქნევს სახესთან: — დაგხოცავთ, ვაჩნაძეებო! თქვენი პატრონი დედა...

ვაჟა წყნარად უახლოვდება, დანის პირს ხელს ავლებს, გამოგლიჯავს, ცაციათი სახეში სილას ულაწუნებს: — შე მართლა ნაბიჭვარო!

ოთახში მილიციელები შემოცვივდებიან და ვაჟა გაკავებული გაჰყავთ ეზოში. იქ ლეიტენანტი ცხვირსახოცს იღებს ჯიბიდან და ვაჟას გასისხლიანებულ ხელიდან დანას ართმევს, ახვევს და ინახავს ჩანთაში: — ყველაფერი ჩვენი თანდასწრებით ჩაიდინე. ჭკუა არ გქონია ამოდენა კაცს!

ლოლიტა ისტერიკით მივარდება: — ბავშვს მიკლავდა. ხალხო! თვალებს ამოგთხრი შე გათახსირებულო!.. — ცდილობს მუშტი ჩაარტყას სახეში. მაგრამ ერთ-ერთი მილიციელი შეუშლის. სახლიდან სოლომონი გამორბის და ვაჟას წიხლებს ურტყავს.

— მთელი ეზოს თვალწინ შვილს მიკლავდა! — ისევ ეპირება ლოლიტა ვაჟას მიწვდეს, მაგრამ ისევ აჩერებენ: „კარგი გეყოფა“, ეჩურჩულება ოფიცერი და ლოლიტაც უცბად უჯერებს: — მეზობლებმა ხომ დაინახეს! — უბრუნდება აივნებს: — ეხლაც აღარ დამიდგებით მოწმედ?

— ყველა მეზობელი ერთმანეთის მიყოლებით იმალება სახლებში, ხმაურით ხურავენ კარ-ფანჯრებს და იქიდან, ფარდებს ამოფარებული იჭვრიტებიან.

ვაჟას მილიციის ვილისში სვამენ. კართან მდგომი ლეიტენანტი ლოლიტას ხმამაღლა უხსნის: — მეტი მოწმე ვინღა გინდა, აქ არა ვართ? შენ ეხლა ტაქსით წამოდი, ეხლა ავრე აჯობებს.

18

გამომძიებლის კაბინეტი. ფანჯარაზე გისოსებია აკრული. ელეგანტური, ვაჟას ტოლი გამომძიებელი მაგიდაზეა ჩამომჯდარი: — რა მიზნით შეევარდით სახლში?

— ცოლი შემიშინა. — წყნარად პასუხობს ვაჟა.

— მერე ეგ საკმარისია იმისათვის, რომ ბავშვს დანა უტრიალოთ?

— მე დანა არ მდებია, სპორტული პიჟამო მეცვა, უჯიბო.

— ესე იგი ამტკიცებთ, რომ დანა უკვე ბინაში შეევარდნილმა, იქ აიღეთ?

ოთახში შემოდის ჰალსტუხიანი, სქელი ახალგაზრდა კაცი. გამომძიებელი სწრაფად ჩამოინაცვლებს მაგიდიდან. კაცი ანიშნებს: — გააგრძელეთ დაკითხვა, — და გამომძიებლის საგარძელში ეშვება ქოშინით.

— მაშ, იქ აიღეთ? მიპასუხეთ.

— დანა არ ამიღია, წავართვი. — ფანჯარაში იყურება ვაჟა და მზის სხივებს თვალებს უჭუტავს.

გამომძიებელი საწერ მაგიდასთან იხრება, კითხულობს: — ოპერატიული ჯგუფი ლეიტენანტ ბეჟოშვილის მეთაურობით აჩვენებენ, რომ დაკავებისას თქვენ დანა ხელში გეჭირათ. რას იტყვით ამაზე?

— აჩვენებს. ასე უფრო სწორია. სიმართლე გითხრათ, ბეჟოშვილის ჯგუფი ვერაფერს ვერ აჩვენებს. დადგმული იყო ყველაფერი. დანა კი სოლომონს წავართვი, იმიტომ მეჭირა ალბათ, ხელში. ზუსტად არ მახსოვს...

ამ დროს მსუქანი კაცი, რომელიც ყურადღებით ათვალიერებდა ვაჟას, მისკენ იხრება: — მკვლელო! იმის

ვაჟკაცობაც კი არ გყოფნის, აღიარო დანაშაული: ლაწირაკზე დანით იქაჩები და თავი კაცი გგონია!

ვაჟა ინტერესით შეხედავს. აკვირდება სახეზე, თვალებში და წყნარად პასუხობს: — მე თქვენ საერთოდ არ მოგცემთ, ჩვენებას.

აჭარხლებული კაცი თავს ვეღარ ერევა და, წამომხტარი, ოთახში დარბის: — ამას რა ეტყობა მასწავლებლობის, პირწავარდნილი გარეწარია! სკამზე ჩამომჯდარი ვაჟას წინ ჩერდება, თვალებით ჭამს: — მე შენ მთელ წარსულს ამოვქექავ! კაცი არ ვიყო...

— რკინის ქალამნების ჩაცმა არ დაგავიწყდეთ. — ეღიმება ვაჟას...

მსუქანი არ უსმენს, თითო-თითოდ მარცვლის კბილებიდან სიტყვებს — მამა აბრამის ბატკნად მოგაქვთ თავი... — აწითლებულ სახეს მიუახლოვებს: — მე შენ ნიღაბს ჩამოგახევ! ჩვენებებს კი ისე იძლევი — პირველად არ ხარ პასუხისგებაში.

— უბრალოდ, შენზე ჭკვიანი ვარ. — ისევ მოიწყენს ვაჟა, მზეს მიბრუნებული.

მსუქანი უცბად ჩუმდება, იბნევა და გამორკვეული, კარის ჯახუნით გადის კაბინეტიდან.

ვაჟას ისევ მზის სხივი უთამაშებს ქუთუთოებს: — და ნამდვილად, პატიოსანიც.

აქამდე ყუჩი და კუთხეში მიმდგარი გამომძიებელი მაგიდას უბრუნდება და ზედ სიგარეტს ეძებს: — ეგრე რით გაამწარე?

— ჩემი არსებობით. — პასუხობს ვაჟა წყნარად.

19

გისოსებიანი ფანჯრიდან, ასფალტის დონეზე მყოფ საკანში, გამთენიის ნისლი და სიცივე იღვრება. ბადეში მბეუტავ ნათურას ერევა და ოთახი, ჩამორიგებული საწოლებით, ფსკერზე

დალექილს ემსგავსება. რკინის უზარმაზარი კარი კლიტედ ადევს მძინარე ადამიანებს.

ვაჟას ხელი ლოყის ქვეშ ამოუდია. შესიებულ ცხვირზე, ნიკაპზე და ბალიშზეც სისხლია შემხმარი. ძილში ჩახველებისას ელვიძება, ფხიზლდება — გაკვირვებული ათვალიერებს საწოლს.

— ძმაკაც, ეი, ძმაკაც! — მისი მეზობელი, წრიპა კაცი, საწოლზე წამომჯდარი რომ უთვალთვალებდა მძინარეს ეგებება: — მთვრალი შემოათრიეს, ღამე. პირველი შენ გეცა, მუშტები დაგაყარა, მაგრამ ვერ გაიგე, ძმაკაც...

ვაჟა მშვიდად იცილებს სახიდან სისხლს.

— მუშტი ჩაგცხო სახეში, გაგინა და მერე მეც მომიქნია, მაგრამ ფეხებს მომჭამდა, მაგის... ეხლა, ეგე, ძინავს. არხეინად იყავი. — დგება, ნიფხავ-პერანგის ამარა და წინდებში, მიდის საწოლისაკენ: — მაგას ვუტირებ დედას, ძმაკაც, აეჰ! შენ არ შეგეშინდეს, აქ იყავი.

წრიპა თავზე ადგება საწოლზე გაუხდელად, გულაღმა გაშოტილ, ქერა ახალგაზრდას: — ადე, ჰა! გეძახიან. — აჯანჯღარებს, ის ბურანში იღვიძებს: — ჩტო, და, სეიჩას... — ემორჩილება, თვალდახუჭული იწევს, დგება. წრიპა აყენებს და სახელოზე დაჭიდებული ვაჟასაკენ მოათრევს. ქერა შფოთდება, ახლა უკვე ეურჩება, წრიპა მუშტს უქნევს, ის იმწყვდევს მის მკლავებს და ძიძგილში ვაჟას ემხობიან ზედ, ლოგინზე ავრძელებენ ჩხუბს. აზელილ სხეულებიდან გამოქნეული წიხლი მტკივან ცხვირში ხვდება ვაჟას და ხელახლა ადენს სისხლს.

— რამ გაგამწარათ სუყველა... როდემდე, უხ! — ეჭიდება მოჩხუბრებს ვაჟა, ისინი გრძნობენ ხიფათს და ერთად უტევენ... ვაჟა მაინც ახერხებს მათ ლოგინიდან გადაყრას, ისინი მძინარე მეზობელს ემხობიან თავზე და ისიც ძილიდანვე ხელების ქნევით ერთვება ჩხუბში, ხმაურზე დანარჩენებიც იღვიძებენ და ზედახორაში მიძვრებიან...

სარკმელში, გისოსებს მიღმა, ჩექმების სირბილია წინ და უკან.

საკანში ისმის უზარმაზარი კლიტის — კარის გაღების მჭახე ხმა.

20

გამომძიებლის ოთახი. ელეგანტური, ვაჟას ტოლი გამომძიებელი ახლა უკვე თავის სავარძელში ზის. ოთახში მათ გარდა კიდევ ერთი, შუახნის კაცია, ფანჯარასთან მიმჯდარი წყნარად აბოლებს და სხვა არაფერი აინტერესებს.

— გეძინათ. ნუთუ ისე ღრმად, რომ თავდასხმა ვერ გაიგეთ, ან იგრძენით? — კალმის ტარს ღრღნის გამომძიებელი.

— ელენიუმი მივიღე — სკამზეა ჩამოყუჩებული ვაჟა.

კაცი ფანჯარას მოაცილებს მზერას და ვაჟას ყურადღებით აჩერდება.

— როგორ? საიდან? — სავარძელიდან გადმოიწევს გამომძიებელი.

— შემომიგზავნეს. ნევროზი მაქვს, უმაგისოდ ვერ ვიძინებ. — კენწეროებს მიმტერებია სარკმელში ვაჟა.

— თქვენი სულ მიკვირს. ისე ლაპარაკობთ კანონის დარღვევაზე, თითქოს არაფერი. ეგ ხომ აკრძალულია!

— რა არის აკრძალული.

— მედიკამენტების საკანში უნებართვოდ შეტანაა აკრძალული. — დამარცვლა გამომძიებელმა.

— გასაგებია.

— მაგ ჩხუბში, მართალია, თქვენ არა ხართ დამნაშავე, მაგრამ თავი მაინც უნდა შეგეკავებინათ.

— როდემდის უნდა ვიკავო თავი.

— კარგით, ერთი. ყველაფერს აზვიადებთ. ჩვენ აქ ისინი კი არა ვართ, რა ქვია... — სიგარეტს უწოდებს: — პირველად მას დაურტყია თქვენთვის, მძინარესათვის. დაწერეთ... — ქაღალდს და კალმისტარს უდებს წინ. ვაჟა შემოთავაზებულ სიგარეტს

თითებში ათამაშებს და მაგიდაზე აბრუნებს: — მე არ დავწერ, იცით...

— არ დაწერთ, ვიცი. არ ინივლებთ, კი. არც მაშინ დაწერეთ, ეზოში რომ დაგჭრეს. სამადლობელოდ. თქვენზე კი წერენ. ჩემზეც წერენ. უკვე და ყველგან. უნდა გაცლოდით, თუ ბრძოლა არ შეგეძლოთ ან არ გინდოდათ.

— იქნებ თბილისიდანაც წავიდე, საქართველოშიც არ მოიძებნოს ჩემი ადგილი.

— რატომ აზვიადებთ...

— მოათავეთ ეს კომედია. — წყნარად ჩაერია უცნობი: აქ ყველაფერი ცხადია. დაუბრუნეთ პასპორტი. საქმე შეწყვიტეთ დანაშაულის მომენტის არარსებობის გამო და ქალაქის პროკურატურაში გადმომიგზავნეთ.

გამომძიებელი თავის სავარძელს დაუბრუნდა, მხნედ: — ყველაფერი ზის, პეტროვიჩ, აუცილებელი მოგერიების ფარგლებში... მოკვლევა ტენდენციურად იყო ჩატარებული, მუხლი არასწორად დაკვალიფიცირდა... კომოციო ყალბია, ანამნეზით. მაგრამ ბახუტაშვილი, დავიდოვიჩი...

— ვიცი. ახლა უკვე ცხადია ყველაფერი. ამ საქმეს ჩვენთან განვიხილავთ აქტივზე, მეტი რომ აღარ ჰქონდეს ადგილი პრაქტიკაში.

ვაჟა დაინტერესებით აცქერდება: — როგორ?

— ჰო, დიახ. მეტი რომ აღარ ჰქონდეს ადგილი ჩვენს ცხოვრებაში. ასეთი ახალგაზრდები არ უნდა დავკარგოთ, უნდა დავეხმაროთ მათ, მხარში ამოვუდგეთ.

ვაჟა ისევ წყნარდება: — დამიჯერეთ, სკოლის მასწავლებლისათვის ცოტა უხერხულია ქალაქის პროკურორის მხარში ამოდგომა და საერთოდ, რატომ?

— მე მხოლოდ ზონისა ვარ. — ილიმის პროკურორი: — თქვენი ირონიაც მესმის. მაგრამ არავინ არაფრისაგან არა ვართ დაზღვეული, ყველაფერი ხდება აქ. ამიტომ ზოგჯერ მასწავლებელსაც შეიძლება გამოადგეს პროკურორი.

— სამწუხაროა.

— რა?

— დაზღვევაზე რაც ბრძანეთ.

21

ლოლიტა ფართო ნაბიჯებით მიდის ქუჩაში, ჩაუვლის გორკის ძეგლს და შედის შენობაში.

ჯაგარბეგი დაბნეული იწევს სკამიდან ლოლიტას დანახვაზე. ის კარს იჯახუნებს ზურგსუკან: — შენ არ მიმტკიცებდი, მაგის საქმე წასულიაო? ბინა შენია, გასაღები ხელში გაქვსო, შენ არ მიმტკიცებდი?

— მთელი ქალაქი ეხმარება. მწერლების მდივანი, დეპუტატები, რამე. — სკამზე ეცემა ჯაგარბეგი.

— განცხადებას რომ ვწერდი, შენ არ მიმტკიცებდი, შენ არ ჭიკჭიკებდი, ციხეში ამოვალპობო? — დოინჯებს იკრებს ლოლიტა.

ჯაგარბეგი უცბად შეუტევს: — ველარცერთი ტვინის შერყევის ცნობა გააკეთე. — ეხლა მე მეჩხუბები არა?

— ვაჰ! შენი მილიციაში მომყვანი დამანახა ერთი, შორიდან. ტვინის შერყევა რად გინდოდა, დანით ხელში დაგაჭერინეთ, ყველას წინ, ეზოში ვაჩხუბე და როგორ გამოუშვი? ცხვირიდან გადენ იცოდე იმ მაყუთს.

— შენ ენა დაიმოკლე.

— მე რასაც დაგიმოკლებ, ეგ მე ვიცი!

* * *

ჩაკეტილ კაბინეტში მსუქანი კაცი და ლოლიტა ზიან. ლოლიტა ნერვიულად აბოლებს: — ერთი სირისტიანის გულისათვის ოთახს ვკარგავ.

— ქალაქის პროკურატურა ჩაერია, კიდევ მწერლები, დეპუტატები. — საკარძელში სწორდება ახალგაზრდა კაცი: — მოგვერიენ.

— იმ ნაჯღაბნებისათვის?

— მწერლად ითვლება, მაინც. ჩვენთან ერთი მოთხრობაც რომ გამოაქვეყნო, საზოგადოება, სახელმწიფო გაფასებს.

— საზოგადოება და ისა კიდევ! — სიგარეტიან ხელს იქნევს ლოლიტა: — ფული დახარჯა, ლობიომ. მეზობლები ვირთხებივით მყავდა გამოჭერილი. დანიანად, სისხლიანი ხელით დაიჭირეს ეზოში და მაგის გაშვება იქნებოდა?

— ის დანა არ დაუმტკიცდა. ბეჟოშვილის მილიციონერებს შეეშინდათ და გადათქვეს ადრინდელი ჩვენება. არ აღმოჩნდა ლობიო!

— ქალი არ ვიყო, მოსკოვს არ ჩავიდე, რკი...

— მორჩი! — მაგიდაზე მუშტის დარტყმით, უხეშად აწყვეტინებს კაცი: — კმარა. — საკარძლიდან წამოდგა, სიგარეტს მოუკიდა და წამით შემკრთალ ლოლიტას დაუყვავა: — სხვა გზებიც არსებობს. ის დედაკაცი მაგ ბინაში არ გაჭაჭანდება შენი შიშით, აღარ მობრუნდება არასგზით და ეგესი კიდევ დღეს-ხვალ გავლენ მაგედან.

— როგორა?

— წავლენ-მეთქი!

— მე მაინც მერჩივნა, ციხეში მჯდარიყო, უფრო მშვიდად ვიქნებოდი!..

— კარგი, გეყოფა. ბინა — კი! ჩასმა — არა! ეგეც გონს მოდის, მოეშვი.

22

ვაჟა და ელისო სანაპიროს მიუყვებიან, საღამოა, შავად ლივლივებს მტკვარი. ელისო მხარზე დადებულ ხელის მტევანზე

ეფერება ქმარს: — აღარაფერზე ვფიქრობ, მთავარია, ჩემს გვერდითა ხარ.

— თავისუფლების გარეშე წერა არ შეიძლება, თურმე. ფანქარი და რვეული რომ შემომიგზავნე, მაშინ მივხვდი. მართლა გჯეროდა, რომ იქ რამეს დავწერდი?

— შენ მწერალი ხარ.

— ეგ ვის სჭირდება. კაცი პროდუქტი უნდა იყო თურმე, დროის. ეგ ვის სჭირდება, აქ.

— მე მჭირდება, ხალხს სჭირდება.

— ხალხი ლოლიტაა.

— ლოლიტა დროა. დრო კი იცვლება, ადრე თუ გვიან. შენ რჩები, იზრდები, დროსთან ერთად. შენ წერ!

— ახლა არა. ჭუჭყი დამიგროვდა, ვერ ვადმოვღვრი. იქნებ დაილექოს, ოდესმე.

— დაიწმინდება.

სანატორიუმის სკვერში, განათებულ ქვიშაზე ბიჭები ჩხუბობენ — საქმიანად, უხმაუროდ, თითქოს მუშაობდნენ. ელისო შეშფოთებული შეხედავს ქმარს...

ვაჟა წყნარად უყურებს მათ და ცოლს მკლავში ხელს გამოსდებს, უკან აბრუნებს: — ასე წავიდეთ, იქით ბნელა.

ეზოში, ლოლიტას ბინაში სინათლე ანთია. ვაჟა და ელისო ჩაუვლიან, სახლში შედიან. ლოლიტას ფანჯარაზე ფარდა შეირხევა.

შორეულ კუთხეში, მეორე სართულზე, სინათლე აინთება. მაშინვე ქვრება და ახლა შუშის იქიდან იკვეთება შეშფოთებული, თმაგაწეწილი ქალის სახე.

შუაღამის თბილისი. რუსთაველზე კომპანია მოსეირნობს და მღერის „საქართველოო ლამაზოო, სხვა საქართველოო სად არი...“

იქვე მიქრის ფარნებანთებული და სირენაჩართული მილიციის ორი მანქანა.

პატარა, ასიმეტრიულ, შუაში ონკანიან ეზოში, ერთადერთი ნათურა ქანაობს შემოდგომის ნიავზე. ლეღვის დიდი ხის

უცნაურფორმიან ფოთლებზე დაღვრილი მთვარის შუქი, იდუმალ ჩრდილებს აფენს ასფალტზე, რომელზეც დიდ ფუთას მოათრევს ვაჟა, მას ელისოც ეწევა, ჩემოდნით. უხმაუროდ, მშვიდად გადიან ეზოდან, ხმელ ფოთლებს ახვეტავს ფეხებში ქარი.

1985 წ.

1991 წ. – ქართული ფილმი „ლოლიტა“

სტატიები

აზრები მოსული და გაზიარებული თბილისელებთან ბაღში

ახალი წლის მიჯნის ორმა კვირამ ისე შეაზანზარა თბილისი, რომ მაწანწალა ძაღლი-კატები ქალაქიდან გადაიხვეწნენ, დაიცალა მთაწმინდის ეზო-სახლები, ქუჩები და ბოლოს, ბუნკერიც. მთავრობიდან გაიქსაქსა ხელოვნურად მობოჭილი ხალხი. ნაბახუსევზე შემოგვრჩა დალილავებული, კბილებ-ჩამტვრეული, ანუ ზოგიერთ პატიოსან ჟურნალისტივით ნაცემი თბილისი. რუსთაველზე ხმელი ფოთლების, დაღეჭილი მანქანების, ნანგრევებისა და ნასეტყვარის ფონზე ლანდებივით გამოჩდნენ მოქალაქე თბილისელები... ასე იზეიმა ხელისუფლებამ მმართველობის ერთი წლისთავი. გაოგნების ბურუსი თანდათან გადაიწმინდა და ქართულ რაიხსტაგზე გამოიკვეთა გამარ-ჯვებულთა და დამარცხებულთა საერთო დროშა.

გაუბედავად ჩაიშრიალა მშვიდობის მტრედმა — პირველმა ტროლეიბუსმა, ადრე ტანკად რომ ედგათ მოედანზე და მთავრობის ეზოშიც ხომ აღმოუჩნდა ტყუპისცალი, თვალი გაახილა ტელევიზორმა და სათვალიანი, ცრუშევარდენის ბრაზიანი ყურება, ინტელიგენტური მზერით შეცვალა, ახმიანდა რაღაც და — არ აყაყანდა. უმალ გადავდეთ წიგნები და ისევ გაზეთებს მივუბრუნდით. რა მოხდა?

გაყინული დრო გალღვა და იწყო დინება. ოკი ძმათა სისხლსაც იტევს — წმინდა, შეწირულს; უამრავ იმედს, ტყუილს და გაცრუებულს, ჩატეხილი ხიდის ნანგრევებსაც მოათრევს და ქვაღორღსა და ბოღმას მოერეკება... ალბათ ჩაივლის, ჩაიღრიალებს, ჩათხელდება და ჩასუფთავდება, ჩაიწმინდება ბოლოს და ბოლოს. აკამკამდება, აცრიალდება, და შიგ საკუთარ თავებსაც დაგვანახებს ნათლად, რანი ვართ და რანი ვიყავით.

იქამდე?

სანამ პირველ საამაყო სკოლას ხელახლა აგვიშენებდნენ, ყველანი ჩამოვჯდეთ რომელიმე გადარჩენილი ბაღის მერხზე

და დავიწყოთ ბეჯითი სწავლა, სულ თავიდან: — აი, ია. ია, აი:

დიდი მერაბ მამარდაშვილი — მეტრი ანუ მასწავლებელი, ანუ სენსეი ანუ მსოფლიოს ყოველ ცივილიზებულ ენაზე სახელოვანი ქართველი მოაზროვნე-ფილოსოფოსი იყო, არის და იქნება ჭეშმარიტად — აი, ია.

დახვეწილი ხელოვანი, ელდარ შენგელაია, ქართველი კინორეჟისორი და მაესტროა, ანუ მეტრია ხელოვნებაში — ია, აი.

ასევე ერის ჭეშმარიტი შვილია ნოდარ ნათაძე, ანუ ქართველი იცხაკ შამირია, თუ არ გვიწყენს და კიდევ რამდენი მამულიშვილია უმოწყალოდ შელანძღული, ამ უკუნ წელიწადს?..

ანდა ვის გაუგონია ღირსეული თბილისელი ვაჟკაცების — კოლორიტული ბუბა კიკაბიძისა და რომანტიული ოთარ მელვინეთუხუცესის გლახა ბიჭობა?..

მეორე კითხვას ასე ვუპასუხებდი: უცნობი და ანონიმური, ის ოქტომბრელ-პიონერ-ფიზკულტურელ-რევოლუციონრების შემორჩენილი ძეგლებიც გვეყოფა, კიდევ რომ გვახვევიან და თავვზას გვიბნევენ. და საერთოდ, ალბათ ჩვენს სამშობლოშიც დადგა დრო, როდესაც ადამიანი უნდა ჩაფიქრდეს თავის საქციელზე, წარსულ ცოდვებზე, სიტყვებზე, ქმედებაზე და ყველაფერი პოლიტიკას არ გადააბრალოს. შემდგომ რომ არ მოუწიოს ზოგს ფირალივით პირშეხვეულს, კრავის თვალებით ჯდომა მოსამართლე-ობიექტივის წინ, ზოგს რადიოპირის საჯაროდ, მსწრაფლ დამუწვა და ზოგსაც ლიტერატურული ყურუმსაღობა და იმ დაჩემებული კრავის ტყავში კუკუმა-ლულობა. თუმცა, მავანი ნაქურუმალი ისევ ჩვეულ ხელობას მიუბრუნდა — ფლავს არიგებს. აი-ვაი, ჩვენს თავს.

თანამერხელნო! მთავრობის სახლი ტყვე გერმანელებმა აღმართეს ვერგადასახვევი მითითებით, უქმად რომ არ მჯდარიყვნენ, მუყაითად იშრომეს ყოფილმა და მომავალმა ბიურგერებმა — კარგად ააშენეს, მკვიდრად ააშენეს, ბომბგამძლედ აუშენეს კომუნისტებს! ისინიც მშვიდობაში და

კეთილდღეობაში იხმარდნენ და არ კი დასცალდათ... თუმცა, ომში და სროლაში ვისაც გამოადგა აგი შენობა მარანიანა, სიზმარშიაც კი არ მოელანდებოდათ, ილიჩის ზიგზაგად მიმდევრებს. თან ისე ივარგა, რომ ყველაფერი დაიწვა და დაიხრუკა გარშემო ლამის, ის კი დგას! სასახლე. ჰოდა იდგეს. ახლა მისი დანგრევა ხომ უფრო მეტი უაზრობაა, ვიდრე შენება იყო. გამოცხადდეს კონკურსი მის რეკონსტრუქციაზე და ვნახავთ, რა უნარი და ფანტაზია იფეთქებს ქართველ არქიტექტორებში. შუა ეზოში კი შეიძლება საყდარი ჩაიდგას, პატარა, მკაცრი და მოკრძალებული, ჩვენ გემოვნებას რომ შეშვენის. ფასადსაც გადაშენებისას უცხო იერსახე მიეცემა, შიდა ნაგებობებსაც მოძალებულ ფირმათა წარმომადგენლობებს, კანტორებს, ოფისებს, სააგენტოებს დავუთმობთ და მორჩა! აღარა გვაქვს მოძულე, ფინთი მთავრობის ფინთი შენობა. დანგრეულ თბილისს კი უმტკივნეულოდ შეემატება ურთიერთობების (პოლიტიკური, კულტურული, კომერციული, საქველმოქმედო და სხვა) დიდი საერთაშორისო ცენტრი. აი, ია.

თორემ, ჩემს ეჭვიან გონებაში აზრმა ჩაიქროლა — ვაითუ, ის შენობა დიდ ორმოდ აქციონ ჯერ, შემდეგ კი ათწლეულების მანძილზე აშენონ ქაშუეთის ეკლესიის თვალში მაცქერალი კათედრალური ტაძარი თქო. რუსთაველზე რომ ჩაივლიან ჩვენი შვილები, მარცხნივ-მარჯვნივ, უფალო შეგვიცოდე, ერთდროულად იწერონ პირჯვარი?

ირაციონალურია ეს თორემ, მთელი ჩემი ორმოცი წელი, ღმერთის შემწეობით მოვიტანე, და ახლაც მგონია, სამოქალაქო საზოგადოების აშენებას ვეპირებით, წინა ფანატიკურისაგან განსხვავებით.

თანაბაღელნო! პოლიტიკა ალბათ მოღვაწეობის ის განსაკუთრებული დარგია, სადაც მიზანი დიახაც ამართლებს საშუალებებს.

ჩვენ რომ არხეინად ვმჯდარიყავით და მებრძოლ პოლიტიკოსებს საკუთარი ხმა და კიდევ უფრო ხმაურიანი, მტკიცე არგუმენტები არ გამოელოთ, ურომლისოდაც ხელისუფლებას

ფეხებზე ეკიდა ყველაფერი, დღეს ბუნკერიდან დაძრული ტაშფანდური მთელს თბილისში გაჩაღდებოდა და გადავიდოდა საქართველოსათვის განზრახულ მრავალწლიან იმპერიაში. ვეჭვობ მომავალში ჩვენც მივეპატიჟეთ სალაღობოდ, სხვაგან უფრო დაგვიძახებდნენ, ემ ბაღიდან.

„საქართველო, შენ ვინ მოგცა, შვილი დასაკარგავი“.

ადამიანი იზრდება და არ ვირდება, არა, ნიჭიერი ადამიანი იზრდება და იხვეწება მთელი სიცოცხლის მანძილზე, ანუ ბრძენდება და გზა-გზა ცოდვებსაც ინანიებს. ეს სიცოცხლის, ადამიანობის, ჩვენი სარწმუნოების კანონია. და თუ ქართველი ვინმე, სამსახურს თავაზობს საკუთარ სამშობლოს, ვისა აქვს უფლება, ერის სახელით მას უარი სტკიცოს? თუნდაც ისეთი მასშტაბის პოლიტიკოსს, როგორიც ყოფილი იმპერიის ყოფილი მინისტრია. დღეს მას ქართველთაგან მსოფლიოში უმაღლესი ავტორიტეტი გააჩნია.

ჩვენთან, გაძიების ტრადიციის არსებობა წარსულში ერის დემოკრატიულობაზე მეტყველებდა. მოგვიანებითაც არ მოუკლავთ თავი ჩვენ მამა-პაპათ, თანამეინახეთა გენეალოგიისა და თუნდაც ეროვნების ჩაგულისყურებული ეგზამინებით. დღესაც, ქართველებში მეტად პირობითი სხვაობაა გლეხ-აზნაურ-თავადთა და თავად ბაგრატიონთა შორისაც. ასეთ თანასწორობაში, საურჩო რა უნდა გვქონდეს... მათი ტახტზე მობრუნებისა.

იქამდე, მოწაფეს კითხვები არ შემოელევა და, ვინ ამიხსნის ახლა მე, უსკოლო ბაღში მჯდომს, რომ მეფეს უკაცრავად და შიშველი რომ არ იყოს, კარი და არისტოკრატია სჭირია და, რომ ეს ხალხში არხეინად ჩაწნული თავად-აზნაურობა, ნამდვილი და ტყუილი — შეძენილი გვარებით, ერთი წინდაუხედავი გამოისობით. არ გამოიღვიძებს, წამოიქოჩრება და მიწის

პრივატიზაციას, ანუ განაწილებას ხალხში, ძველი მამულების გაწეწვად არ წარმოგვიჩენს აწი? იქნებ ამ ჩვენი ამღვრეული მდინარის დაწმენდამდე დაგვენახა ეს სოციალური, ხელოვნურად შექმნილი ხიფათი? აი., იაც დავკარგეთ.

ჭეშმარიტად, მაშინაც მოქუჩდებიან მამაცი ქალაქელები და ბრძოლით აღგვიდგენენ სამართალს, მაგრამ გეკითხებით — გადარჩება კი თბილისისაგან რამე? ჩვენ ხომ ნამეტანი მივეჩვიეთ ერთმანეთის მტრობას. აი, ხან ია და ხან კი... ტყვია.

ერთიც.

ბევრმა ხელოვანმა შეირცხვინა თავი კომუნისტურ რეჟიმთან არა თანამშრომლობით, არამედ თანამოაზრეობით, უგვანო კომფორმიზმით და ერის ნაცვლად, საკუთარზე ფიქრით. პირწმინდად მიივიწყეს ბრძენის ნათქვამი: „ნიჭიერებს უნდა დაეხმაროთ, უნიჭოები თავად გაიკვლევენ გზას“ და გაიკვლიეს კიდეც, ხელოვნების ყველა სფეროში. სხვანი ბოლშევიკებთანაც ნებადართულად დისიდენტობდნენ და შემდეგაც, „კეკელა და მაროს“ პერიოდშიც მოუწიათ იძულებითი განსდგომა, რადგან მომავალმა ბუნკეროიდებმა მარაქაში არ მიიღეს, რატომღაც.

დღეს ეპოქათა გზაშესაყარზე, ვერავითარი ბრძოლა დიქტატურის წინააღმდეგ ვერ აამაღლებს ზოგიერთი მათგანის ქმნილებების მხატვრულ დონეს. საქართველოში დრო შეიცვალა ერთხელ და სამუდამოდ. მთავრდება არა მარტო ნამდვილი და ნეო-ბოლშევიზმის ხანა, მისი საუკუნე, არამედ ათასწლეულიც. ამიტომ, ყველაზე დიდი ხელოვნება ახლა ზოგიერთთათვის, სცენიდან დროზე გასვლაა. თუ მაინცდამაინც ქაჯანამ უნდა იყვიროს სარკმლიდან — წადით! წადითო?! ნუ გახდება 87 პროცენტიანი ქართველისათვის ნარცისის სენი საყოველთაო ბატონებო და ქალბატონებო! თქვენ ხომ პოეტის შეძახილზე: „ჰეი! ვინ მოდის მანდ, მომავლიდან!“ მთელი ამ ხნის მანძილზე უცილობლად ამატებდით: „ემანდ ყუჩად ისხედით, კრინტი არ დაძრათ!“-ო და მხოლოდ საკუთარი ხალხი მიგაჩნდათ საქართველოს შვილებად, აი-ია.

ახლა კი, ძმებო, ის დროა რომა, ძვირფასო თანაბაღელნო, მშვიდობა ნახოს საქართველომა და წამოვიწითთ, ერთად შევდგეთ ამ ჩვენს დალოცვილ მერხებზე, კისრები დავიგრძელოთ და მართლა გავხედოთ ჰორიზონტს: — ჰეი! ვინ მოდის მანდ, მომავლიდან... მოდით! მოდით!

ვერ ვამჩნევთ ჯერა? დავინახავთ, მალე, ძალიან მალე დავინახავთ.

ამ ჩვენ გაძარცვულ და ნაცემ, ჩამქრალ-ჩაღამებულ, უქეიფოდ მყოფ თბილისის მიხვეულ-მოხვეულ, აღმა-დაღმა ქუჩებსაც უსიკვდილოდ დაუბრუნდებიან ჩვენებისათვის, ძველებისათვის ნაჩვევი თავისუფალი ძაღლები და სახურავებზეც მალე კატები ირბენენ, სნაიპერების ნაცვლად.

1992 წ.

„ლიტერატურული საქართველო“

„ლიტერატურული საქართველოს“ ადრეულ (13, III 1992 წ.) ნომერში გავკადნიერდი და მოვიწვიე თბილისელები „ცნობილი მოვლენების“ შედეგად დაქცეული პირველი საამაყო სკოლის ეზოში, სასაუბროდ. რას ვიფიქრებდი... პოლიტიკა ხომ ღრუბელია შორეული და ყოფაა მხოლოდ ყოველდღიური, სწორედ ამ გავარვარებული ყოფნა-არყოფნის უსამართლობამ მაიძულა ხელახლა მომეხმო თანაქალაქელები, ლაზათით აღშენებული სასწავლებლის ბაღში, ჟამი თქმისა და არა თქმისა... ანუ რა მოხდა აბა, აბა მაშინ? რა შეიცვალა და რა აღარ ხდება დღეს, ჩვენს თავზედ? სსაიპერები დასტურ ველარ დაგლიჯინებენ სახურავებზე — კატები ჩაენაცვლენ ჩხავილით და მალეც გადაცუნცულდნენ გამდიდრებულ სანაგვეებზე... ნაირფერ ჩაფხუტიან მუშებს დაუთმეს საჯირითო: დაუკითხავად რომ გვახურავენ ზედ თბილისს, ავად თუ პეწით — ეს პოეტებმა ითათბირონ — ჩანს კი მუყაითად, ფაქიზად, სხარტად და ჩუმ-უჩუმრად. ათწლედში ბევრი რამ შეიცვალა: მოვიდა ახალი თაობა, პოლიტიკოსთა ნაწილმა მოიკეტა სახელისუფლებო კარი — ვიღაცას მოაკეტინეს, მავანმა მარადიულობაში გადაინაცვლა და ზოგმა მაგათ სათადარიგო „პოლიტოლოგიაში“. გადავარდა ცენზურა — გაიხსნა პრესა-ტელევიზია, საზღვრებიც — ჰორიზონტმა გვიშორა და არა მხოლოდ ჩრდილოეთისაკენ. გადავედით სხვა განზომილებაში: საქართველო უტყუარად დამოუკიდებელი, ერი თავისუფალი, თითქმის ყველა ორგანიზაციის (საეჭვოს ჩათვლით) წევრი, აღმავალი სამოქალაქო შეგნებით... რუსთაველზე გამოდეკოლტებულ კაფეებში „მარიაჟობის“ ნაცვლად... ისევ რუსთა ველურობაზე ჩივის. უფრო ზუსტად (შოთას ჩრდილოელ კოლეგებს რას ვერჩით) დერჟავის, ამ დაკოდილი დათვის ღრიალს მოუცავს.

— ფრენბურთი გამიგია ბატონო, ფეხბურთიც... ეს მოტობურთი რაღა ჯანდაბაა? — მსჯელობს საეტაპო ფილმის

შეგუებული ინტელიგენტი შეუგუებელ კოლეგასთან: — მალე ავტობუსებით გამოენთებიან ბურთს!

— ბრინჯის იმპორტი გამიგია ვეჟო, ფქვილისა და შაქრის, ნავთობის ჩემო ტკბილო ხალხო, გადადოლარებული რომ ასულიერებდა სულმკვდარ სესერეკას... ძველი ავტომობილების შემოტანაც არ მიკვირს; გნებავთ დემოკრატიის, პროგრესისა და კულტურისაც — ექსპანსიას რომ ვუძახით გაღიზიანებით, მაგრამ ომის? საკუთარი — ნაციონალურ-რელიგიური, ისტორიულად სახელმწიფოს ფესვებში ჩაწნული დავიდარაბის იმპორტი? ეს ერთმორწმუნე ქვეყანათ-ქვეყნის ძღვენია ჩვენდამი: ქრისტეშობიდან მესამე ათასწლეულის გარიჟრაჟზე-კაცის რანგი ხომ იმით განისაზღვრება — კადრულობს რას და თაკილობს რას, ერისაც ნაღდად ასეა! ათი წელია ოღლიებში ამერიკა-ევროპა ამოყვანჩალებული, მათი ფარეზობით ვიდგავთ ფეხს და ესენი კი: „ჩემ ბავატი, ტემ ი რადი!"-ოს გაიძახიან და ის ჟანგიანი ტანკებიც კი გაგვიჩუმჩუმელიეს, ას ათასამდე რომ აბადიათ (?) „ჰაეს" მოყვარულ და ძალად დაბოხებულხმიან, ფორმიან თავჩექმიანებს... რანგიც, კაცობაც და ფასიც სამხრეებიდან რომ ეჭყიტებათ. და ოცნებობენ: შემოპანკისდნენ ჩემო ბატონო, თან განიდაგან-აჭარონ, აკოდორდნენ მემრე, გაი-ჯა-ვახ!-ქსაქსონ... გამოისვან მოკლედ, საქართველო. მაგათ ხომ საკუთარი (მობრუნებული) ჰიმნის მოსმენისას, მხოლოდ აყენებულ-ლულიანი იგივე ტანკები წარმოუდგებათ ლოთობისაგან აცრემლებული თვალთაწინ: გაუთავებლად რომ მორახრახებენ აღლუმისას, წითელ სასაფლაოზე. პროფესორი მიშა კვესელავა გვასწავლიდა: საბრძოლო „პარადები" თურმე, პირველყოფილი, მოქიშპე ტომებიდან გადმოინაშთა — გაღმა-გამოღმიდან რომ ეჭინთებიან, ეღმანჭებიან ტიტლიკანები ერთმანეთს, ქვებს სროილობენ, მუშტებს უღერენ და ბალნის აშშლელ ბუკ-ნაღარასა სცემენ. აბა ეგენი თუ მშვიდობისმოყვარე ერია, ერთი ქუთაისი ტანკები რად უნდათ?.. იტალია გალობს ჰიმნს ქვითინით, ამერიკა თავაწეულ მსოფლიოს სიამაყით გვაგსებს, ფრანგები ფოლადსა და ჟრუანტელს გვგვრიან ძარღვებში,

ესენი კი... დაუჩემებიათ: „პანკისი-პანკისი", თითქოს დიდი კანონი იყოს, თავისი მაკენას ოქროებითა... „კურსკი-კურსკი"-ს თავზარდამცემი ისტორია გაიხსენონ — როგორ ამოშანთეს წყალქვეშელები, ანდა კორეული ბოინგის კრავივით უცოდველი შეზავრების აფეთქება, თუნდაც ახლანდელი თავსლაფი — კულტურის სასახლეში მოწყობილი კრემატორიუმი. გულდათუთქულებმა არ ვნახეთ: გამოჰქონდათ ხელოვნებით სატკბობად თავმოყრილი გაგუდული მოქალაქეები და უკვე მიცვალებულებს, ციმციმ აწყობდნენ მჯდომარეთ სარეისო ავტობუსებში?!? შეიძლება იარაღასხმული და წელზე დენთშემორტყმული კამიკაძეები გვარიანადაც (ჩვენი ბედი..) არ, პიტნა რა შუაშია და — გვეპიტნავებოდეს ქართველებს, მაგრამ რა ვიღონოთ, ღირსებას იცავენ — საკუთარ „ჩესტს" მთიელები, ეს უდავოა; ისევე როგორც, მათ მიერ ჩვენს თავზე დატეხილი შარი... ახლა გეკითხებით თანაბაღელნო: — მოსკოვში რომ ტერორისტები აღმოუჩნდათ, რაიონებად დაიწყებენ საკუთარი „სტალიცას" ჩამობომბვას, კვადრატულ-ბუდობრივად, ჯვარედინად ჰა? როგორაა მაგათი საქმე... იქნებ საცხოვრებელთა ძალზედ საეჭვო აფეთქებები, ფუი ეშმაკს, განუახლდეთ: ჰექსოგენი და ფენტალინი ხომ საყველპურო სიტყვებად ექცათ ბედშავებს... თუ რამდენჯერ ჩეჩენი ავტომატს დაუცემინებთ, იმდენჯერ „ზახრუმაა!" ქართველებს უნდა გვიძახონ? სუსტზე მიწოლა სომ იოლია, შტატებთან რომ აღარაფერი გაგიდის — რას გვერჩიან და გვემართლებიან წამდაუწუმ? ზოგიერთის ყაზარმული ტვინით — სამხრეებზე ბატიბუტივით დასაცვივი ვარსკვლავების საწყვეტად. ნაღდად: ვისთვის ომი ჯოჯოხეთია და მავანთათვის კი ტკბილი დედილო. ავღანეთში შეგლიჯინ-გამოპანღურებაც რომ პირწმინდად მიავიწყ-ფუჩეჩეს? ჩეჩნებიც რა ხანია კუდით ქვას ასროლინებენ — გროზნოში „გრუზავიკი" აღარ დაუტოვეს აუფეთქებელი — ვენდეტა ჩვენს საბარგოს მოუწყვეს... კაცი მოგვიკლეს. აცხონოს უფალმა. მაინც ჯიქურ მოიწევენ აქეთ; სიჯოუტე ხომ ფსიქოლოგ-პოლიტოლოგ-მედია-ლოგენი დამიდასტურებენ, სიბრიყვის

პირველი ნიშანია: „ნე ზნაიშ (ბოროტსა ვერაა, ვერ სძლია მაგათთან) ნაუჩიმ — ნე ხოჩეშ ზასტავიმ!“–ო, აბა და მოსდგნენ გრუზიას, ადრე მოჩლექით, დრუზიას რომ ეძახდნენ... ეეხ, რუსეთი, რუსეთი!.. ადამიანურთა სიმდიდრე და სულიერი ხიბლი, განსაკუთრებული სიღრმე და სიგანე კაცთა და ქალთა დიდსულოვნება უკიდეგანო... სად გადაიკარგა ეს ხალხი ან იქ, ან აქ? ჰოოდა ქართველებმა თეზის პირველ ნაწილში ამერიკელები ვარჩიეთ და მეორეზე ხომ, ყურიც არ გავიბერტყეთ (რაღაც გასაგები სიბრძნით, ისლამისტები თუ არ გვემორჩილებიან, არ გვერჩიან მაინც), ამით გაანჩხლებულმა ჯეელი ბელადის ლოზუნგი გაიხსენეს: „ბუდემ მაჩიც ტერარისტოვ დაჟე ვსარტირეო!“ მაშ, კაცო და რატომღაც წარმტაცი საქართველო თავიანთი უკაცრავად და ნაქნარის ჩამოსარეცხად შეიგულეს, აი სიმართლე! ერისა–ბერისა, მსოფლიოსა და ღვთის წინაშეც — რომელსაც ვეღარსად–ოდეს გაექცევიან, ადრე ხომ იმდენი ილოზუნგეს: „მირუ–მირო“ და დალაშქრეს საკუთარი ბერლინი (ხრუშჩოვი), ბუდაპეშტი (ხრუშჩოვი, — ანდროპოვი), გადაიტანკეს პრაღა, ქაბული (ბრეჟნევი), ვაგლახ, თბილისიც (პოლიტბიურო) აჩეხეს... კიდოვ რომ მოუშვა — გოროზად ქვას–ქვაზე დაადუღებენ გროზნოსაკით. თუ რამე შეიცვალა, მაგას აქეთ, არმიაში? წითელი რომ ერქვა, სისხლისფერი... „ვაინა ვსიო სპიშეტ“... მაგათი გოგრებიც რომ მიჰყვეს, ანუ „უტილიზირდეს“? ჰა–ჯო? ნუთუ კახელები ჰგვანან იმ ხალხს — დაჰკრან ქუსლი და სული პარლამენტში მოითქვან? იშნება ქისტები და ჩეჩნეთი სანატრელი გაუხდეთ ვარსკვლავ–დოლართცვენის ტრფიალში. გგონიათ კრემლში ეს არ ესმით? სად ამბოხებული ავტონომია შინაური წინააღმდეგობებით და სად დამოუკიდებელ და მუჭად შეკრულ სახელმწიფოსთან საჯარო ომი. ჩვენს, ჭეშმარიტად „საუცხოო“ ერთიანობაზე ოდნავ ქვემოთ და მაგათი ლოგიკით გამოდის: „ლიუფტვაფეს“ შვეიცარია უნდა დაებომბა მეორე მსოფლიო ომში, (თუნდაც მესამე დაიწყო და ჭურში ვსხედვართ) ხოლო „ვერმახტი“ გერმანიიდან ლტოლვილებს დასდევნებოდა ცეცხლითა და მახვილით მეზობელ, არხეინ ქვეყანაში — რამეთუ

იქაც უამრავი ხეობა, მთა-ბარი და ჭიუხია მშვენიერი... არის ვანა მათზე ერი! როგორ დაიწუწუნა მექსიკელმა პოლიტიკოსმა — ვაი ჩვენს თავს, რომ ღმერთმა შტატების მეზობლობა გვარგუნაო! გადმოიჩოჩონ ერთი აქეთ მუჩაჩოებმა და ვნახოთ, რომლისა სჯობნის: — მიგვიშვით ღუმელთან, უნდა შეუნთოდ და ავაგიზგიზოთო! გეყურებათ?.. შენ სახლში დაძველებულმა სტუმარმა რომ ზღვის ხედებიანი შუშაბანდისა და უკანა ოთახის კარები აგიჭედოს, ვითარც უყაირათო გამგებელს, ტალახიანი ჩექმებით დალაჯუნებდეს ბინაში — თანაც ერთი-ორი-სამი! ოთახის კიდევ დათრევას ლამობდეს ფლიდურად: — „ზალა იმყოფინეო!“ სახურავზე უთენია ათარეშებული კრამიტებს გილეწავდეს და მარნის გასაღებს უტიფრად გეჯიკავებოდეს! “მივალაგ-მოვალაგებო(?!)“ — მიბრძანდითო! — არ ეტყვი? ეტყვი კი არა და შეიძლება უბღავლო. ცხინვალელ ოსებს ძალუძთ თურმე, მათი „დაჩემისებული რესპუბლიკის ცაში (??!)“ შეფრენილ ქართველთა ჩამოგდება და ჩვენ ვერა? — რაგატკებით ხომ არ დავტყორცნიო! — ირონიზებს ჩვენი უპრეცედენტოდ განათლებული მინისტრთაგან, თავდაცვის ჯანღონიანი (ნეტა გვეღირსოს და მსაზღვრელმა საზღვრულის წინ ერთით გადაიწიოს!) თავკაცი — შურდულებს თუ გულისხმობს და ჩვენთაშორის კაცებო: „სტრელა“ და „იგლა“, ანდა „სტინგერი“ მზარიდან სასროლი იარაღია — ბრგე და გაწყრთნილი ვაჟების სათამაშო სწორედ ის „რაგატკა“: შემოხეტიალებული ყვავ-ყორნების ჩამოსუფთავება რომ ხელეწიფება. თუ პატრიოტიზმი მხოლოდ ცნებად დარჩა ჩვენში?..

იქნებ ისტორიულად გვეშლება რაცხა, „ვრუზინცებს“? ჭეშმარიტად: ნაცმენთა (ჩათვალე ქართველთა) გამეცადინებით არ დაატეხა თავზე „სვეტოი რუსს“ მისმა დინებამ ამდენი ღვარცოფი და გოჩგოჩანა? ომი ხომ ჟუკოვმა მოიგო — სტალინი აყოვნებდა თორემ! ქვეყანა: ვეება ჰესებითა და ბუხრებით, ტროცკი-ზინოვიევ-კამენევ-ბუხარინებმა გაშალეს მხრებში — გაასალა ეგენი კაციჭამიამ, დაერია — ურიებს მემრე- უმაგისობაში კი (ჩართეთ მუსიკა): რადიო, რაკეტა და ციმბირში ველოსიპედი

(სად კატაობდნენ) გამოვიგონეთო! ეგ ხელდამჭკნარი კი იჯდა „ბლიკნი“–ში და გაუხმეს მეორე, დაბნეული ლოთობდა და ზედაც აფრიკელი ბოკასასავით, მტერთა ჩიჩიას აღმურძლავდაო! თან არავითარი გაფაჩუნება იმპერიაში არ ეპარებოდა, ულვაშგარეცხილს: ხელოვნებაში თუ პოლიტიკაში, ცაში, ზღვაში, მსოფლიოში და ლიტერატურაშიც! თუ მეურნეობაში — გნებავთ ქალაქის, სოფლის და ფოლკნერივით, სახლის. დიქტატორი, უჯიგრო ტირანი გახლდათ (ლენინი ხომ ბერი ინდუსივით ცოცხით დაიხვეტებოდა: ემანდ ჭიანჭველას არ დავაბიჯოო), ძალაუფლებისათვის შვილს გაყიდდა (ლენინი კი მხოლოდ სამშობლოს — დოიჩმარკებზე გადააჩენჯა იმპერია, რომლის აღდგენა — აზორბებას შესწირა თითოეული დღე — იოსებ ჯუღაშვილმა) აბა როგორ? უმაგისოდ ძაღლი ვერ დაიყმუვლებდა ნებაზე — მიყურადებული გახლდათ იმფერ, ადამიანებზე. შეუსაბამობაა? მერე და თქვენ ვინღა გეკითხებათ? რაო! ნაპოლეონის ცხვირწინ რომ გარბოდა ჯარი და ის მოკლე, მარდი ფაშაც კი ჩამორჩა გალაჯულებს — მოსკოვიც სულ რიკინ–რიკინით მოიტოვეს აბრიალებულიო? (დღემდე უცნობია მათი სვლაგეზი...) სარდალი ჰყავდათ უნიჭოდ უცხოელი და როდესაც შორსმჭვრეტელი, ცალთვალა რუსით ჩავაგენაცვალეთ, ხომ ბისტრო–ბისტრო გადენა — ოგინი და სდია პარიზულ „ბისტროებამდე“! მცირე უზუსტობანი? და კიდევ ბაგრატიონი? მოეშვით პეტიას — ის ჭეშმარიტ რუსთა ღენერალი გახლდათ და დანარჩენი თქვენი რა მოსაკითხია! აი, აქ ჩნდება სწორედ გრუზიაფობია ბატონებო, თანაბაღელნო და ჩვენ რა გვიშავს, საზოგადოდ დრუზიაფობიაში თუ არ გადაეზარდათ. ახლა რკინის ფელიქსის წამოყუდებას ლამობენ თავიდან (უსაქმურობის გამოო ვერ იტყვი... ხომ მოახერხეს კაცო, „ლობზიკით“) — გვარი თუ ელამუნებათ თვარა, ბერიამ რაღა დაუშავათ? რაც ეგ მაგათ ცოლებს ეგებოდა ფეხებქვეშ. 1953 წლის მისი: — უმერ ტირან! ექიმთა საქმის შეწყვეტა, პოლიტპატიმართა სრული ამნისტია და გერმანიის გაერთიანების მცდელობა (ვინ დაიწყო და ვინ დაამთავრა...) თუ მიუუმადურდათ, გაიხსენონ — ვისი

ვამეცადინებით მოხდა ლოს-ალამოსიდან ბომბის უსაიდუმლესობის გამოღორტნა და კურჩატოვიაანთ წვერცანცარა აკადემიკოსებისათვის მირთმევა. ან „ილ-2“, თეირანი, იალტა? სოციალიზმის კაპიტალიზაცია? რესპუბლიკების თავისუფლება? იქნებ გონსა, მარიფათს, ანდა მამაკაცობას სწუნობენ ლავრენტის? ნაღდად რომ სჯაბნიდა არშემდგარ ქსენძსა და შამდგარ ნარკომანს. კანტი-კუნტად და, საკუთარი მამულიშვილთაგანაც რომ გაისმის დაბნეული მოთქმა: — სტალინი, ზვიადი, ედუარდი... ეგენია ჩვენი დარდი და გმირთა ვარამი, გაგვაწითლეს რუსებთანო! (მაგათ ხომ გააკვირვებ, სიწითლით)... მაშ ბატონებო, ჩემო ქართველნო: ფრანგების უდიდესი სირცხვილი — ნაპოლეონი, რევოლუცია და ტალეირანი ჰყოფილა, ასეთი განსჯით.

ვიღაცა მუდმივად სხვაში ეძებს საკუთარ შეცდომათა თუ დანაშაულთა მიზეზს და ამით შეგნებულად თუ შეუგნებლად აფერხებს თავის განვითარებას, აღმასვლას, რამეთუ დროთა მორევში ყველა და ყველაფერი ისვრება, ჭუჭყიანდება და სულიერ ქიმწმენდას — სინდისის ქეჯნას საჭიროებს. ასეა ადამიანები, ასეა ერებიც და ქვეყნებიც — ვინ მონანიებას აღუტაცნია (სხვის ნაცვლადაც) და მავანი კი ნანობს: ეს როგორ მომივიდა და საკუთარი, დაპატრონებული, ქარს (თავისუფლების) გავატანეო! დროს მისტირის და არა ამ დროში ამოგანგლულ სულს. აკი მიუგო ბრძენმა იავლინსკიმ „ზერკალო“-ში, გაურკვეველი ეროვნების ქართველს: — სახელმწიფო, რომელიც მეზობლებში აღვივებს შუღლს, სეპარატიზმს და ძუძუს აწოვებს ჯუჯა, მკვდრადშობილ მუტანტებს, თავადაც იგივეს უნდა ელოდეს საკუთარ მრავალეთნოსიან და კონფესიან ქვეყანაშიო აი, ია! ჭეშმარიტება ბრძანა მათზე ადრე, შევარდნაძემ: — იქ გვარებშია და არა პიროვნებებში საქმეო!.. აბა იავლინსკის ნდომებია თურმე სამშობლოსათვის გლახა და ივანოვები ხომ წელში წყდებიან მისი ჩამოფარცხულის აღმა-აღმართ-ახვერ-ხნაში. ვეღარ გვჯაბნიან გემოზე... საკუთარ მედიას დაერივნენ მაგიერში და ჩვენამდეც მოსდიეს(?!?) სად ერეკლე

და სად კიდენა, ისაა — რასპუტინი. „ბეიჭ გრუზინოვ, სპასაიჭ რასიუუ!“ ბუკ-ნაღარასა სცემს იურისტ მამილოს ვარსკვლავ-წყვილ-ბიჭუნა, ნასუკარი ვლადეიმირა (ისიც!) და გაბადრულსა ჰგონია, ახალ ხალაკოსტას წამოაქოჩრებს! იურული პერიოდის ტყიდან გამოვარდნილი ქართლმოძულეობა გახლავთ ეს და აქაურ სისხლიმტეს, აგრეთვე მამა-იურისტიანს, ნარჩენ კოლაბორაციონისტებსაც უნდა ესმოდეთ დიახ, ეს. რა მოხდენილად შენიშნა, ბრწყინვალე ჟვანეცკიმ: ახლა კი დავრწმუნდი, ჟირინოვსკის მაცქერალი — როგორი სახელის, წყალობისა და ფულის მოხვეჭა ძალუძს რუსეთში ებრაელს, ანტისემიტიზმითო!

ჭეშმარიტად — დრონი მეფობენ და არა აზრები... თუნდაც მეფური. აი, ასეთ ერავალხმიანობა რა შუაშია და მრავალსა-ხიანობასთან გვაქვს საქმე, სამეზობლოში. მაგრამ სამართალს მშიერს ნუ დავტოვებთ: იქ სამრეკლოებიდან მხოლოდ რჩეულნი რეკავენ და ერეკებიან — ემანდ უნიჭოთ არ ააბობღებენ ჩვენსავით... ამიტომაც ვაგებთ ხამუშ-ხამუშ, დრიბლინგში. ტეტ-ა-ტეტ სწორედ ის ნაქები ტალანტი, ტექნიკა, გნებავთ ტემპერამენტი და ინდივიდუალიზმი (მერე რა, რომ უცხო სიტყვებია) გვაკლია. რადგან აქ უსახურები თავად კი არა — ბუნებრივი შერჩევით — არამედ საზიზღარი „ბლატით“ (უკეთესის ჩაგვრით) და დამამცირებელი ხელ-წიხლიანი ამოკვრით სკუპდებიან ყველა დარგში — რამეთუ საკუთრად მოირგეს „სჯობს სახელისა მოხვეჭა“ და შენ დაუკაა! ამდენმა სახელვიგინდარამ წალეკა სამშობლო: ფუქსავატი, ტიტინა ეკრანმაჭყიტა ვითომ „ბოეშვებით“ დაწყებული და ბაბაჯანას ქოშებივით მოუშორებელი-მოღივაწე, ყბედი ალ-ქაიდა მეთქი, ალ-ალ-არაალ-ალ ქაჯებით მოუთავებელი. ერთი ასეთი კომბლე ამასწინათ, ეყუდა პარლამენტის მაღალ ტრიბუნაზე და საქართველოს ალოდინებდა: „— ი და კიდოვ აი (I და II ქარიფანტია, ბ.მ.) თუ არ შემოვლიან მაგალითად, რეიზა დავიწყოო!“ — ვაი თბილისელო ხოხბებო, ჩვენს თავს... პარლამენტი პოდიუმი არ გახლავთ — მზერით დავტკბეთ,

რადიოთი ვადმოიცეს და მოიხსნა, ბასტა! გამეტიჩრებულ „კაცთა“ პრობლემა. ნეტარ-ნატოში მიღების მაგიერ ხომ, ქოში-ბლუ ნატოები მივიღეთა და პოლიტიკაც, უეანრო ქართულ ესტრადას ვადავასწრეთ (ინტელექტი-შალახო): ეონგლიორობამაც აქეთ ვადმოინაცვლა და ექვილიბრისტიკამაც, ფოკუსებმაც. ბაწარზეც აქა ცეკვავენ და მუცლითაც აქვე ღადაობენ, დაობენ, ავობენ, ავყიაობენ, ტლინკაობენ...

ამით აღტაცებულმა მსუბუქმა ეანრმა ხომ მთლად აიშვა: ესაოდა, მძიმეები თუ რასა სჩადიანო... ვინდა თითოეულ გამოყელყელავებულს შეუძახო: — მართლაა? უი ბეჩაა... აღარ მოეშვებით ზღმარტლის ბერტყვას? ტინგიცა „მარტო-სულთა“ და ორსულთა (დიახ: ორი-სული და არა საშინელი „ფეხ-მძიმე“) ტაშ-ფანდურსა და ვნიასში აბა, ჯიგრის დამ-წველი: „არ გაიხაროს მტერმა ჩვენზედაა“ ანდა კიდევ პოლიტიკური საღი აზრი, სიტყვა გვეყურება განა?.. უფრო მემედ-მამათელთა ვადანავალი, კუკნა კაცების წკავ-წკავი გვესმის. ეეხ, სჯობს და ნამდვილად სჯობს, წკარუნა ვაებატონებო: „სიცოცხლესა ნაძრახსა“... ხომ მიდასტურებთ საღო ბაღელნო, აქა კრეფილნო, შოთას ამ სიბრძნეს.

მაინც რა ხდება ასეთი განსაკუთრებული იქ, ჩრდილოეთში? „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები!“... უდავოდ. სანამ მაგათი ვარსკვლავ-ჯორები მსოფლიოს (ვანკასათვის შაგრენის ტყავივით შამდგარს) ეტანკავებიან, მოსკოვურმა ბომონდმა იანკების საუკეთესო თვისება შეისისხლხორცა: „მიეცი ნიჭსა გზა ფართო!“ სანამ ჩვენ საკუთარ პროვინციულ ტალახში ვიყლურჭებით, იქ ყველა დარგში ბუმია: ხელოვნებაში და ბიზნესში, პოლიტიკაში და ეკონომიკაში — ახალი ხალხი, ახალი იდეები, ახალი სახეები... ჩვენთან? ძველი ხალხი, ბიზნესმენებად ქცეული კომბინატორები, ნომენკლატურული ფიზიონომიები (ვაგიეღები — ჯეილებსაც კი), დამყაყებული იდეები — ზვიადად წარმოდგენილი სანატრელ (ხომ გახსოვთ?) პარლამენტში. არაა თანაბაღელნო, ყოლიფერი „საქართველოს რკინიგზის“ ბრალია — გააუქმონ ცალფა-მხრივი, ჩქარი მატარებლები: ცეკაიტეკაი

— მთავრობა, ორღობეი — პარლამენტი, მუტანტი — იმუნიტეტი, დანარჩენი თქვენ დაამატეთ ხალხო და ჯამაათო: ოჯახნი — ბიზნესი, ვთქვათ და აგაშენა გამჩენმა!— დიდი შეღავათია ჩვენმა მზემ, ამ ბაკქანალიაში ქორფა თუ ვინმე გამოყვინჩილდა! იმსაათში თავს წააცლიან: — პრავადნიკი! პრავადნიკი!–ის ძახილში. ანდა დააძველებენ ბიჭები — ძველების ახლები. საბჭოთა პერიოდის მახასიათებელი: პიროვნებათა ნიველირება–გაცამტვერების სენის მოუხდელად, გავერთეთ უბადრუკთაგან ატლანტების შექმნით და უკანაც დავგორდით: ისევ დაიწყო ჭეშმარიტ ფიგურათა დამუსვრის პროცესი... ვაცალოთ რა მამულიშვილნო ბუნებას საკუთარი არჩევანი, ნუ გავჩეხავთ ფინთი, ფისტოლეტიანი მეტყევესავით: ვის გამოხშირვის საბაბით (ან სომეხია, ან ებრაელი, ანდა უბრალო), ვის წარმოსადეგობისა და სხვას წარმოუსადეგობის გამო, და კიდევ: ნაციონალურობის (ფაშისტია), კოსმოპოლიტიზმის (მიმისვდით?), პრინციპულობის (დაგვღუპავს), ლიბერალობის (ლობია), ორატორული ტალანტის (რაებს როშავს), განათლების (ტოლიბაშად ვეღარ ივარგებს), ენების ცოდნის (გვალენჩებს), კაცობის (ქალურად მოქნილია), ქალობის (სახლში დაეტიოს — კაცებში ეჩრება), მორალის (ცენზორია), დახვეწილობის (იმნაირია), ვაჟკაცობის (ამნაირია)... არადა ბაღელებო, ხომ მაზალო ვინმე იჩითება — ამსუყველათვისებიანი. ნაღდი პოლიტიკოსი... კარგით რა ჩემიანად, აღარ დავიღალეთ? თუ ტალანტთა ჩაწიხვლა სპორტის ეროვნულ სახეობად გვექცა? ვიშვიშებთ: არიქა! ქუდზე კაცი — პრეზიდენტი გვაბაიბურებს და მემკვიდრის შემოტყუება სწადიაო! და ღიჯინა „მოღვაწეობემ“ რომ სამუდამოდ შემოგვაპარეს და დაგვინერგეს — თითოეულ საპაექრო დარგში — მამა–შვილ–ბიძაშვილთა ფეოდალური ინსტიტუტი, სულაც არ გვიკვირს. თუ როცა თავად მოვალთ, საკუთრებით ჩავანაცვლებთ? ჭეშმარიტად: ბუნება ლუარსაბივით წამოარხეინებულა და არდადეგობს ზოგიერთ ჩინოსანზე და ერთ–ორ მინისტრსაც თავი კოლუმბიაში ჰგონია — ჩამოჰგავს კიდევაც: ვინ კოლომბოს, ვინაც კოლომ–

ბინას... იცოცხლეთ ბაღელნო — ამ გამოსვლის, ისევე როგორც ათი წლის წინანდელის, დაუჩხავად დაბეჭდვა გაგვიჭირდეს... მაგრამ ბაღელნო, ანუ ლაღებო — დანიშნულ მოხელეებს რას ვერჩით, როდესაც ურიასავით მარადიული „კორიფეები“ და დროული კლიმაქსით გაბრაზ-ჭინთული „ინტილი-თან-ტილი-გენტები“, რომლებიც ცინცხალ „ინტელექტუალებად“ ფერიცვალენ, თავზე გვაყრიან-ჯინიან-ზიან? თუ რეგვენების დასაღუპი საქართველო მხოლოდ რეგბვაეების იმედზეღაა? საბავშვო ბაღიდან მოყოლებული, ერთი და იგივე აკვიატებული ბიძები და დეიდები გვმოძღვრავენ და მიგვიძღვიან ცხოვრების ლაბირინთებში — სიცილით რომ არ ჩავბეჟირდეთ და გავიშოტოდ ალბათ, მათი ცინიზმის უღრანში... ფრანგულიც უკეთ იციან ჩვენზე და სუაჰილიც, წინგლეჯაც და სათიუთი: მშობლიური მიწის პირადი საკითხებიც. უგზო-უკვლოდ მიგვარონიებდნენ ადრე — ნათელ კომუნიზმისაკენ, ახლა — მართალ ანტიკომუნიზმში. ხოლო ცხვირი ფლიუგერი ახალი სიოს მოლოდინში უთრთით... უგვანოდ-მავალი. „მასწავლებლები“ ვითომ... თუნდაც ჩვენ უკვე ნახევარ საუკუნეს ვითვლიდეთ და მათ კი ამდენივე სტაჟი ჰქონდეთ, კომპარტიული. დგანან და ელიან... უსულო არის მათი მოლოდინი... ქაჯანას დაძახებას თუ: — წაადით! წაადითოო!... მოუსავლეთში კი არა პატივნაცემნო, სახლებში. იყო ასეთი ფილმი, უნდა გახსოვდეთ: ყველანი სახლებში.

ნიჭი და ტალანტი ერისათვის ნაბოძები ღვთიური მადლია და სულმწირთა გაჯეჯილებით რას ვჩადით? ვის ვეურჩებით, ვეყოჩებით და რაზედ ვამბობთ უარს, ვხვდებით განა? ამდენი ბეყე-მოყეთა ჩიჩინით — ჩართულ უთოდანაც კი — ვის ვულაყებთ გონს, მომავალ თაობას? თუმცა ვეჟო, „პატრონიანმა“ ბალღებმა ახლა ეკრანზე გადაინაცვლეს და იქიდან გვიმღერიან სიყვარულზე: საქართველოო-ლამაზოს“ ნაცვლად, სექსუალურზე. გაჩაღებული „მიყვარხარ-მინდიხარ-მიცინიხარ-მიხინკლიხარ და ტრულაილას ფული რად უნდაა“ რომელიც ძმებო, თავად ფული ყოფილა-ს ფონზე (რა ფონია თუ კაცი ხარ, შიგ ვიხრჩობით) თუკი ვაცლით, მაგათი გონწამცდარი

მშობლების ხელში, მალე დაგვმოძღვრავენ კიდეც. ვაგლახ: გიჟი თუ თავისუფალია, საქართველოში, ბრიყვი მითუმეტეს. გვჭირდება განა ეს უგემოვნო მასხარაობა?... არად გვარგია დღეს, გეორგიას. ხოლო ღირსეული მასხარა ნაღდად მოუხდება ჩვენს თავმჯდომარეს — მეფე ლირის ბრძენი მასხარა. სამწუხაროდ მის ადგილს მახარობლები უფრო ეტანებიან და სცვლიან ჭეშმარიტს.

— ხმა მოღალადე უდაბნოსა შინა... გვეყურება თუნდაც ჩვენ, უბრალო მოკვდავთ? დავატარებთ მის ექოს სულის სიღრმეში, ვაყურადებთ განა?... თორემ იცოცხლე საამოა: როდესაც მშობლიურ ენაზე ვისმენთ „დოიჩე ველეს“, იერუსალიმიდან რომ გვეგაასებიან და-გვენაცვალებიან, „თავისუფლებაც“ აქართულდა რახანია და „ამერიკის ხმაც“ გვაწვდის მშობელ ენაზე მსოფლიო ამბებს. მაშ ჩვენ რაღა, „ნე ვიეუს“ თუ „დეეა ვოუს“ ვუკეთებთ, რითი ვპასუხობთ?.. იქნებ ისევ ჭურში ვზივართ, ან ბლიკენწეროზე? როგორ გეკადრებათ! არ შეგეშალოთ რამე: ქვად და თუჯად აღვმართავთ ხელახალ კერპებს: დასიცხული, უშადრევნებოდ გათანგული ქალაქები მოვფინეთ ვეება სიდიდისა და ფასის ფეტიშებით — აი ჩვენი, აქვავებული ხმათა ღაღადი; ხან ცხენზე და ხანაც სკამზე ამხედრებული; ჯდა, მტირალი ზღვისა პირსა... ფეხზედგომილა დაიღლებოდნენ... სიპატარავის კომპლექსია ეს გურჯებო. ხელისუფალთა მორალური, ბიოლოგიური, გონებრივი და ინტელექტუალური პაწიობაა: ვაღმა იყოყლოჩინო საშობლოთი — მისი ისტორიითა და ერი-ბერით, ხოლო შინ ჯვარს აცვა და გაუთავებლად სტანჯო-ალინჩავო, აპარტეიდის დროინდელი ზანგებივით — საკუთარი ჯიგარი. ხელ-ძალიანთა თავგასულობის სინდრომია ეს და უტიფარ მედროვეთა ვიგანტომანია ჰქვია ამას. აკი გამეცადინებულა თვალცივა იმპერატორი, თავი რასრას, ეშჩო რას-პუტინად წარმოაჩინოს, მაგრამ „როსტომ დარაგოი, ნე ვიშოლ“ — ია აგი ყაზილარი, აი ჭეშმარიტად ია, ბატონებო და ქალბატონებო... გაუშვი „იმარშიროვკოს“ გაჭიმულ-კუნთიანმა კრემლთა დიდებულ დარბაზებში — ოვივე

ია და ვარდი დაჰფენოდეს ოღონდ: „ჩვენც ნურვინ შეგვე-ცილება“ კაცო, საკუთარ ლაჟვარდოვან ცას. მხოლოდ ერთ მუჭად შეკრულნი თუ გავუმკლავდებით გარე-შინა თავსლაფს, ჩემო ბაღელნო — მარად ქართველნო! რამეთუ ერთ ჭურში მხოლოდ ჩაცუცქება — ჭურვზე ჯდომის ტოლფასია და ნაღდად ავფეთქდებით. უნდა შევიკოწიწოთ რამენაირად და ჩვენი მოკეთე მამა-რეიგან-შვილ ბუშებთან ერთად, ნუ დავივიწყებთ შინაურ ნაბუშრებსაც... და აღარ გაგვხლიჩოს უნდა: არც აღმა-დაღმა მოძუნძულე წვერგაფანჩულმა მამით არტაშამ, კალთაზე გამობმული მარგინალებით — ჰაეს მდიდაროვი რომ უმაგრებთ მატყლიან ზურგებს, არც მარადიულმა ინტელიგენტებმა — საკუთარი ორდით... გათავხედებულმა პროვოკატორებმა ერთი სიტყვით და ნარჩენმა, საეჭვო ყოფნაარაყოფათ-ქცევის ბრბომ. ასევე, თუ „ნე-დაი-ბოგ“ უბედურებამ დაგვჭექა! ღმერთი არ გაგვწირავს და ისევ არ გამოეკრანდნენ ერის ძიძა-ბიძიები, ომის მოთხოვნითა და ჭკუის პროფესიულად ბრინჯივით ჩამორიგებით; ხოლო საკუთარმა უცხოეთში გადამალულმა ნაშიერნმა კი გვიკითხონ იქაურ გაზეთთა „დაიჯესტები“, ყველაფრისამტან ეთერიდან... როდესაც, ღმერთო ნუ გაგვწირავ, მათი თანატოლი „უპატრონოები“, გმირები ჩვენი ნამდვილი, აქ დაგვიღვრიან წმინდა სისხლს. ნუთუ არ გახსოვთ თანაბაღელნო, ის ჟამი უსამართლო და საძაგელი... დააკვირდით აბა, ქვათა კრეფის ჟამს, როგორ წამოგვასხდნენ ძველებს ჩანაცვლებული ახალ-უხიანი კონფორმისტები — იგივე „ელიტარულობა“, ბოგანოთა-ბოჰემურობა, ხელისუფლებასთან ცრუ ჯაჯღანი — ცხადში კი არშიყობა სიძვით, ფარისევლობა, ტალანტობანას თამაში და თავიანთი კბილა ბიჭებზე „სვეტობა“. მოკლედ, სრული კომკავშირული არსენალი. ადრე თუ გულანთებული გაიძახოდნენ: — ლენინს, დიად ლენინს — ჩვენს ილიჩს! — რაც გულახდილად არაფერს გვავალდებულებდა ქართველებს და მხოლოდ პრიმიტიულ-ჰეროიკული რიტუალი გახლდათ, უტამტამოდ— ახლა შეცვალეს, უფალო შეგვინდე: — ილიათი! (დგას ილია, წევს ილია, დუმს ილია...) წაიკითხე და გაიგონებ, მამაცხონებულო (წუხს ილია)...

გამოესარჩლეთ რაა, თანაბაღელნო — მოეშვან ლოთიანად, წმინდანს.

და ბოლოს, გადმონაშთებზე ისევ — ქართველი ფორმიანები დღესაც საბჭოურად ეგებებიან ერთმანეთს. ამის გადაგდებაც ხომ ფინანსებთან არ გახლავთ დაკავშირებული?ანდა, უქუდოდ რატომ არ შეიძლება სალამი? ჭკუა-გონება ფაფახს ახლავს თუ რა?... ხომ მომხიბვლელია პოლონური „ჩესტი“, ფრანგული — ჩემო მეთაურო! ამერიკული, ხელის ახედნვა — უმალ ჩამოკვრით, გნებავთ ინგლისური, ლაზათიანი ვარჯიში-ჭიმილი კარაბინით (პიტკინი გავიხსენოთ). ეს ხომ ერის, ხალხის მახასიათებლად იქცევა თანდათან. აღარაფერს ვამბობ ნაციონალურ ბატალიონებზე: ალპიური მსროლელი, ანდა მორბენალი ბერსალიერები, ამერიკელი რეინჯერები, თუნდაც ფრანგული ლეგიონის ტრადიციები. გავკადნიერდები და აქვე შევნიშნავ: (როგორც ჯარმოხდილი და თადარიგის ყოფილი ოფიცერი) ჩვენს ბლომა გენერლებს, განსაკუთრებით პოლიციის: არ არის ნამეტანი გემოვნების ნიშანი ეგზომ დაჩუქურთმებული სამხრეები... გასაგებია რომ „მხედრიონის“ არხეინ პერიოდში იესოვდით შინ, მაინც გწუნობ — ქართველი ამაყი კდემით გამოირჩევა ოდითგან, არადა, უფროსობას რას ვერჩით, მძღოლები გამიგებთ — ავტოინსპექციის მცირე ლეიტენანტებს ამსხვრევიათ მხრებზე — იოსებ გენერალისიმუსის ვარსკვლავები. აი-ია!

მრავალსაუკუნოვანი ერი ვართ უდავოდ, მაგრამ ხალხად ჩამოყალიბების პროცესი ახლა დაიწყო: ქართველი ხალხით დასახლებული, ქართული სახელმწიფოს ძერწვა-შენება მძიმედ მიმდინარეობს თანაბაღელნო და ამიტომაც დაგვძახიან თავზე გაჩითულები ერთხმად, გაუგებარ „მოსახლეობას“. მაშ თავად ვინღა არიან?

ვიქცევით განა ხალხო, ხალხად?

დააკვირდით ჩვენი მორაგბე ვაჟკაცების აღტკინებას ჰიმნისას.

უთუოდ.

თებერვალი, 2003 წ.

გამომცემლობა *„უნივერსალი“*

თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1
☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@posta.ge